ლიბერალი
№ 56 / 13 - 19 დეკემბერი / 2010

ორი აზრი: ღირებულია თუ არა „ვიკილიქსის“ მასალები? გვ. 08
რით განსხვავდება ქართული პროპაგანდა აფხაზურისგან გვ. 11
„ცენტრ პოინტის“ საგა გვ. 21
ყალბი საქონლის ბაზარი საქართველოში გვ. 24
ფოტორეპორტაჟი: პირველი დევნილები გვ. 30
სიმონ ჯანაშია: პეპი გრძელიწინდა სისტემის წინააღმდეგ გვ. 36
ნინია კაკაბაძე: „მძიმე ფილმების“ დღესასწაული გვ. 40
ლაშა ბუღაძე: ადიო, დედაო ენავ! გვ. 44
ნიკო ნერგაძე: რამ შეჭამა ნოკია? გვ. 45

ფასი 2 ლარი
ISSN 1987-7528
9 771987 752008



Veni Vidi Wiki

გვ. 12-20

ლიბერალი

№ 56 / 13 - 19 დეკემბერი / 2010

ჯულიან ასანჟის სასამართლო პროცესი

ნომერში:

02 რედაქტორის სვეტი
04 ლიბერალის ვებგვერდიდან
06 მოკლედ
08 **ორი აზრი**
ღირებულია თუ არა „ვიკილიქსის“ მიერ გამოქვეყნებული ინფორმაცია?
ზაალ ანდრონიკაშვილი VS ეკა კვესიტაძე
კონფლიქტები
10 სადავო საკუთრება
თვალსაზრისი
11 ეროვნული აგიტპოლების თავისებურებანი
მთავარი თემა
12 Veni, Vidi, Wiki
19 **ინტერვიუ**
გაეროს მომხსენებელი: ჯულიან ასანჟი არ უნდა გაასამართლონ
ფრენკ ლა რუ
21 **ეკონომიკა**
„ცენტრ პოინტის“ საგა
24 **ყალბი საქონლის ბაზარი საქართველოში**
ყალბი ბაზარი

საზოგადოება
26 მესხები ყურადღების მიღმა
30 **ფოტორეპორტაჟი**
პირველი დევნილები
34 მოგზაურობა ჯავახეთში
თვალსაზრისი
36 პეპი გრძელიწინდა სისტემის წინააღმდეგ
სიმონ ჯანაშია
38 ვაჭრობა თავისუფალი ვაჭრობისთვის
მარკ მალენი
კულტურა
40 ფეხშიშველა, ბაბილონისკენ!
42 „მძიმე ფილმების“ დღესასწაული
44 **თვალსაზრისი**
ადიო, დედაო ენავ!
ლაშა ბულაძე
ტექნოლოგიები
45 რამ შეჭამა ნოკია?
სპორტი
48 ფეხბურთი სხვაგან იქნება

გარეკანზე:

Veni, Vidi, Wiki

OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION
ფონდი ღია საზოგადოება საქართველო

ჟურნალი „ლიბერალი“ გამოიცემა ფონდ „ღია საზოგადოება - საქართველოს“ მხარდაჭერით.

ავტორის / ავტორების მიერ საინფორმაციო მასალაში გამოთქმული მოსაზრება არ გამოხატავს ფონდის „ღია საზოგადოება-საქართველოს“ პოზიციას. შესაბამისად, ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

The views, opinions and statements expressed by the authors and those providing comments are theirs only and do not necessarily reflect the position of Open Society Georgia Foundation. Therefore, the Open Society Georgia Foundation is not responsible for the content of the information material.

რედაქტორის სვეტი

რატომ არ არის ჯულიან ასანჟი ტერორისტი

„უხასიათო პრესა, ჯიუტი პრესა, მუდმივად ჩასაფრებული პრესა უნდა აიტანონ მათ, ვინც ძალაუფლებას ფლობს იმისათვის, რომ დაცული იყოს უფრო მნიშვნელოვანი ღირებულებები – გამოხატვის თავისუფლება და ადამიანების უფლება, იცოდნენ სიმართლე“ *– მოსამართლე მურეი გარფეინი, ივნისი, 1971 წელი.*

მოდით, „ვიკილიქსთან“ დაკავშირებით, კიდევ ერთხელ გავყვეთ ფაქტებს:

▸ როგორც გაეროს წარმომადგენელი გამოხატვის თავისუფლების საკითხებში ფრენკ ლა რუ მიიჩნევს, ამერიკის შეერთებული შტატები ჯულიან ასანჟის წინააღმდეგ „ვიკილიქსთან“ დაკავშირებით საქმის აღძვრას ვერ შეძლებს. ეს იმიტომ, რომ „ვიკილიქსს“ შეერთებული შტატების კანონი არ დაურღვევია.

▸ თუ რაიმე ტიპის სამართლებრივ პასუხისმგებლობაზეა საუბარი, ის მხოლოდ ინფორმაციის პირველწყაროს, ანუ იმ პირს შეიძლება დაეკისროს, რომელმაც ინფორმაცია პირველმა გაასაჯაროა და არა მედიას, რომელმაც ის გამოაქვეყნა. სწორედ ეს პრინციპი უდევს საფუძვლად სიტყვის თავისუფლებას და ამ პრინციპის ხარჯზე ხდება უამრავი კანონდარღვევისა და კორუფციული ფაქტის მხილება.

▸ „ვიკილიქსის“, როგორც მედია ორგანიზაციის პასუხისმგებლობის საკითხი მხოლოდ ორ შემთხვევაში დადგებოდა: თუ გამოქვეყნებული მასალა ეროვნული უსაფრთხოებისთვის რეალურ საფრთხეს შექმნიდა, ან თუ ის კონკრეტულ ადამიანებს შეუქმნიდა საფრთხეს. მაგრამ, როგორც გაეროს ექსპერტი მიიჩნევს, მხოლოდ იმის გამო, რომ გამოქვეყნებული ინფორმაცია ხელისუფლებას უხერხულ მდგომარეობაში აყენებს, ამ ინფორმაციის დაბლოკვის, ფილტრაციის ან მისი გამავრცელებლის წინააღმდეგ ზომების მიღების უფლება არავის აქვს.

▸ „ეროვნულ უსაფრთხოებასთან“ მიმართებაში, ამერიკაში მედიასაშუალება კანონით მხოლოდ იმ შემთხვევაში დაისჯება, თუ ის გამოაქვეყნებს: 1. ბირთვულ იარაღთან დაკავშირებულ საიდუმლო ინფორმაციას („აქტი ატომური ენერგიის შესახებ“); 2. ფარული აგენტების ვინაობას („აქტი საიდუმლო აგენტების დაცვის შესახებ“) და 3. გარკვეული სახის „სტრატეგიულ მიმოწერას“ (შპიონაჟის შესახებ აქტის 798-ე თავი). როგორც არაერთი ამერიკელი იურისტი აღნიშნავს, „ვიკილიქსს“ არც ერთი ეს აქტი არ დაურღვევია, მიუხედავად იმისა, რომ ამერიკელი მემარჯვენე კონსერვატორები გამალებით ცდილობენ ასანჟი შპიონაჟის მუხლით გასამართლდეს.

▸ ასევე, ჯერჯერობით არ არსებობს არც ერთი კონკრეტული ფაქტი იმისა, რომ „ვიკილიქსის“ მასალებმა ვინმე დააზარალა. თანაც, „ვიკილიქსმა“, ისევე როგორც იმ გაზეთებმა, რომლებმაც გაავრცელეს ეს მასალები, ამოიღეს მიმოწერიდან კონკრეტული, არასაჯარო პირების სახელები სწორედ იმ მოსაზრებით, რომ დაეცვათ მათი უსაფრთხოება.

▸ არის თუ არა ამ მასალებში სასარგებლო ინფორმაცია? ამ კითხვაზე პასუხები უხვადაა ჟურნალის ამავე ნომერში (გვ. 8-9, 12-20). მე კი აქვე მოგახსენებთ, რომ ისინიც კი, ვინც ამ საიდუმლო მასალების გამოქვეყნების პირველ დღეებში ამბობდნენ, რომ აქ სერიოზული არაფერი იყო, დიპლომატიური ჭორაობის მიღმა, მოგვიანებით, ბოდიში მოიხადეს, რადგან „ვიკილიქსს“ სულ უფრო და უფრო სერიოზული ფაქტები გამოაქვს სააშკარაოზე, როგორც კონკრეტულ სახელმწიფოებზე, ასევე მულტინაციონალურ კორპორაციებზე.

„ვიკილიქსმა“ ჩვენამდე მოიტანა საიდუმლო ინფორმაცია, რომელიც უნდა გვცოდნოდა. ახლა კი ამერიკას აქვს არჩევანი: ან უარი თქვას ორმაგ სტანდარტებზე და მისი რიტორიკა რეალურ პოლიტიკას დაუახლოვოს, ან დაემსგავსოს სხვა, სრულად თუ ნახევრად ტოტალიტარულ ქვეყნებს და უფრო მეტად გაასაიდუმლოს რეალობა.

იმედია, ამერიკას აქვს სწორი არჩევანის გაკეთების პოტენციალი.

შორენა შავერდაშვილი

რედაქტორები: მთავარი რედაქტორი **შორენა შავერდაშვილი** /აღმასრულებელი რედაქტორი **სოფო ჭაავა** / კავკასია და კონფლიქტები **სოფო ბუკია** / საზოგადოება **თამარ ბაბუაძე** / ახალი ამბები **ნათია ახალაშვილი, ნანა საჯაია** / ვებგვერდის რედაქტორი **ნინო ჯაფიაშვილი**
ჟურნალისტები: მაია წიკლაური, ნინო გოგუა, მარიკა ქოჩიაშვილი, ეკა ჭითანავა, რუსუდან ფანაზიშვილი, ანიტა თვაური, თამარ ფარადაშვილი, ნინო ჩიმაკაძე, ნინო რობაქიძე, ნათია გულიაშვილი
კონტრიბუცია: მარკ მალენი, გიორგი ცხადაია, ლევან იზორია, ნანა საჯაია, ნინია კაკაბაძე, დავით ბუხრიკიძე, გიო ახვლედიანი, კახა თოლორდავა, მოლი კორსო, ლექსო ჩქარეული, ემილ სულეიმანოვი, ირაკლი კობახიძე, დინა ჩაჩუა, გიორგი ლომსაძე, ქეთი ქანთარია
რედაქცია: ფოტო-რედაქტორი **ლევან ხერხეულიძე** / გრაფიკული დიზაინი **თორნიკე ლორთქიფანიძე** / რედაქტორ-სტილისტი **პაატა შამუგია** / კორექტორი **თამარ ღონღაძე**
გამოცემლობა: პროექტის მენეჯერი **ქეთი ბაბუნაშვილი** / პროექტის მენეჯერის ასისტენტი **ლელა შუბითიძე** / კლიენტთა მომსახურების მენეჯერი **ნათია რუსაძე** / დისტრიბუტორი **ზვიად შენგელია**
გამოცემელი: შპს „ლიბერალი“. მისამართი: თბილისი 0162, ფალიაშვილის ქ. 108. ტელ.: (995 32) 232235, 233731, 912326. ელ-ფოსტა: info@liberali.ge
სხვა გამოცემები: „ცხელი შოკოლადი“, „ცხელი შოკოლადი – ლიტერატურა“, „ბიზნესი: ადამიანები, მეთოდები, სტრატეგიები“.

„ლიბერალის“ საავტორო უფლებები დაცულია.
ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების ნანილობრივი და/ან მთლიანი გამოყენება რედაქციის თანხმობის გარეშე აკრძალულია.

ბეჭდვა: სტამბა „სეზანი“. მისამართი: თბილისი, ნერეთლის გამზ. 140. ტელ.: (995 32) 35 70 02.
გამოდის კვირაში ერთხელ, ყოველ ორშაბათს. პირველი ნომერი გამოცემულია 2009 წლის მაისში. რეკომენდებული საცალო ფასი 2 ლარი.
www.liberali.ge
ISSN 1987-7528

რელიგიური ექსჰიბიციონიზმი

ძალიან დიდი ხანია რელიგიურ საკითხზე ასეთი ჯანსაღი და სწორი კომენტარი არ წამიკითხავს. მაინც ვფიქრობ, რომ ყველა რელიგიის წარმომადგენლებს და, მით უმეტეს, რელიგიას, რომელსაც ერის უმრავლესობა მისდევს აქვთ უფლება საკუთარი კუთხე მოითხოვონ თუნდაც უნივერსიტეტში და ეს ექსჰიბიციონიზმთან არ უნდა გავაიგივოთ.

სტუმარი

„ყველა რელიგიის წარმომადგენლებს და, მით უმეტეს, რელიგიას რომელსაც ერის უმრავლესობა მისდევს, აქვთ უფლება საკუთარი კუთხე მოითხოვონ თუნდაც უნივერსიტეტში“ მაშინ ერთი კუთხე მართლმადიდებლებს დავუთმოთ, მეორე კათოლიკეებს, კიდევ ერთი პროტესტანტებს და ა.შ. მერე მარტო ქრისტიანობას ხომ არ მივანიჭებთ უპირატესობას. კიდევ ერთი ოთახი სამეჩეთედ გამოვყოთ და ერთიც სასინაგოგედ. წინააღმდეგ შემთხვევაში ეს იქნება დისკრიმინაცია. რა, მართლმადიდებელს უნდა ლექციებს შორის ლოცვა და მუსულმანს არა?

ნატოშა

რეფორმებია ეკლესიაში საჭირო, რეფორმები. ეკლესიაც ცოცხალი ორგანიზმია და მასაც ჭირდება ახალი სისხლის გადასხმა. გვჭირდება განათლებული მღვდლები, რომლებიც მინიმუმ თეოლოგიაში და მსოფლიო ისტორიაში ერკვევიან და არა ეკლესიას თავშეფარებული „ძველი ბიჭები“. ეს, პირველ რიგში, ეკლესიას უნდა უნდოდეს... მოდით, მოვეშვათ ფარისევლობას, ნუ ვიმარხულებთ მრევლის, მამაოს დასანახად...ვაქციოთ მარხვა სულიერ მოთხოვნილებად. თუ ვერ ძლებ კარაქის და ნაყინის გარეშე, მოდი, რძის ნაყინი და კარაქი ჭამე. სამარხვო კარაქის ჭამა ჩემთვის იმის ასოციაციას ქმნის, ადამიანმა თავისთავს საპირისპირო სქესთან სექსი რომ აუკრძალოს და თავს სექს სათამაშოებით ირთობდეს.

სინანო

ის, რაც შენ შესახებ ყველამ იცის

საერთოდ რა საჭიროა ეს ისტერია იმის შესახებ, რომ ვინმემ ჩვენს შესახებ რამე ზედმეტი არ გაიგოს. რა დაშავდება თუკი სარეკლამო კომპანიას ეცოდინება, რომ მაგალითად, მე ვინტერესდები ტექნიკით, სხვადასხვა ქვეყნის სამზარეულოთი ან წიგნებით. მოხდება ის, რომ ჩემს გვერდზე განთავსდება რეკლამები, რომელიც მე რეალურად შეიძლება გამომადგეს. რაც შეეხება სურათებს, ნუ ატვირთავთ იმ ფოტოებს, რომელთა აფიშირებაც არ გსურთ.

სტუმარი

რატომ არ აწუხებს საქართველოში არავის, რომ მათი პირადი ინფორმაცია უსინდისოდ იყიდება? თუ რომელიმე კომპანიას უნდა, გაიგოს მე რა მჭირდება, მოვიდეს და მკითხოს, დახარჯოს მილიონი დოლარი და ჩაატაროს კვლევა, თუ ფულის გაკეთება უნდა ადგეს და ცოტა განვალდეს. ძნელია სოციალური ქსელის გამოყენებაზე უარის თქმა, როცა ბევრი ადამიანი „მასში და მისით“ ცხოვრობს, მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს, რომ ჩემი უფლებებიც იყოს დაცული. ფეისბუკზე დარეგისტრირებისას სადმე რომ ყოფილიყო მითითებული, რომ შენი პირადი ინფორმაცია გაიყიდებოდა სხვადასხვა კომპანიებზე, რომლებიც მერე ამით სერიოზულ „მაყუთს“ გააკეთებდნენ, რამდენი თქვენგანი დარეგისტრირდებოდა ამ საიტზე? დარწმუნებული ვარ, იმდენი არა, რამდენი მომხმარებელიც დღეს რეალურად ჰყავს.

სტუმარი

საკმარისია ამდენი ფარისევლობა!

ბავშვი ცარიელი ფურცელია, რასაც იმ წლებში ხედავს და აღიქვამს, იმას ავლენს დიდობაშიც. შეიძლება ბავშვი ხედავდეს, რომ მის მშობლებს ერთმანეთი აღარ უყვართ, მაგრამ ეს მის რეპუტაციაზე სკოლაში, მეგობრების წრეში და ა.შ. არ იმოქმედებს და სანერვიულო არ ექნება, რას ფიქრობენ მის ოჯახზე გარშემომყოფები. ბავშვისთვის ეს პოზიცია მეტად მისაღებია ვიდრე ის, რომ გაშორებულები იყვნენ მისი მშობლები და რაც შეეხება ტყუილს, ეგრე მთელი სამყარო ტყუილში ცხოვრობს სიყვარული ადრე თუ გვიან მთავრდება (ალბათ 99% პროცენტი), ყველა ეგრე უნდა გაშორდეს ერთმანეთს? რას ურჩევდით?

Nikoloz

მე სავსებით ვეთანხმები ავტორს. ადამიანს უნდა ჰქონდეს სიყვარულის და ბედნიერების თავისუფლება. რისი მსხვერპლად შეწირვაა საჭირო ამისათვის – ეს უკვე ინდივიდუალური საკითხია. როცა შუა ხანს მიღწეული ერთ მშვენიერ დილას თვალს გაახელ და აღმოჩნდება, რომ მთელი ზრდასრული ცხოვრება იმ ადამიანთან გაატარე, ვისთანაც ერთ ოთახში გაჩერებაც არ ძალგიძს, მაშინ დადგება ღირებულებების გადაფასების ჟამი. სამწუხაროდ, მაგ დროისთვის ბედნიერების პოვნის შანსი მინიმუმამდეა შემცირებული.

სტუმარი

ჰეტიბიუჰი ექსჰიბიციონიზმი

ანინას ბლოგი

ამას წინათ უნივერსიტეტის შესასვლელში ორმა გოგონამ გამაჩერა. ხელმოწერებს აგროვებდნენ. ერთ-ერთმა მათგანმა კალმისტარი მომაჩეჩა და ღიმილით მითხრა: თუ მართლმადიდებელი ხარ, მოაწერეო.

ძალიან დავიბენი.

– კი მაგრამ, რა არის ეს?

– მიმართვაა დეკანთან.

– რა მიმართვა?

ერთ-ერთმა ახსნა დამიწყო და მეორემ გააჩერა: აზრი არ აქვს, ხელის მოწერა რომ უნდოდეს, ისედაც მოაწერდაო.

მეხუთე კორპუსის ფოიეში ვიყავით და გარშემო უამრავი სტუდენტი ირეოდა. დარწმუნებული ვარ, მათი უმრავლესობა დაუფიქრებლად მოაწერდა ხელს მიმართვას, რომლის შინაარსიც ალბათ, არც მათთვის აუხსნიათ. თუმცა, მთავარი პრობლემა ეს არაა. ის უფრო მაწუხებს, რომ რწმენის (თუ ურწმუნოების) განცხადება საჯარო ადგილას მომთხოვეს, იმ ადამიანების თვალწინ, რომლებთანაც ყოველდღიურად მიწევს ურთიერთობა. თან გამოუვალ მდგომარეობაში ჩამაყენეს. რაც არ უნდა მექნა, მაინც განწირული ვიყავი წინასწარგანსჯისთვის (prejudice ასე ითარგმნება, მგონი). აწერ ხელს – მართლმადიდებელი ხარ, არ აწერ – მართლმადიდებელი არ ხარ, ზედმეტ კითხვებს სვამ და, მით უმეტეს, არ ხარ მართლმადიდებელი.

ჩვენს საზოგადოებაში საეჭვოდ აღიქმება საჯაროდ განუცხადებელი რწმენა. არავის ესმის, როგორ შეიძლება მართლმადიდებელი იყო და არ წევრიანდებოდე ჯგუფში „მე მიყვარს ჩემი პატრიარქი“, არ ულოცავდე გიორგობას ყველა გიორგისა და არაგიორგის, სტატუსად არ აყენებდე, რომ მარხვაზე ხარ. აქ ყველა დიდი ხნის წინ შეთანხმდა, რომ რწმენა პრივატული რამ არაა.

ნაცნობებთან საუბარს კიდევ რა უშავს. შეგიძლია აუხსნა, რომ გარკვეულ საკითხებზე აზრის გამოთქმა არ გსურს. იმ ადამიანებს რა უნდა უყო, გაცნობისთანავე რომ გიკლებენ კითხვებით: რელიგიაზე რა აზრის ხარ? რომელი „მამაოს“ მრევლი ხარ? რას ფიქრობ პატრიარქის ბოლო ქადაგებაზე?.. ეს ტესტია, რომლის ავტორიც ფიქრობს, რომ თითოეულ კითხვას ერთადერთი სწორი პასუხი აქვს, მე კი ვფიქრობ, რომ თვითონ ტესტია არასწორი. ადამიანთან ჩვეულებრივი ურთიერთობის დასამყარებლად (მეგობრობასა და სიყვარულს არ ვგულისხმობ), მისი აღმსარებლობის ცოდნა აუცილებელი არაა.

არ იფიქროთ, რომ საჯაროდ მხოლოდ რელიგიაზე საუბარს ვერიდები, არანაკლებ მაწუხებს ხოლმე შეკითხვები: ხელისუფლებას ვუჭერ მხარს თუ ოპოზიციას, მემარჯვენე ვარ თუ მემარცხენე, ქალიშვილი ვარ თუ არაქალიშვილი. ვერაფრით ვხვდები, რატომ უნდა აინტერესებდეს ჩემთვის უცნობ ადამიანს, თუ რომელ უბანში ვცხოვრობ, საიდანაა ჩემი გვარი წარმოშობით და თბილისში დავიბადე თუ არა. ალბათ, წინასწარი პორტრეტის შექმნა სურთიმ შაბლონის, რომელიც ჩემთან საუბარს გაუადვილებთ. ასეთ კითხვებს მე „ტაქსისტის კითხვებს“ ვეძახი. სწორედ ისინი ფიქრობენ, რომ სანამ A პუნქტიდან B პუნქტამდე მგზავრს გაიყვანენ, მის შესახებ მინიმალური ინფორმაცია მაინც უნდა შეაგროვონ. თუმცა, ტაქსისტებს ის პლუსი აქვთ, რომ შეიძლება მათ აღარასდროს გადაეყარო. ზოგიერთები კი წინასწარი განწყობით თვეების განმავლობაში ხელმძღვანელობენ. განსხვავებულად გექცევიან მხოლოდ იმის გამო, რომ მათი ტესტის შევსებაზე უარი თქვი. ისინი ფიქრობენ, რომ არგაცემული პასუხიც პასუხია. ზუსტად ისევე, როგორც ზემოთ ხსენებულ მიმართვაზე ხელის არმოწერა ნიშნავდა იმას, რომ მე ათეისტი ვარ.

ჰო, მართლა, ვისაც ვკითხე, არავინ იცოდა, რას მოითხოვდნენ სტუდენტები დეკანატისგან. შემიძლია ვივარაუდო, რომ ან უნივერსიტეტში სალოცავი კუთხის გახსნა ენდომებოდათ, ან „მართლმადიდებლობის ისტორიის“ სავალდებულო საგნად დამატება. ერთიც და მეორეც შესანიშნავად ჯდება რელიგიური ექსჰიბიციონიზმის კონტექსტში. არადა მახსოვს, ბავშვობაში მეუბნებოდნენ, რომ ჯვრის ტარება მხოლოდ ტანსაცმლის შიგნით შეიძლება.

საქინე მოჰამად აშთიანი და მისი შვილი საჯადი, დეკემბერი 2010

სად არის საქინე?

ბრიტანული გამოცემა „გარდიანის“ მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, **ირანელი საქინე მოჰამად აშთიანი, რომელიც 5 ნოემბერს სიკვდილით უნდა დაესაჯათ, ხუთშაბათს მოულოდნელად გაათავისუფლეს.** მეორე დღეს კი საქინეს და მისი ვაჟის – საჯადის – სახლში გადაღებული ფოტოები გავრცელდა. კადრები ირანის სამთავრობო ტელევიზიის, „პრეს ტივის“ მიერაა გადაღებული.

„გარდიანი“ წერს, რომ საქინეს ფოტოების ნახვის შემდეგ, მისმა მხარდამჭერებმა გამარჯვება იზეიმეს. თუმცა, საქინესთან ინტერვიუმ, რომელიც ეთერში გვიან ღამით გავიდა, საქინეს გათავისუფლების თაობაზე ეჭვები გააჩინა, გაჩნდა კითხვა – მართლაც გამოუშვეს საქინე, თუ ირანის ხელისუფლებამ ის სახლში მის წინააღმდეგ მტკიცებულებების შესაგროვებლად და აღიარების გადასაღებად მიიყვანა?

ხანმოკლე ვიდეოში საქინე ქმრის მკვლელობას იხსენებს: „ჩვენ დავგეგმეთ ჩემი ქმრის მოკვლა.“ მეორე დილით, „პრეს ტივიმ“ უარყო ინფორმაცია საქინეს გათავისუფლების შესახებ. მათი მტკიცებით, ადგილობრივი ტელევიზია ირანის სასამართლოსთან შეთანხმების შემდეგ, საქინეს სახლში კამერებით იმისთვის წაჰყვა, რომ მას „ქმრის მოკვლის ამბავი დანაშაულის ადგილზე მოეყოლა.“ მასალა „პრეს ტივიზე“, გადაცემისთვის – „ირანი დღეს“ მომზადდა. როგორც ტელევიზია აცხადებს, გადაცემის მიზანია „ნათელი მოჰფინოს ამ მკვლელობას.“

43 წლის ირანელი ქალი, ორი შვილის დედა, საქინე მოჰამად აშთიანი, ქმრის ღალატის გამო 2006 წლის მაისში დაიკავეს და 99 როზგი მიუსაჯეს. სექტემბერში კი, ქმრის სიკვდილიც დასდეს ბრალად და მოსამართლემ ჩაქოლვის განაჩენი გამოუტანა. საქინეს მხარდასაჭერი მსოფლიო კამპანია 2010 წლის ზაფხულში დაიწყო. სექტემბერში კი, ირანის მთავრობამ გაავრცელა ინფორმაცია, რომ შესაძლოა განაჩენი – ქვებით ჩაქოლვა, ჩამოხრჩობით შეიცვალოს.

დღემდე არავინ იცოდა, ცოცხალი იყო თუ არა საქინე მოჰამადი.

პირველი ჩესული სამხედრო ქალაქი აფხაზეთში

აფხაზეთში რუსი მესაზღვრეების დანაყოფის შემოყვანიდან წელიწადნახევრის შემდეგ, სამხედრო პერსონალისთვის პირველი სამხედრო ქალაქის მშენებლობა დასრულდა. ქვედანაყოფი გალის რაიონში, შავი ზღვის სანაპიროზე, სოფელ ფიჩორში განთავსდა. „ასეთი პირობები კარგ რეზულტატს იძლევა, რადგანაც ღირსეულ პირობებში მყოფი ადამიანები ღირსეულად იმსახურებენ“, განაცხადა გახსნაზე პრემიერ-მინისტრმა სერგეი შამბამ. 2011 წლის ბოლომდე კიდევ 17 სასაზღვრო დანაყოფისთვის იგეგმება სამხედრო ბაზის მშენებლობა.

90 დღიანი "გამყინვარების" დასასრული

ობამას ადმინისტრაციამ ხელი ჩაიქნია ისრაელის დარწმუნებაზე – დასავლეთ იერუსალიმში ებრაული დასახლების დროებით „გაყინული“ მშენებლობა არ განეახლებინა. Wall Street Journal-ის ინფორმაციით, ამერიკა ისრაელი-პალესტინის სამშვიდობო მოლაპარაკებებისადმი უიმედოდაა განწყობილი.

თეთრმა სახლმა უკვე განაცხადა, რომ ისრაელისგან მშენებლობის გაუგრძელებლობის გარანტიები ვერ მიიღო, 90-დღიანი პაუზა კი პალესტინა-ისრაელის ურთიერთობებში პროგრესის მომტანი ვერ იქნება.

სტუდენტები პრინცის და პრინცესას წინააღმდეგ

ლონდონში საკანონმდებლო ცვლილებით გაბრაზებული **მომიტინგეები თავს პრინც ჩარლზის და კამილას მანქანას დაესხნენ.** სტუდენტმა პროტესტანტებმა მანქანის შუშები ჩაამტვრიეს. თვითმხილველების თქმით, იმ მომენტისთვის ადგილზე ხუთასამდე მომიტინგე იყო. ისინი პრინცის მანქანას ესკორტმა და პოლიციამ დააშორა. მომიტინგეები ბრიტანეთის უნივერსიტეტებში სწავლის საფასურის ზრდას აპროტესტებდნენ, რომელიც პარლამენტმა დაამტკიცა. პარლამენტის გადაწყვეტილებით წლიური საფასური თითქმის გასამმაგდა და წელიწადში ცხრა ათას ფუნტს შეადგენს. პროტესტების მსვლელობისას 38 მომიტინგე დაზარალდა, 26 კი დააპატიმრეს.

ვინ ებრძვის კორუფციას ყველაზე ეფექტურად

თბილისის მოსახლეობის **77% მიიჩნევს, რომ კორუფციასთან ბრძოლის თვალსაზრისით, საქართველოს მთავრობა „ეფექტური“ ან „ძალიან ეფექტურია.“** გამოკითხვა კომპანია „გორბის“ დახმარებით, არასამთავრობო ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველომ“ ჩაატარა.

მოქალაქეების მხოლოდ 9% მიიჩნევს, რომ ბოლო სამი წლის განმავლობაში კორუფცია „(ძალიან) გაიზარდა.“ სხვა ქვეყნებთან შედარებით, ეს ყველაზე დაბალი მაჩვენებელია. კითხვაზე – გადაუხდიათ თუ არა ქრთამი ბოლო 12 თვის განმავლობაში, გამოკითხულთა მხოლოდ 3%-მა უპასუხა დადებითად, რაც 2010 წელს გამოკითხულ ქვეყნებს შორის ყველაზე დაბალი მაჩვენებლია.

ტონჯუესი წესების ბუნებაში

ფოტო: გაზეთ „ალ ალ“-ის ინფორმაციით

გამომცემლები სასკოლო სახელმძღვანელოების გრიფირების კონკურსში ჩაერთნენ, თუმცა მათ კონკურსის პირობები არ იციან. განათლების მინისტრმა გრიფირების წესის შეცვლაზე პირველად ერთი თვის წინ განაცხადა. ერთ-ერთი მთავარი ცვლილება სახელმძღვანელოების ბიზნესში სახელმწიფოს ჩარევაა. იცვლება საავტორო უფლებების და თანამესაკუთრეობის წესებიც. თუმცა, კონკრეტული დებულება, რომელიც სახელმძღვანელოების გამოცემით დაინტერესებულ პირებს ამ ცვლილებებს და პირობებს დაწვრილებით განუმარტავს, ჯერ არ გამოქვეყნებულა. დიმიტრი შაშკინმა „ლიბერალს“ განუცხადა, რომ დებულება მომავალ კვირას გამოქვეყნდება. თუმცა, განათლების სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმების ცენტრის მიხედვით გრიფირების კონკურსის პირობებზე მუშაობა იანვრამდე არ დასრულდება, რადგან ჯერ ზოგადი განათლების შესახებ კანონში პარლამენტმა ცვლილებები უნდა განიხილოს.

ინფორმაციის: „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ „გლობალური ბარომეტრი 2010“

78%

ბოლო სამი წლის განმავლობაში კორუფციის დონის „შემცირებაზე“ ან „ძალიან შესამჩნევ შემცირებაზე“ საუბრობს.

9%

მიიჩნევს, რომ კორუფცია „(ძალიან) გაიზარდა.“

56%-ის

აზრით, მთავრობა კორუფციასთან ბრძოლის საქმეში ყველაზე ეფექტური ინსტიტუტია.

სიტყვები

„აგენტებზე მასალებს ვაქვეყნებთ, რათა საქართველოში მცხოვრებმა პოტენციურმა აგენტებმა დაინახონ, რომ უცხო ძალებთან თანამშრომლობა არ ღირს, ისინი კი, ვინც უკვე თანამშრომლობენ, ჩვენთან მოვიდნენ.“

ვანო მერაბიშვილი „კომერსანტთან“ ინტერვიუში რუსეთის აგენტურის შესახებ

„ჩვენ მხარი უნდა დავუჭიროთ რუსეთის ძალისხმევას, გაწევრიანდეს ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში. ეს წაადგება, როგორც რუსეთს, ასევე ჩვენ და გლობალურ ეკონომიკას.“

ბარაკ ობამა რუსეთის მსო-ში გაწევრიანების შესახებ

„პრეზიდენტი მედვედევი არ გამორიცხავს იმის შესაძლებლობას, რომ კენჭს იყრის (2012 წლის საპრეზიდენტო) არჩევნებში. ეს მას დანამდვილებით უნდა.“

არკადი დვორკოვიჩი, რუსეთის პრეზიდენტის თანაშემწე

ორი აზრი

მომხრე
ზაალ ანდრონიკაშვილი
ლიტერატურათმცოდნე

„ვიკილიქსმა“, უფრო სწორად კი, მასზე რეაქციებმა რამდენიმე პრინციპული საკითხი დაგვანახა.

აღმოჩნდა, რომ ნორმალურია, როდესაც სახელმწიფო ყიდულობს მოპარულ საბანკო მონაცემებს გადასახადებისგან თავის ამრიდებელთა დასასჯელად.

აღმოჩნდა, რომ ნორმალურია, როდესაც სპეცსამსახურები კითხულობენ მოქალაქეების პირად მიმოწერას, უსმენენ მათ სატელეფონო საუბრებს და შემდეგ, კომპრომიტირების მიზნით ამ საუბრების რამე ნაწყვეტს აქვეყნებენ.

აღმოჩნდა, რომ ნორმალურია, როდესაც ერთი სახელმწიფოს დიპლომატიური ან სპეციალური სამსახური მეორე სახელმწიფოს ამა თუ იმ ფორმით საიდუმლო ინფორმაციას ჰპარავს.

მაგრამ, აღმოჩნდა, რომ არანორმალურია („შესაძლოა კრიმინალურია“, – აღნიშნა საქართველოს უშიშროების საბჭოს ახლად დანიშნულმა მდივანმა და ამით იურიდიული აზრი აქამდე დაუპყრობელ სიმაღლეებზე აიყვანა) თუ იმავეს გააკეთებს ერთი ადამიანი ან ადამიანთა ჯგუფი, რომელიც არც ერთი სახელმწიფოს ინტერესით ზურგგამაგრებული არ არის.

ასეთი დამოკიდებულება გვიჩვენებს, რომ სახელმწიფო უპირობო სიკეთედ არის მიჩნეული – ყველაფერი, რაც სახელმწიფოს სახელით კეთდება, კარგია და ლეგიტიმურია.

„ვიკილიქსმა“ სიტუაცია შემოაბრუნა და ინფორმაცია, რომელსაც სახელმწიფო ასაიდუმლოებს, მოქალაქეებისთვის ხელმისაწვდომი გახადა. მნიშვნელოვანი იყო არა პასუხები, რომელიც „ვიკილიქსმა“ გასცა კონკრეტულ შეკითხვებზე, არამედ ის კითხვები, რომლებიც აქტუალური გახდა „ვიკილიქსის“ მიერ საიდუმლო მიმოწერის გასაჯაროების შემდეგ.

ეს კითხვებია: რამდენად თავისუფალია „თავისუფალი” სამყარო? სად გადის სიტყვის და გამოხატვის თავისუფლების საზღვარი?

„ვიკილიქსი“ შეეხო იმას, რასაც ძველ რომში „arcana imperii“-ს, მმართველობის საიდუმლოებას უწოდებდნენ. ეს არის სახელმწიფოს ფუნქციონირების ის ნაწილი, რომელიც საზოგადოების გარეშე, დახურულ კარს მიღმა ხორციელდება.

აღმოჩნდა, რომ სიტყვის თავისუფლება (ზოგიერთებისათვის) სწორედ იქ მთავრდება, სადაც იწყება „arcana imperii“, რომ ჩვენ, მოქალაქეებს, ყველაფრის თქმა შეგვიძლია, გარდა „გამოუთქმელის“, იმის, რასაც ჩვენ მიერ დაქირავებული მოხელეები ჩვენსავე ინტერესში ჩვენვე გვისაიდუმლოებენ.

ღიაობაა თუ არა "ვიკილიქსის" მიერ გამოქვეყნებული ინფორმაცია?

■ მნიშვნელოვანი იყო არა პასუხები, რომელიც „ვიკილიქსმა“ გასცა კონკრეტულ შეკითხვებზე, არამედ ის კითხვები, რომლებიც აქტუალური გახდა „ვიკილიქსის“ მიერ საიდუმლო მიმოწერის გასაჯაროების შემდეგ.

მოწინააღმდეგე
ეკა კვესიტაძე
ჟურნალისტი

„ასანჟი – ახალი ქრისტე“ – არ გაგიკვირდეთ, ფეისბუკზე უკვე ასეთ პოსტებსაც შეხვდებით. ეს შედარება, რომელიც საღი განსჯისა და კრიტიკის მიღმა დგას, „ვიკილიქსის“ დამფუძნებლის იდეალიზაციის მცდელობაა. ასეთი აბსურდის გარდა, ასანჟზე მსჯელობისას მოისმენთ ასევე იდეალიზირებულ, თუმცა უფრო რაციონალურ არგუმენტს – რომ ის მოქალაქეებს საჭირო ცოდნით აღჭურვავს, რაც მეტ ბერკეტს აძლევს მათ საკუთარი ხელისუფლებების გასაკონტროლებლად.

მოქალაქის აღჭურვა სასარგებლო ინფორმაციით აუცილებელია (ეს არის მედიის უპირველესი ფუნქციაც). მაგრამ ამ შემთხვევაში, სიტყვა „სასარგებლო“ შეფასებითია.

სასარგებლოა ინფორმაცია, საიდანაც ვიგებთ, რომ მაგალითად, სახელმწიფო ორგანიზაციის ხელმძღვანელი ფულს იპარავს, რომ სანარმო გარემოს დასაშვებ ნორმაზე მეტად აბინძურებს, რომ საავადმყოფო პაციენტს ცუდად მკურნალობს და ა.შ.

ვერ შევაფასებ იმ გამოუქვეყნებელ მასალებს, რომელიც შესაძლოა, ძალიან მნიშვნელოვან სიახლეებს შეიცავს. მაშინ, როცა ამ მოსაზრებას ვწერ, „ვიკილიქსზე“ მხოლოდ ის საიდუმლო დიპლომატიური მიმოწერაა გამოქვეყნებული, რომელიც ბადებს კითხვას – რა სასარგებლო ინფორმაციას გვაწვდის ასანჟი და როგორ გვეხმარება ეს ინფორმაცია, გავაკონტროლოთ ხელისუფლება? ჯერჯერობით, ამ ინფორმაციით მოტანილი სიკეთე არ ჩანს.

ასე რომ, ასანჟის იდეალიზება ჯერჯერობით მხოლოდ იმ ადამიანებს შეუძლიათ, რომლებიც ან გამოუსწორებელი რომანტიკოსები არიან, ან ანარქისტები (რომლებისთვისაც „სახელმწიფო ინსტიტუციებთან“ ბრძოლა თვითმიზანია), ან „ამერიკული იმპერიალიზმის“ მტრები.

მე კი ასანჟის მასალებს დაველოდები ირანზე, რუსეთზე, ჩრდილოეთ კორეასა და ჩინეთზე, ან რომელიმე გავლენიანი ორგანიზაციის კორუფციულ გარიგებებზე, და მხოლოდ ამის შემდეგ დავიწყებ ფიქრს მასზე, როგორც მედიის ახალ მესიაზე.

■ ასანჟის იდეალიზება ჯერჯერობით მხოლოდ იმ ადამიანებს შეუძლიათ, რომლებიც ან გამოუსწორებელი რომანტიკოსები არიან, ან ანარქისტები, ან „ამერიკული იმპერიალიზმის“ მტრები.

ახალგორი

სადავო საკუთრება

ახალგორის ქართული მოსახლეობა შიშობს, რომ სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლება მათ საცხოვრებელ სახლებსა და მიწის ნაკვეთებს ჩამოართმევს.

გოგა აფციაური

სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო პრეზიდენტმა – ედუარდ კოკოითმ – ხელი მოაწერა ბრძანებას, რომელიც ბათილად აცხადებს 1991 წლიდან 2008 წლამდე ქართული ადმინისტრაციის მიერ გაცემულ ყველა დოკუმენტს საცხოვრებელი ფართებისა და მიწის ნაკვეთების ფლობის შესახებ. ამ დოკუმენტით, ახალგორის რაიონის საცხოვრებელი ფონდი სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო რესპუბლიკის სახელმწიფო საკუთრებად გამოცხადდა.

ახალგორის დე ფაქტო ადმინისტრაციამ უკვე დაიწყო საცხოვრებელი ფონდის აღწერა, შენობებისა და მიწის ნაკვეთების ინვენტარიზაცია. ახალგორელები ბოლომდე ვერ ერკვევიან, რაში დასჭირდა კოკოითს ახალი ბრძანების გამოცემა. როგორც ადგილობრივი მცხოვრები თამარ მეარაყიშვილი ამბობს, კომისიის წევრები აცხადებენ, რომ მოსკოვის დავალებას ასრულებენ.

„უკვე შევეჩვიეთ ამ აღწერებს. ხან თვეში ერთხელ, ხან ორ თვეში ერთხელ მოდიან და რაღაც აღწერებს ატარებენ, აინტერესებთ, რამდენი სული ვცხოვრობთ, მიწა რამდენი გვაქვს და რა ქონებას ვფლობთ. თავიდან გვეგონა, რომ ამას მოსახლეობისთვის ჰუმანიტარული დახმარების გასაცემად აკეთებდნენ, მაგრამ ახლა გავიგეთ, რომ ეს ყველაფერი 90-იანი წლების შემდეგ შეძენილ ქონებასაც ეხება და შევშფოთდით.“

ახალგორის დე ფაქტო ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ალან ჯუსოევი ამბობს, რომ აღწერა 90-იან წლებში ახალგორის რაიონიდან დევნილ ოსებს ქონების დაბრუნებაში დაეხმარება. მისი თქმით, ქონებრივ დავებს სამხრეთ ოსეთის სასამართლო განიხილავს და თუ შესაბამისი გადაწყვეტილება იქნება, 90-იანი წლების კონფლიქტის შემდეგ იქ შესახლებულ მოქალაქეებს გამოასახლებენ.

„აღწერის დასრულების შემდეგ სასამართლო ჩვენი დევნილების განცხადებების მიღებას დაიწყებს, რომლებმაც 1991 წლიდან 2008 წლამდე უძრავი ქონება დაკარგეს, შემდეგ უკვე სამუშაო პროცესში გადაწყდება მათთვის წართმეული ქონების და მიწის ნაკვეთების დაბრუნება,“ – ამბობს ალან ჯუსოევი.

ახალგორი

ახალგორელი თამარ მეარაყიშვილი ადასტურებს, რომ დაბაში, მართლაც, არსებობს სადავო სახლები. მისი თქმით, ამ სახლებში 90-იან წლებში სამხრეთ ოსეთის სხვა რაიონებიდან დევნილი ქართველები შესახლდნენ, თუმცა აგვისტოს ომის შემდეგ მათ დაბა დატოვეს და უკან აღარ დაბრუნებულან.

მისი თქმით, 90-იანი წლების კონფლიქტის შემდეგ ბევრმა ოსურმა ოჯახმა ახალგორში სახლები ქართველებს მიჰყიდეს. დღეს ახალგორელები შიშობენ, რომ დე ფაქტო ადმინისტრაცია გაყიდული სახლების ჩამორთმევასაც დაიწყებს.

„90-იან წლებში იყო შემთხვევები, როცა "ზვიადისტები" ახალგორში ოსებს სახლებს ართმევდნენ. ის ქართველები, რომელთაც ამგვარი რამ გაუკეთებიათ, აქ აგვისტოს ომის შემდეგ აღარ არიან და გაუგებარია, რაში სჭირდებათ ამ კანონის გამოცემა? აქ ოსები ოჯახებით არ ბრუნდებიან, მხოლოდ რუსებს თუ ჩამოასახლებენ. აქაურმა ოსებმა ვლადიკავკაზში უკეთესი ცხოვრება ნახეს, აქეთ გამოხედვა აღარ უნდათ. რა უნდა გააკეთონ ამ უპატრონო ახალგორში, სადაც გამგებელიც კი არ რჩება ერთი ღამით.“

ახალგორის ქართული ადმინისტრაციის საკრებულოს თავმჯდომარე ავთანდილ ყოჩიშვილი ედუარდ კოკოითის ბრძანებას უკანონოს უწოდებს: „ისინი ამ სახლებს და მიწას ვერ შეეხებიან. საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით, კოკოითის ბრძანებას არანაირი იურიდიული ძალა არა აქვს. კოკოითიმ რაც არ უნდა დაწეროს, ამას არანაირ მნიშვნელობას არ ვანიჭებთ, თუ ისინი სახლებიდან ძალით არ გამოყრიან ხალხს.”

ახალგორელები ამბობენ, რომ თუ კოკოითის ხელისუფლება აქტიურ ქმედებებზე გადავა და სახლების და მიწის ნაკვეთების ჩამორთმევას დაიწყებს, სხვების მსგავსად, მათაც მოუწევთ დაბის დატოვება და წეროვანში გადასახლება. აგვისტოს ომამდე ახალგორში 5 ათასზე მეტი ადამიანი ცხოვრობდა, დღეს მათი რიცხვი ათასამდეა. ომის შემდეგ დიდმა ნაწილმა რაიონი დატოვა და წეროვანში გადასახლდა. დაბაში დარჩენილი მოსახლეობის დიდ ნაწილს ეთნიკური ქართველები შეადგენენ.

თვალსაზრისი

ეროვნული აბიტპოლების თავისებურებანი

რა საერთო აქვს და რით განსხვავდება ქართული პროპაგანდა აფხაზურისგან.

ახრა სმირი, სოხუმი

ამ დღეებში თბილისში ქორწილი გაიმართა, რომელმაც მთავრობისა და მედიის ძალისხმევის შედეგად, სიმბოლური დატვირთვა შეიძინა. აფხაზი პატარძალი და ქართველი სიძე – ამ შთამბეჭდავი მისტერიის ავტორების აზრით, ეს წყვილი ზედმიწევნით განასახიერებდა ერთიანობისა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პათოსსა და აზრს. ყოველ შემთხვევაში, სწორედ ასეთი შთაბეჭდილება შეექმნებათ მათ, ვინც ამ ქორწილის შესახებ სიუჟეტს „რუსთავი 2“-ზე უყურა. ბედნიერ წყვილს უკვე გამოუყვეს ბინა თბილისში და საეთერო სივრცე – მედიაში.

სტილისტურად და შინაარსობრივად საბჭოურ სტილში აგებული სიუჟეტი საქართველოს პრობლემების ადმინისტრაციულ-ტელევიზიური გზით გადაწყვეტის ძალიან გულუბრყვილო ხედვაა. როგორც ჩანს, ამ ხედვას თბილისში ბევრი მიმდევარი ჰყავს, თუმცა – ყოველგვარი რეალური საფუძვლის გარეშე.

ძალიან საეჭვოა, რომ ქორწილის ასეთ დონეზე რეკლამირებამ რაიმე დადებითი იმპულსი შესძინოს საქართველოსა და აფხაზეთის შერიგების პერსპექტივას. მაგრამ პრობლემა მხოლოდ ეს არაა.

ამ უცნაურ ისტორიაში ბევრი სხვა დეტალიც მოიკოჭლებს. ბინა, რომელიც ხელისუფლების „საჩვენებელ მოწყალებად” იქცა, დევნილთა საცხოვრებელი პირობების გადაწყვეტის წარმატებულ მაგალითად ვერ გამოდგება. მეტიც, ბევრი მათგანი, ვფიქრობ, შეურაცხყოფილიც დარჩებოდა იმით, თუ რა ადვილად გაიღო ხელისუფლებამ ძვირფასი კვადრატული მეტრები პრიმიტიული პროპაგანდისთვის. ადრე, ერთმა ქართველმა დევნილმა ბინის მიღებად პროტესტის ნიშნად პირიც კი ამოიკერა, თუმცა ბინა მაინც ვერ მიიღო. როგორც ჩანს, აგრესიულ აგიტაცია-პროპაგანდას წარმატებული სურათის დახატვა ურჩევნია. საქართველოს რეალური მიღწევების (რომელთა არსებობას ვერ უარყოფ) აბსოლუტიზება ხდება, წარუმატებლობები კი საგულდაგულოდაა მიჩქმალული. ასე, მაგალითად, ქართული პოლიციის იდეალურად

■ რესპუბლიკის ახალ სიმბოლოდ „როსნეფტის“ ბენზინგასამართი სადგურები იქცა, როგორც უფროსი ძმის ხელშეწყობით ქვეყნის ეკონომიკური აღორძინების დამამტკიცებელი საბუთი.

აწყობილი აპარატი არა მარტო კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლისა და სამართალდამცავი ორგანოების ეფექტური მუშაობის, არამედ ზენოლის იდეალურ საშუალებაც გახდა: დემონსტრაციების დარბევითა და ბიზნესზე ზენოლით დაწყებული, „გონივრულად საეჭვო“ მოქალაქეების სატელეფონო საუბრების მოსმენებით დამთავრებული.

მედიისა და ადმინისტრაციული რესურსების ამ გზით გამოყენება უნიკალური ქართული მოვლენა სულაც არ არის. აფხაზეთშიც იგივე ხდება, ოღონდ სპეციფიკა ცოტა განსხვავებულია. რესპუბლიკის ახალ სიმბოლოდ „როსნეფტის“ ბენზინგასამართი სადგურები იქცა, როგორც უფროსი ძმის ხელშეწყობით ქვეყნის ეკონომიკური აღორძინების დამამტკიცებელი საბუთი.

მართლაც, ზედაპირზე სწორედ ეს იკითხება, თუმცა უფრო ღრმა ჩანაფიქრი სხვა არის: რუსეთის ნავთობკომპანიის აბრების გამოფენით, რესპუბლიკის ლიდერები, უპირველეს ყოვლისა, საკუთარი თავით კმაყოფილებას გამოხატავენ. ისინი ხომ კრიმინალური გზებით რესურსების გადანაწილების ელიტარული რუსული კლუბის წევრები გახდნენ.

ხოლო აფხაზეთის რეალური სიმბოლოები, რომლებსაც დღეს მედია და ადმინისტრაციული რესურსი საგულდაგულოდ ჩქმალავს, სულ სხვაა. მაგალითად, დღევანდელი აფხაზეთის ჭეშმარიტ სიმბოლოდ შეიძლება, ჩაითვალოს ქონების ჩამორთმევის ფაქტები; პრიმიტიული კორუფცია, რომელსაც მისი ღიაობისა და გულუბრყვილობის გამო, სჯობს, თაღლითობა დავარქვათ; უუნარო სასამართლო სისტემა; ძლიერ მეზობელთან დადებული კოლონიალისტური შეთანხმებები.

თუმცა აფხაზური აგიტაცია-პროპაგანდა ქართულისგან იმით განსხვავდება, რომ იგი აგრესიული არ არის. იგი იშვიათად ასხამს ხოტბას აფხაზური სამოთხის მიღწევებს და უფრო ცხოვრების ბნელი მხარის მიჩქმალვაზეა ორიენტირებული.

HEINRICH BÖLL STIFTUNG
სამხრეთ კავკასია

სტატია მომზადებულია ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის მხარდაჭერით. ამ პუბლიკაციაში გამოთქმული შეხედულებები და მოსაზრებები არ არის აუცილებელი, გამოხატავდეს ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის შეხედულებებს.

Veni Vidi Wiki

„ვიკილიქსი“ – უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე თვითონ ჯულიან ასანჟი.

თამარ ბაბუაძე

ფოტო პაოლო ბაჯერეტოსი / REUTERS

„ვიკილიქსის“ და მისი დამფუძნებლის ჯულიან ასანჟის მხარდამჭერთა საპროტესტო აქცია, ნიუიორკი, 9 დეკემბერი 2010

ჯულიან ასანჟი - ნობელიანტი?

„ვიკილიქსის“ დაპატიმრებული დამფუძნებლის მხარდასაჭერად რუსეთმა ორიგინალური ფორმა მოძებნა: ის ჯულიან ასანჟის ნობელის პრემიაზე წარდგენის იდეით გამოდის.

„არასამთავრობო ორგანიზაციებმა მის დახმარებაზე უნდა იფიქრონ. იქნებ ნობელის პრემიაზე ღირდეს მისი წარდგენა?“ – განაცხადა დიმიტრი მედვედევის ადმინისტრაციის ანონიმურმა წყარომ რუსულ საინფორმაციო სააგენტოებთან საუბარში.

„ვიკილიქსის“ მასალებში რუსეთი „მაფიოზ და კლეპტოკრატ სახელმწიფოდ“ არის მოხსენიებული. ვლადიმერ პუტინმა მის და მედვედევის „ბეტმენად და რობინად“ მოხსენიებას „არაეთიკური“ უწოდა. „ვიკილიქსის“ სანდოობაზე და აშშ-ს ადმინისტრაციის მიერ რუსეთის მმართველობის ”არადემოკრატიულად” შეფასებაზე საუბრისას, ვლადიმერ პუტინმა ჟურნალისტის კითხვას კითხვითვე უპასუხა:

„რატომ გადამალეს ასანჟი ციხეში? ნუთუ ეს არის დემოკრატია?“

10 დეკემბერს სამთავრობო გამოცემის, **Beijing Daily**-ს ცნობით, „ვიკილიქსის“ დამფუძნებლის ნობელის პრემიაზე წარდგენას მხარს ჩინეთიც უჭერს.



ბრიტანეთის ყველაზე დიდ საპყრობილეს, უანდსუორთს, სადაც ერთ დროს სასჯელს ოსკარ უაილდი იხდიდა, აქვს ორი სპორტული დარბაზი, ვიზიტორების ცენტრი – საბავშვო და მოსასვენებელი კუთხეებით. პატიმრების სულიერ სიმშვიდეზე აქ კათოლიკე, ანგლიკანი, მუსლიმი, ბუდისტი, მორმონი და სხვა კონფესიების მღვდლები ზრუნავენ. 1851 წელს აშენებულ ციხეში, სადაც ცდილობენ, პატიმრებს კომფორტი შეუქმნან, არ აქვთ მხოლოდ კომპიუტერები.

უანდსუორთის 1600 პატიმრიდან ამას არც ერთი არ აპროტესტებს. გარდა – ერთისა: უკანასკნელი, ყველაზე ცნობილი ტუსაღი, ჯულიან ასანჟი, რომელსაც ციხის ნაცრისფერი უნიფორმაც არ ჰგვრის დისკომფორტს, პირველ რიგში, სწორედ უკომპიუტერობას ვერ ეგუება.

ასანჟი საგულდაგულოდ განაიარაღეს. კამერაში მხოლოდ საქაღალდეები დაუტოვეს, ოღონდ, უსაფრთხოების მიზნით, ქაღალდი არ მისცეს, რომელსაც ამ საქაღალდეებში ჩააწყობდა.

ციხის ხელმძღვანელობის ლოგიკა, სავარაუდოდ, ასეთია: პატიმარმა, რომლის ორგანიზაციამ, ბოლო სამი კვირის განმავლობაში, ამერიკელი დიპლომატების 250 ათასზე მეტი საიდუმლო დოკუმენტი გამოაქვეყნა, მსოფლიო წერა-კითხვით ისედაც საკმარისად აზარალა.

თუმცა, თუ ჯულიან ასანჟისთვის წაყენებული ბრალდებით ვიმსჯელებთ, ქაღალდების და კალმების კონფისკაცია უსაფრთხოების აშკარად გადამეტებული ზომებია. „ვიკილიქსის“ დამფუძნებელს ხომ, ოფიციალურად, სქესობრივი ძალადობა და პარტნიორის შეურაცხყოფა ედება ბრალად.

ინტერპოლის წითელი ცირკულარით ძებნის შემდეგ, 39 წლის ავსტრალიელი სკოტლანდ იარდს ლონდონში 7 დეკემბერს დილის 09:30-ზე თვითონ ჩაბარდა.

რამდენიმე საათის შემდეგ უესტმინსტერის მაგისტრთა სასამართლოს ცენტრალურ ფოიესთან სატელიტური გადამცემებით, ტელეკამერებით, მიკროფონებით, ფოტოაპარატებით აღჭურვილი ასობით ჟურნალისტი ჯულიან ასანჟის გამოჩენას ელოდა.

ის უკანა კარიდან შეაპარეს.

სავარაუდოდ, აქამდე არც ერთი სექსუალური მოძალადე საერთაშორისო პრესის ასეთი მასშტაბური ყურადღების ღირსი არ გამხდარა. მეტიც, ამ „მოძალადის“ ციხიდან გამოსახსნელად 6 ცნობილი ბრიტანელი მზად იყო, ოცი ათასი გირვანქა სტერლინგი გირაოს სახით საკუთარი ჯიბიდან გადაეხადა. ერთ-ერთი მათ შორის რეჟისორი კენ ლოუჩი გახლდათ.

თუმცა, სექსუალური სკანდალის მიუხედავად, უკანა პლანზე არ გადადის იმ საიდუმლო დოკუმენტების მნიშვნელობა, რომელთა გამოქვეყნებასაც 5 გავლენიანი გაზეთი დღემდე აგრძელებს.

ორმა უცნობმა შვედმა ქალბატონმა ასანჟს სექსუალური ძალადობისთვის აგვისტოში უჩივლა. მაშინ იგი უკვე იყო ვაშინგტონის მთავარი სამიზნე: „ვიკილიქსს“ ერაყის ომის სკანდალური ვიდეოჩანაწერი და დოკუმენტები ავღანეთის ომიდან უკვე გამოქვეყნებული ჰქონდა.

სამი თვის შემდეგ – ნოემბერში ასანჟმა, ისტორიაში უპრეცედენტო ოდენობის კლასიფიცირებული დოკუმენტების გავრცელების გამო, აშშ-ს ხელისუფლება კიდევ ერთხელ ჩააგდო შოკში.

„ვიკილიქსის“ სკანდალიდან 10 დღეში ის ბრიტანულმა პოლიციამ დააკავა – შვედეთში ჩადენილი სექსუალური დანაშაულის გამო.

„გაუპატიურების ბრალდება ყველაზე იოლი რამაა, რაც კი შეიძლება, ამ შემთხვევაში, ასანჟს დაუპირისპირო, მაგრამ ამავე დროს, ეს ისეთი ბრალდებაა, რომლის განეიტრალებაც მას ყველაზე მეტად გაუჭირდება. შეუძლებელია იმის დამტკიცება, რომ იმ მომენტში სექსზე შენი პარტნიორიც თანახმა იყო“, – წერს ამერიკელი მწერალი და ჟურნალისტი ტომას ჰარტი.

აგვისტოში ეს შვედი ქალბატონები მხოლოდ ჯულიან ასანჟის სამედიცინო შემოწმებას ითხოვდნენ იმის გასარკვევად, ხომ არ გადასდო მათ პარტნიორმა ვენერიული დაავადება.

თუმცა, ასანჟის გაუჩინარების შემდეგ ამ ქალების მოთხოვნები შეიცვალა. მათ ასანჟს სასამართლოში უჩივლეს. თავდაპირველად სასამართლომ მათი საჩივარი არც კი განიხილა – მტკიცებულებების სიმცირის გამო. თუმცა, მოგვიანებით ქალებმა გავლენიანი შვედი ადვოკატი დაიქირავეს და საქმეც მხოლოდ ამის შემდეგ აღიძრა. დაკითხვაზე დაბარებული ასანჟი შვედეთიდან გაიქცა. ეს არაჩვეულებრივი საბაბი გახდა მის წინააღმდეგ დარაზმული მთავრობებისთვის.

კითხვას – ცნობთ თუ არა თავს დამნაშავედ? – 7 დეკემბერს, ლონდონის სასამართლოში ასანჟმა აუელვებლად უპასუხა: „არა!“ ბოლო დღეებში გავრცელებულ ერთ-ერთ წერილში კი დაკონკრეტა: „არა მხოლოდ შვედეთში, არამედ არსად, არც ერთ ქვეყანაში, სექსი პარტნიორის სურვილის გარეშე არ მქონია.“

7 დეკემბრიდან მოყოლებული ჯულიან ასანჟი, „ვიკილიქსის“ დანარჩენი წევრები და მათი მილიონობით მხარდამჭერი თითქმის უტყუარ ჭეშმარიტებად მიიჩნევს ვარაუდს იმის შესახებ, რომ გაუპატიურების შესახებ ბრალდება შეთითხნილია და „ვიკილიქსის“ საქმიანობას უკავშირდება, რომელმაც მსოფლიოს ყველაზე გავლენიანი სახელმწიფოების სანახევრო სიმართლე და დანაშაულები გამოავლინა.

ჯულიან ასანჟის დაკავებას ავღანეთის სამხედრო ბაზაზე ჩაწერილ ბლიც-ინტერვიუში, თავდაცვის მდივანი რობერტ გეიტსი ასე გამოეხმაურა: „ასანჟის დაკავება? ამის შესახებ არაფერი მსმენია, მაგრამ თუ ეს ასეა, ძალიანაც კარგი“.

აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის პრეს-სპიკერმა ფილიპ კროულიმ აღნიშნა: „ის, რაც „ვიკილიქსმა“ ჩაიდინა, ამერიკული კანონმდებლობის მიხედვით, დანაშაულია“.

ერთ-ერთი მთავარი კითხვა, რომელსაც, ერთი მხრივ, აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტი და მეორე მხრივ, ასანჟის ადვოკატები უტრიალებენ, ასე ჟღერს: არის თუ არა კანონით დასჯადი ის, რაც „ვიკილიქსმა“ ჩაიდინა?

ამერიკის იუსტიციის დეპარტამენტის სპეციალისტები ივლისიდან მოყოლებული ცდილობენ, ასანჟის დასაკავებლად საკუთარი ქვეყნის კანონმდებლობაში შესაბამისი მუხლი იპოვონ. მაგრამ ჯაშუშობის შესახებ კანონი აშშ-ს ისტორიაში იშვიათად გამოუყენებიათ გაჟონილი ინფორმაციის გამავრცელებლის წინააღმდეგ. სირთულეს ქმნის ის, რომ

ჯონ ბასი: მიხეილ სააკაშვილი "დაუსვენელია", ქართული მედია - "პონტიოლიჰებული"

საქართველო ომის შემდეგ „დღეს ყველაზე სტაბილურია“, თუმცა ეს გაუმჯობესება ამერიკის ელჩის – ჯონ ბასის – შეფასებით, დროებითია.

„საზოგადოებასა და პოლიტიკაში დაუცველობის შეგრძნება ისევ ძლიერია,“ – წერს 2010 წლის 17 თებერვლით დათარიღებულ „ვიკილიქსის“ მიერ გამოქვეყნებულ საიდუმლო წერილში აშშ-ს ელჩი ჯონ ბასი ამერიკელ დიპლომატს, ობამას ადმინისტრაციის წარმომადგენელს ავღანეთსა და პაკისტანში რიჩარდ ჰოლბრუკს.

„შედარებით სტაბილური ეკონომიკითა და სერიოზული კონკურენტის გარეშე, პრეზიდენტი სააკაშვილი, პოლიტიკური თვალსაზრისით, გაძლიერდა, თუმცა რამდენადაც პარადოქსულად უნდა ჟღერდეს, იგი კიდევ უფრო დაუცველია.“

ჯონ ბასი შიშობს, რომ არასწორმა კალკულაციებმა და პროვოკაციამ როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე – მის ჩრდილოეთით, შესაძლოა, კრიზისი ისევ განაახლოს.

„ვიკილიქსის“ მიერ გამოქვეყნებულ მორიგ საიდუმლო დიპლომატიურ არხში ამერიკის ელჩი რიჩარდ ჰოლბრუკს თხოვს, სააკაშვილი დაარწმუნოს, რომ თუ ის ქვეყნის შიგნით დემოკრატიას არ გააძლიერებს, იმ უსაზღვრო კეთილგანწყობას დაკარგავს, რაც ავღანეთში ქართული მისიის გაგზავნის გამო დაიმსახურა.

ვაშინგტონში გაგზავნილ დიპლომატიურ არხში ამერიკელი დიპლომატი იმის ახსნას ცდილობს, რომ ქართველები ავღანეთში კონტრიბუციას ნატოში შესვლის ავანსად მიიჩნევენ. ელჩის შეფასებით, აშშ ორი გამოწვევის წინაშე დგას: „ერთი მხრივ, ამ მცდელობების დაფასებაა საჭირო და მეორე მხრივ კი, იმის ახსნა, რომ ასეთი წვლილი სასარგებლოა, თუმცა სამოქალაქო საზოგადოებაში ცვლილებების გარეშე ნატოს წევრობისთვის საკმარისი არ არის“.

ბასი ქართულ მედიასაც ახსენებს: „ძლიერი სამთავრობო ზეგავლენა, თუ პირდაპირი კონტროლი არა, სამაუწყებლო და სხვა მედია საშუალებებზე განსაკუთრებით ართულებს საქმეს ოპოზიციისთვის... არ არსებობს მყარი კედელი, რომელიც მედია ორგანიზაციაში რედაქტორებს მენეჯმენტისგან გამიჯნავს. ჟურნალისტები ხშირად თვითცენზურას მიმართავენ.“

მთავარი თემა

თუკი მთავრობის წარმომადგენლისთვის ერთმნიშვნელოვნად უკანონოა გრიფირებული დოკუმენტების გარეშე პირებისთვის გადაცემა, ეს უკანონო ქმედებად არ ითვლება ორგანიზაციისთვის, რომელიც უბრალოდ ამ ინფორმაციის გამტარი და გამავრცელებელი ხდება.

ამ ორგანიზაციებს ისევე, როგორც მთელ თავისუფალ პრესას, აშშ-ს კონსტიტუცია იცავს.

დააზიანა თუ არა „ვიკილიქსის“ მიერ გასაჯაროებულმა ინფორმაციამ ამერიკის ნაციონალური ინტერესები? Pew Research Center-ის მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად, ყოველი გამოკითხული ათი ამერიკელიდან ექვსი მიიჩნევს, რომ დიპლომატთა კონფიდენციალური მიმოწერის გამოქვეყნებამ მათი საზოგადოებრივი ინტერესები აზარალა.

კვლევის ჩატარებისას ამერიკელებმა ჯერ კიდევ არ იცოდნენ ნავთობკომპანია Shell-ის, მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი ფარმაცევტული კომპანია Pfizer-ის არაკეთილსინდისიერი საქმიანობის, ტერორისტების უსაფუძვლოდ გამოშვების შესახებ. საიდუმლო მასალების გამოქვეყნება გრძელდება და ინფორმაციის უწყვეტ ნაკადში პრეზიდენტების მეტსახელების გამოაშკარავებასა და დიპლომატების ჭორაობას სულ უფრო და უფრო მნიშვნელოვანი ფაქტები ცვლის.

ბოლო რამდენიმე დღის განმავლობაში გამოქვეყნებული ეს მასალები მნიშვნელობას უკარგავს ჰილარი კლინტონისა და სხვა მაღალჩინოსნების არგუმენტს – რომ საიდუმლო წერილების გასაჯაროებამ დიპლომატიის წარმოება „შეუძლებელი გახადა“, სახელმწიფოები კი უხერხულ მდგომარეობაში ჩააგდო.

ზოგიერთი მიმომხილველი ირონიულად შენიშნავდა იმასაც, რომ მათთვის გასაგები იყო, თუ რატომ აიტაცა „ვიკილიქსის“ მიერ გაშიფრული ბერლუსკონის, პუტინის თუ აჰმადინეჯადის მეტსახელები მედიამ – აბსოლუტურად „ყვითელი“ მიზნით – ტირაჟის ასაწევად.

თუმცა „ვიკილიქსის“ შეფასებისას გამოცდილი ანალიტიკოსებიც კი იცვლიან აზრს. ახალი სკანდალური მასალები და მათზე სახელმწიფოთა მძაფრი რეაქცია გამოქვეყნებულ დოკუმენტებზე ბევრისთვის გახდა ბოდიშის მოხდის საბაბი. გაზეთ Financial Times-ის მიმომხილველი გიდეონ რაქმანი წერს:

„ჩემს წინა წერილებში „ვიკილიქსს“ დიდ მნიშვნელობას არ ვანიჭებდი, მაგრამ მივხვდი, რომ ეს მცდარი შეფასება იყო თუნდაც იმის გამო, რომ ერთმანეთისგან განსხვავდება ამბავი, რომელიც მედიისთვის ზოგად, ზედაპირულ ცოდნას წარმოადგენს და ფაქტი, რომელიც დიპლომატიურ მიმოწერაში დეტალებით მყარდება. უდავოა ამ მასალების პოლიტიკური მნიშვნელობაც. ნახეთ, როგორი განრისხებული რეაქცია ჰქონდა „ვიკილიქსის“ გაჟონვებზე ყველას – თურქეთის პრემიერ-მინისტრიდან დაწყებული ავსტრალიის საგარეო საქმეთა მინისტრით დამთავრებული. ახლა უკვე აშკარაა, რომ მთელი ეს ამბავი დასავლეთის ქვეყნების მთავრობებსა და ინტერნეტ-ანარქისტებს შორის კონფლიქტად ყალიბდება და რაც უფრო მეტი ინფორმაცია ქვეყნდება, მით უფრო მეტი სიურპრიზი გველის“.

სწორედ ამ უსიამოვნო სიურპრიზების გამო „ვიკილიქსის“ მოძულეთა რიგები ჩინოვნიკებსა და ოფიციალურ პირებს შორის დღითი დღე იზრდება.

ვიცე-პრეზიდენტობის ყოფილი კანდიდატი, სარა პეილინი უკვე ნოემბრიდან ითხოვს ჯულიან ასანჟის შეპყრობას, სხვებს პირდაპირ მისი სიკვდილით დასჯა სურთ.

ამერიკელი მწერალი და პოლიტიკური მიმომხილველი, მარკ ტიესენი, რომელიც პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის ასისტენტად მუშაობდა, წერს: „ამერიკამ „ვიკილიქსის“ კიბერომი უნდა გამოუცხადოს. მთავრობები, რომლებიც მას ვირტუალურ, უსაფრთხო სამოთხეს სთავაზობენ, მკაცრად უნდა გავაფრთხილოთ: ან ხართ ჩვენს მხარეს, ან – „ვიკილიქსის“. თუ ისინი „ვიკილიქსს“ საკუთარი ტერიტორიებიდან არ გააქრობენ, მაშინ ჩვენ ისინი უნდა ვაიძულოთ, ასე მოიქცნენ.“

თუმცა, მექანიზმი, რომლითაც სა-

ფოტო: ეპოქა/AP / REUTERS

ჯულიან ასანჟი, 2010

ტერორისტის გათავისუფლება გაჩიბების შედეგად

ოდიოზური ლიდერის – მუამარ კადაფის და მისი ქერა უკრაინელი ექთნის ისტორიის შემდეგ, ლიბია კიდევ ერთხელ მოხვდა „ვიკილიქსის“ მასალებში. საიდუმლო წერილებში ნათქვამია, რომ ბრიტანეთის მთავრობამ ლოკერბის აფეთქების გამო მსჯავრდებული ლიბიელი – აბდელბასეტ ალ-მეგრაჰი მხოლოდ იმიტომ გაათავისუფლა, რომ ლიბიის შეეშინდა.

გასული წლის დიპლომატიურ გზავნილში ლიბიაში აშშ ელჩი ჯინ კრეცი წერს, რომ ალ-მეგრაჰის შოტლანდიის ციხეში სიკვდილის შემთხვევაში მუამარ კადაფი ბრიტანეთს მკაცრი ნაბიჯებით და პოლიტიკური კონტაქტების შესუსტებით ემუქრებოდა.

ალ-მეგრაჰი ციხიდან 2009 წლის 20 აგვისტოს გაათავისუფლეს. ოფიციალურ მიზეზად კიბოს დიაგნოზი დასახელდა: ალ-მეგრაჰი „სიცოცხლის ბოლო დღეებს ითვლიდა“.

თუმცა, როგორც დიპლომატიური მიმოწერა ცხადყოფს, ორივე მხარისთვის ცნობილი იყო, რომ ალ-მეგრაჰის სიცოცხლეს უახლოეს მომავალში საფრთხე არ ელოდა და ეს მხოლოდ პოლიტიკური გარიგება იყო. შოტლანდიის ციხის ყოფილი პატიმარი დღესაც ცოცხალია.

ალ-მეგრაჰი ერთადერთი ადამიანია, რომელსაც 1988 წელს შოტლანდიაში მდებარე ლოკერბის თავზე ამერიკული თვითმფრინავის წინააღმდეგ იერიშის გამო პატიმრობა მიესაჯა. ავიაკატასტროფამ 259 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.

მენინგიტიან ბავშვებზე ჩატარებული ცდების საიდუმლო დეტალები

მსოფლიოს წამყვანი ფარმაცევტული კომპანია **Pfizer**-ი „ვიკილიქსის“ მორიგი სკანდალური სერიის მთავარი გმირია.

10 დეკემბრის დიპლომატიური არხის ცნობით, **Pfizer**-ი ნიგერიის სასამართლოს მის საქმიანობებზე აღძრული საქმეების შეჩერებას აიძულებდა.

ნიგერიის ხელისუფლება Pfizer-ს მენინგიტიანი ბავშვებისთვის მიყენებული ზარალისთვის უჩიოდა. 1996 წელს მენინგიტის ეპიდემიის დროს **Pfizer**-მა დაავადებულ ბავშვებზე ახალი ანტიბიოტიკი – ტროვანი გამოსცადა, რამაც ბავშვებში გართულებები და რიგ შემთხვევებში, სიკვდილი გამოიწვია.

გასულ წელს ნიგერიის მართლმსაჯულებამ **Pfizer**-ს ზარალის ასანაზღაურებლად 75 მილიონი დოლარის გადახდა მიუსაჯა. თუმცა კომპანიას თანხის გადახდა არ სურდა და ამიტომ ნიგერიის მართლმსაჯულების წინააღმდეგ კომპრომატების მოგროვება დაიწყო.

დიპლომატიური არხი **Pfizer**-ის რეგიონალური მენეჯერის ენრიკო ლივჯერის და ამერიკელი დიპლომატის 2009 წლის 9 აპრილის შეხვედრის დეტალებს აღწერს: „ლივჯერის ცნობით, **Pfizer**-მა გამომძიებლები დაიქირავა, რომლებსაც ნიგერიის გენერალური პროკურორის მაიკლ აონდოაკაას წინააღმდეგ კომპრომატები უნდა მოეგროვებინათ. შემდგომში ამას კომპანია მათ წინააღმდეგ აღძრული საქმის დასახურად, პროკურორზე ზეწოლისთვის გამოიყენებდა.“

ხელმწიფოები ჯულიან ასანჟსა და „ვიკილიქსს“ შეიძლება დაუპირისპირდნენ, შეზღუდულია. ინფორმაციის გავრცელების დროს, მასშტაბს, ხარისხსა და ოდენობას მხოლოდ „ვიკილიქსის“ გასაიდუმლოებული რედაქცია და ხუთი გაზეთი აკონტროლებს. „ვიკილიქსი“ ვირტუალური მტერია – არ აქვს ოფისი, რომელსაც თავს დაესხმები და დაარბევ, არც უძრავი ქონება, რომელსაც ჩამოართმევ და ამით აზარალებ, არც სეიფში ჩაკეტილი ბეჭდიანი ქაღალდები რომელთაც დაწვავ. ინტერნეტში დაშიფრული ინფორმაცია ერთდროულად ყველგანაა და თან – არსად.

სამაგიეროდ „ვიკილიქსს“ აქვს შემოწირულობები, რითაც არსებობას განაგრძობს. თანხას მხარდამჭერებისგან ის საბანკო გადარიცხვებით იღებს. შემოსავლის ამ წყაროს გადაკეტვა „ვიკილიქსის“ განიარაღებას ნიშნავს.

გასულ კვირას MasterCard-მა და PayPal-მა „ვიკილიქსის“ მომსახურებაზე უარი თქვეს. მიზეზად კი მისი „არაკანონიერი საქმიანობა“ დაასახელეს. თუმცა, მალევე თვითონ PayPal-ის წარმომადგენლებმა აღიარეს, რომ ასე აშშ-ს ხელისუფლებისგან მითითების მიღების გამო მოიქცნენ. MasterCard-ის გადაწყვეტილების უკან კი, სავარაუდოდ, ისევ საიდუმლო მასალებიდან გაჟონილი გარემოება გახდა. როგორც აღმოჩნდა, ამერიკელმა დიპლომატებმა, აშშ პრეზიდენტის სახელით, ლობირება გაუწიეს MasterCard-სა და Visa-ს რუსეთის დუმაში. სათათბირო უწყება განიხილავდა კანონს, რომელიც რუსულ ბაზარზე ამერიკული საკრედიტო ბარათების კომპანიებს დამატებით გადასახადებს აკისრებდა. ეს კანონპროექტი აშშ-ს სამთავრობო ძალისხმევით ჩაიშალა და ამით ამერიკულმა კომპანიებმა და მათ შორის, MasterCard-მა მილიონობით დოლარი დაზოგეს.

MasterCard-ისა და ჴაყჴალ-ის მიერ ასანჟისთვის გამოცხადებულმა ბოიკოტმა თანაბარი განრისხება გამოიწვია, როგორც „ვიკილიქსის“ ინტელექტუალ მხარდამჭერებს, ისე შურისძიებით შეპყრობილ ჰაკერებს შორის.

ახალი მედიის ნიუ იორკელი ექსპერტი საკითხს ასე აყენებს: „გამოდის, რომ შემიძლია, ჩემი საკრედიტო ბარათით თანხა გადავურიცხო Ku Klux Klan-ს, აბორტის წინააღმდეგ განწყობილ ფანატიკოსებს, ანდა ჰომოსექსუალების მოძულე დაჯგუფებებს, მაგრამ არ შემიძლია, ვისარგებლო ბარათით, თუკი თანხა „ვიკილიქსისთვისაა“ განკუთვნილი. იგივე დოკუმენტები New York Times-მა გამოაქვეყნა, რა გამოდის, უნდა ვუთხრათ Visa-სა და MasterCard-ს რომ გადარიცხვები Times-საც შეუწყვიტოს?“

ჰაკერებმა, რომელთაც იმავე დღეებში „ოპერაცია: შურისძიება“ წამოიწყეს, საკუთარ, სპონტანურად შექმნილ დაჯგუფებას კი — Anonymous-ი უწოდეს, Twitter-ზე წერდნენ: „ჩვენ გავხსენით ცეცხლი. სროლას ვაგრძელებთ!“

ეს კიბერომის ოფიციალურად გამოცხადება იყო. ერთმანეთის მიყოლებით დაიბლოკა MasterCard-სა და PayPal-ის, სარა პეილინისა და შვედი პროკურორების ვებგვერდები და შვეიცარიის ფოსტის საბანკო განყოფილება, რომელმაც ასანჟის ანგარიში გაყინა („ვიკილიქსი“ Anonymous-ს ოფიციალური განცხადებით გაემიჯნა).

Anonymous-ის ციფრული არმია კვლავაც ფრონტის წინა ხაზზეა. კიბერ-ომი და კომპანიებზე ვირტუალური თავდასხმები გრძელდება „მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენ ეს შეგვიძლია“. თუმცა, დაჯგუფებამ, რომლის წევრებიც აცხადებენ, რომ ისინი ინტერნეტში ადამიანების ცოცხალ სინდისს ნარმოადგენენ, ბრძოლის ტაქტიკა ნაწილობრივ მაინც შეცვალა. მათი თქმით, ოფიციალური ვებგვერდების გატეხა და გათიშვა „ვიკილიქსთან“ დაპირისპირებულ კომპანიებსა და მაღალჩინოსნებს იმხელა ზიანს მაინც ვერ მიაყენებს, რაც უკვე გაჟონილი საიდუმლო დოკუმენტების მასობრივ ტირაჟირებას მოჰყვება. ამიტომ Anonymous-ი ყველას მოუწოდებს – „ეცადეთ, მაქსიმალურად გაავრცელოთ გაჟონილი ინფორმაცია, სოციალურ ქსელებზე მუდმივად ამაზე წერეთ, ეს იყოს თქვენი სტატუსიცა და კომენტარიც. ინფორმაცია წაიკითხეთ ხმამაღლა, გადაიღეთ და იუთუბით გაავრცელეთ. ყველაზე დიდ ზიანს მათ ასე მივაყენებთ.“

ასანჟის იურისტების მტკიცებით, ვაშინგტონი „ვიკილიქსის“ დამფუძნებლის გასასამართლებლად საკმარისი საფუძვლის შექმნას ვერ მოახერხებს. თუმცა ისინი უკვე ემზადებიან იმ სცენარისთვის, როცა ლონდონში დაკავებული ასანჟის საქმე გაცილებით უფრო სერიოზული ბრალდებით აშშ-ში გადაინაცვლებს.

ასანჟის საქმე უფლებადამცველების, დიდი კორპორაციებისა და სამთავრობო ძალების ჭიდილად უკვე იქცა. ამ დაპირისპირებაში ისინი, ვინც ასანჟის მხარეს აღმოჩნდნენ, ამტკიცებენ, რომ ის, რაც მან გააკეთა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე თავად ასანჟი. ხელისუფლებების საიდუმლოებების გამჟღავნებისთვის „ვიკილიქსის“ გამომგონებლის დასჯა, სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებას არა მარტო ამერიკაში, არამედ მთელს მსოფლიოში დააზარალებს.

ინტერპოლი, "ვიკილიქსის" მასალების საფუძველზე, ძებნას აცხადებს



ზაგრებში ამერიკის საელჩოდან გაგზავნილი დიპლომატიური არხი ხორვატიის ყოფილ პრემიერ-მინისტრს ივო სანადერს კორუფციაში და პოლიტიკურ ტერორში ამხელს. ამის შესახებ ამერიკელ დიპლომატებს ხორვატიის მთავრმა პროკურორმა უამბო.

ინფორმაციის გავრცელებისთანავე ყოფილმა ჩინოვნიკმა ხორვატიის ტერიტორია დატოვა. ხორვატიის სამართალდამცავებმა ის დაკითხვაზე დაიბარეს. პოლიციაში გამოუცხადებლობის შემდეგ სანადერზე ძებნა ინტერპოლმა გამოაცხადა.

ბაეროს მოგონებები: ჯულიან ასანჟი არ უნდა ბაასამართლონ

ინტერვიუ გაეროს წარმომადგენელთან აზრის გამოხატვის თავისუფლების საკითხებში,

ფრენკ ლა რუსთან

ფრენკ ლა რუ მიიჩნევს, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ჯულიან ასანჟის წინააღმდეგ საქმის აღძვრას ვერ შეძლებს. მისივე თქმით, თუ აშშ ამას მაინც ეცდება, ეს სიტყვის თავისუფლებას მნიშვნელოვნად დააზიანებს.

თქვენ მონიტორინგს უწევთ მსოფლიოს მასშტაბით გამოხატვის თავისუფლებას. ეთანხმებით თუ არა „ვიკილიქსის“ მხარდამჭერებს, რომლებიც ჯულიან ასანჟს სიტყვის თავისუფლებისთვის წამებულს უწოდებენ?

ეს ნამდვილად ასეა. თუ რამე პასუხისმგებლობაზეა საუბარი, ის მხოლოდ იმ პირს შეიძლება დაეკისროს, რომელმაც ინფორმაცია გაასაჯაროვა და არა მედიას, რომელმაც შემდეგ ის გამოაქვეყნა. სწორედ ასე მუშაობს გამჭვირვალობა და ასეთი ფორმით ხდება კორუფციის უამრავ შემთხვევასთან ბრძოლა.

ვფიქრობ, გარკვეული შეზღუდვები უნდა არსებობდეს, როგორც მე ეს გასულ წელს ჟენევაში მიღებულ მოხსენებაში და ძირითად პრინციპებში ვახსენე, მაგრამ ეს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში შეიძლება, მოხდეს. ამ შეზღუდვას კანონი უნდა არეგულირებდეს და მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება ამ კანონს მივმართოთ, თუ ის უზენაეს მიზანს იცავს და გარდაუვალ საფრთხეს გვარიდებს. თანაც, აუცილებელია, რომ ასეთი კანონი მანამ არსებობდეს, სანამ რამე კონკრეტული შემთხვევა მოხდება. ყველამ წინასწარ უნდა იცოდეს, რა არის შეზღუდული, და რა არა.

როგორ ფიქრობთ, აქვს აშშ-ს ხელისუფლებას ასანჟის წინააღმდეგ საქმის აღძვრის და მისი ექსტრადირების მოთხოვნის საფუძველი?

ვფიქრობ, არ აქვს. „ვიკილიქსის“ დამფუძნებელთან დაკავშირებით ორი მნიშვნელოვანი გარემოება უნდა აღინიშნოს. მისი ექსტრადირება თუ მოხდა, ის შვედეთს გადაეცემა, სადაც ასანჟს გაასამართლებენ ისეთი ტიპის დანაშაულისთვის, რასაც სიტყვის თავისუფლებასთან კავშირი საერთოდ არ აქვს. თუ ეს ასე მოხდა, ამაზე მე ვერაფერს ვიტყვი, გარდა იმისა, რომ ვისურვებდი რომ შვედეთმა ან რომელიმე სხვა ქვეყანამ, რომელიც მას გაასამართლებს, ასანჟის სამართლებრივი გარანტიები და დაცვა უზრუნველყოს.

რაც შეეხება „ვიკილიქსის“ მიერ გამოქვეყნებულ მასალებს, ვფიქრობ აქ კრიმინალურ პასუხისმგებლობასთან არ გვაქვს საქმე. ამ საკითხთან დაკავშირებით ინტერნეტში გაცხარებული დებატებია. ამჟამად არსებული ყველაზე გავრცელებული დოქტრინის თანახმად, ინფორმაციის გადაცემისას მედიას არანაირი პასუხისმგებლობა არ ეკისრება.

პასუხისმგებლობის საკითხი მხოლოდ ორ შემთხვევაში დადგებოდა: თუ გამოქვეყნებული მასალა ეროვნული უსაფრთხოებისთვის რეალურ საფრთხეს ქმნის, ან თუ ის კონკრეტული ადამიანების უსაფრთხოებას აგდებს საფრთხეში.

მაგრამ, მხოლოდ იმის გამო, რომ გამოქვეყნებული ინფორმაცია ხელი-

სუფლებას უხერხულობას უქმნის, ამ ინფორმაციის დაბლოკვის, ფილტრაციის ან მისი გამავრცელებლის წინააღმდეგ ზომების მიღების უფლებას არავის აქვს.

თუ მოახსენეთ აშშ-ს მთავრობას თქვენი მოსაზრება მათ მიერ ჯულიან ასანჟის საქმიანობის აღკვეთის მცდელობასთან დაკავშირებით?

ჩემი ინფორმაციით, ასანჟის გასამართლება ამ ეტაპზე „ვიკილიქსისგან“ განცალკევებულ თემასთან დაკავშირებით ხდება, რაც ჩემი მანდატის ფარგლებს სცდება.

თუმცა, ერთი კომპანია ამტკიცებს, რომ აშშ-ს მთავრობა „ვიკილიქსთან“ თანამშრომლობის გამო მასზე ზეწოლას ახორციელებს. ამასთან დაკავშირებით თუ გაქვთ შენიშვნები?

ნამდვილად მაქვს. როგორც მე უკვე ნათლად განვაცხადე, მხოლოდ იმიტომ, რომ ინფორმაციას „გაჟონილის“ სტატუსი აქვს, ეს იმ კომპანიებზე ზეწოლის უფლებას არ იძლევა, რომლებიც ამ ინფორმაციას ავრცელებს.

დაიწყო საპასუხო შეტევები, მაგალითად „payback operation“, რომლებსაც „ვიკილიქსის“ მხარდამჭერები ახორციელებენ. რამდენად გამართლებულია მსგავსი ანგარიშსწორებები?

მე სამაგიეროს გადახდის, როგორც ასეთის, არ მწამს. მე გამოხატვის თავისუფლების პრინციპების დაცვის მჯერა. ჩემი აზრით, გამოხატვის ნებისმიერი ფორმა დაშვებული უნდა იყოს.

და რას იტყოდით იმ ადამიანების გამოხატვის თავისუფლებაზე, რომლებიც „ვიკილიქსის“ მიმართ უკიდურეს აღშფოთებას გამოთქვამენ? მაგალითად, დაშვებული უნდა იყოს თუ არა ადამიანის მკვლელობის მოთხოვნა?

არავითარ შემთხვევაში. ეს სიძულვილისა და ძალადობის წაქეზებაა. ეს ICCPR-ის (სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო შეთანხმება) მე-20 მუხლს არღვევს.

ყველას აქვს უფლება, გამოხატოს აღშფოთება ან თქვას, რომ მასალების შინაარსით შეურაცხყოფილია. მაგრამ იმის მოწოდება, რომ ამ მასალების მომწოდებლები უნდა დაისაჯოს, არ შეიძლება.

თქვენ მსოფლიოს უდიდეს დიპლომატიურ ორგანიზაციაში მუშაობთ. „ვიკილიქსის“ მიერ დიპლომატიური არხების გამოქვეყნებასთან არ გაქვთ პრობლემა? არ ფიქრობთ, რომ გაეროს წარმომადგენლებსაც აქვთ პირადი საუბრების უფლება? თუ გამოხატვის თავისუფლება, ისე როგორც ეს „ვიკილიქსს“ ესმის, ამ უფლებაზე მაღლა დგას?

ვფიქრობ, საიდუმლოების უფლება არსებობს. და მას ვინც ამ საიდუმლოებას გამოამზეურებს, კრიმინალური პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს. თუმცა ვფიქრობ, ინფორმაციის გაჟონვა თანამდებობის პირების მეშვეობით ხდება და არა იმ შუამავალი ორგანიზაციების მიერ, რომლებიც ამ მასალებს აქვეყნებს.

ბევრი ამტკიცებს, რომ „ვიკილიქსმა“ თამაშის წესები შეცვალა. ინფორმაციის გავრცელების თანამედროვე პირობების გათვალისწინებით, სიტყვის თავისუფლების არსის გადახედვა ხომ არ არის საჭირო?

ვფიქრობ, რომ არა. ივნისში, ჟენევაში ადამიანთა უფლებების საბჭოს წინაშე ჩემი მომდევნო მოხსენება სწორედ გამოხატვის თავისუფლებას და ინტერნეტს მიეძღვნება. შევეხები ისეთ საკითხებს, როგორიცაა გამოხატვის დაბლოკვა, გაფილტრვა და კრიმინალიზაცია. მნიშვნელოვანი საკითხი, რომელსაც დღეს განსაკუთრებით შესასწავლია, ესაა ინტერნეტის ხელმისაწვდომობა.

აშშ-ს მთავრობა საკმაოდ მიზანმიმართული ჩანს, რომ ჯულიან ასანჟის წინააღმდეგ რამენაირად საქმე აღძრას. თქვენი ვარაუდით, ვინ დარჩება ამ ბრძოლაში გამარჯვებული?

დიდი იმედი მაქვს, რომ გამარჯვებული გამოხატვის თავისუფლება იქნება. ძალიან ცუდი მაგალითი იქნება, თუ შეერთებული შტატები თავისუფალი სიტყვის გამო ვინმეს შეავიწროვებს, დაიჭერს ან დაგმობს. ეს ამერიკამ არ უნდა გააკეთოს – რაც უნდა შერცხვენილად გრძნობდეს თავს გამოქვეყნებული მიმოწერის გამო.

ესაუბრა ელეანორ ჰოლი,
9 დეკემბერი, ABC News, ავსტრალია

ნავთობკომპანია Shell-ი

2009 წლის 20 ოქტომბრის არხის მიხედვით, ნავთობკომპანია **Shell**-ს ნიგერიის ყველა სახელმწიფო უწყებაში საკუთარი თანამშრომელი ჰყავდა ჩანერგილი, რითაც მთავრობის ნებისმიერ ნაბიჯსა და გადაწყვეტილებას აკონტროლებდა.

„ენ ფიქარდმა (**Shell**-ის ვიცე-პრეზიდენტი) მითხრა, ნიგერიის მთავრობას დაავიწყდა რამდენად ბევრ ინფორმაციას ფლობს Shell-ი, რომელსაც ყველა უწყებაში საკუთარი ადამიანი ჰყავს,“ – წერს საკუთარ ანგარიშში ერთ-ერთი ამერიკელი დიპლომატი.

დიპლომატიური არხი ინგლისურ-ჰოლანდიური **Shell**-ისა და აშშ-ს ხელისუფლების თანამშრომლობასაც აღწერს. კომპანია ვაშინგტონს იმ პოლიტიკოსების გვარებს აწვდიდა, რომლებიც მათი ეჭვით ნიგერიაში სამხედრო მოქმედებებს უჭერდნენ მხარს. საპასუხოდ **Shell**-მა ამერიკის მთავრობიდან ნიგერიელი სამხედროების მიერ ანტისაჰაერო რაკეტების შეძენასთან დაკავშირებით ინფორმაცია გამოითხოვა.

კომპანია **Shell**-ი საიდუმლო მიმოწერაში აღწერილ ფაქტებს უარყოფს და მათ „აბსოლუტურად არასწორს“ უწოდებს.

"სენტრ პოინტის" საბა

ქართული სამშენებლო ბაზრის ყველაზე მსხვილი კომპანიის გაკოტრებით დაწყებული დრამა 10 000 კლიენტისთვის კვლავ გრძელდება.

მანანა ვარდიაშვილი

ფოტო: ეთერი ბარიშვილი

„ცენტრ პოინტის“ დაუმთავრებელი მშენებლობა ანაგის ქუჩაზე, დეკემბერი 2010

ქართული ბიზნეს-რეიტინგების უცვლელი ლიდერი, 2009 წლის „ეტალონი ბიზნესმენი“, სხვადასხვა წლებში „წლის ადამიანის“, „წლის საუკეთესო ბიზნესმენისა“ და „წლის ქველმოქმედის“ ნომინაციების არაერთგზის გამარჯვებული მაია რჩეულიშვილი სამშენებლო ბიზნესიდან წავიდა.

რა თქმა უნდა, ამ ნომინაციებს რეალობასთან საერთო არაფერი ჰქონდა. რჩეულიშვილი ბიზნეს-რეიტინგებში მაშინაც იმარჯვებდა, როცა „ცენტრ-პოინტი“ უკვე ღრმა კრიზისში იყო.

კრიზისი 2008 წელს დაიწყო, როცა სამშენებლო ბაზრის 35 პროცენტის მფლობელმა კომპანიამ 28 პროექტი შეაჩერა. „ცენტრ-პოინტისგან“ ბინის ჩაბარებას ათი ათასი მოქალაქე ელის. მათგან 6 000-ზე მეტ ადამიანს ბინის შესაძენი თანხა სრულად აქვს დაფარული, 2700 „ურჩ გადამხდელს“ კი კომპანიის მიმართ დაახლოებით 50 მილიონი დოლარის ვალი აქვს.

როცა კრიზისის მართვა შეუძლებელი გახდა, მაია რჩეულიშვილმა „ცენტრ-პოინტი“ სამწლიან მმართველობაში კომპანია „დექსუსს“ გადასცა. იმ 10 000 ადამიანისთვის, რომლებიც კუთვნილი ბინების მიღებას დღემდე ამაოდ ელიან, „ეტალონ“ ბიზნესმენს ბოდიში არ მოუხდია. საკუთარი პასუხისმგებლობის შესახებ არაფერი უთქვამს არც პარლამენტის ვიცე-სპიკერ რუსუდან კერვალიშვილს, რომელიც დასთან – მაია რჩეულიშვილთან და სიძესთან, ყოფილ ვიცე-სპიკერ ვახტანგ რჩეულიშვილთან ერთად, „ცენტრ-პოინტის“ დამაარსებელი და მეწილეა.

საინვესტიციო და დეველოპერული კომპანია „დექსუსი“ „ცენტრ-პოინტთან” ხელშეკრულების დადებამდე ორი კვირით ადრე, 2010 წლის 23 აგვისტოს შეიქმნა. მისი დამფუძნებლები გიორგი ქანანაშვილი, ირაკლი კილაურიძე და ივანე ცაგურია არიან.

ეკონომიკა

„დექსუსმა“ ახალ ხელშეკრულებებში პროექტის დასრულების დეტალური ვადებთან, პირობებთან და დარჩენილი თანხის გადახდის გრაფიკთან ერთად, 18-პროცენტიანი დამატებითი ღირებულების გადასახადიც შეიტანა.

რეაბილიტაციის რეჟიმში სამართავად „დექსუსს“ „ცენტრ-პოინტის“ ქოლგის ქვეშ გაერთიანებული 15 ამხანაგობა და 60-მდე შ.პ.ს. გარკვეული გასამრჯელოს სანაცვლოდ გადაეცა – „დექსუსის“ თანამშრომლები ანაზღაურებას „ცენტრ-პოინტისგან“ იღებენ. შეჩერებული მშენებლობების დასრულებას დაახლოებით 100 მლნ აშშ დოლარი სჭირდება (თუმცა, უკვე ცნობილია, რომ რამდენიმე პროექტის მშენებლობა არ განახლდება).

„დექსუსში“ აცხადებენ, რომ სამუშაოების განახლებისთვის საჭირო საწყისი კაპიტალი ამ ეტაპზე უკვე მოზიდულია და მომდევნო სამი წლის განმავლობაში ყველა ნაკისრ ვალდებულებას შეასრულებენ: ბინების შეჩერებულ მშენებლობასაც ბოლომდე მიიყვანენ და „ცენტრ-პოინტ ინვესტის“ კრედიტორებსაც გაისტუმრებენ. „ცენტრ-პოინტის“ რეაბილიტაციის დეტალური გეგმა 17 დეკემბერს გამოქვეყნდება.

საინვესტიციო და დეველოპერულ კომპანია „დექსუსს“ ოფიციალური ვებგვერდი დღემდე არა აქვს. კომპანიის წარმომადგენლებმა არ უპასუხეს ჩვენს სატელეფონო ზარს. უპასუხოდ დარჩა სოციალურ ქსელებში მითითებულ მისამართებზე და „დექსუსის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის პირად ფოსტაზე გაგზავნილი კითხვებიც. „დექსუსის“ სტრატეგიისა და გეგმების შესახებ კომპანიის მიერ ფეისბუკზე დატოვებული მიმართვით და გიორგი ქანანაშვილის სატელევიზიო განცხადებებით ვიგებთ.

სოციალურ ქსელებში მომხმარებლებისთვის დატოვებულ ინფორმაციაში „დექსუსის“ წარმომადგენლები აცხადებენ, რომ კლიენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებები შეიცვლება და ხელშეკრულებების შეცვლის მიზეზებსაც ასახელებენ: „ხელშეკრულებები უნდა შეესაბამებოდეს სტანდარტებს (ზოგი ხელშეკრულება, რომელიც მომხმარებელს ხელში უჭირავს, ხშირად ყოველგვარ იურიდიულ სტატუსს მოკლებულია); მოხდება განვადებების გრაფიკის შეთანხმება კლიენტებთან; კლიენტებს „დექსუსი“ სთხოვს მხოლოდ გონივრულ დათმობებზე წამოსვლას, რაც შეიძლება აისახოს ისეთ დეტალზე, როგორიცაა მაგალითად, კონტრაქტიდან ბინის გაჯით გალესვის ვალდებულების ამოღება; უკანასკნელ პერიოდში მიღებული კანონმდებლობა ავალდებულებს ამხანაგობებს დამატებითი ღირებულების გადასახადის გადახდას, შესაბამისად ეს საკანონმდებლო ცვლილება შეეხებათ ამხანაგობების წევრებს.“

„დექსუსმა“ კლიენტებთან ახალი ხელშეკრულებების გაფორმება უკვე დაიწყო. პირველ ეტაპზე ახალი ხელშეკრულებები ბაკურიანის „მზიური ველის“, დიდი დიღმის, ვაკისა და ლუბლიანას ქუჩაზე მშენებარე პროექტების კლიენტებთან ფორმდება. კომპანიის წარმომადგენელთა განცხადებით, ამ პროექტებზე სამშენებლო სამუშაოები უკვე განახლებულია და 3 მათგანის მშენებლობა წლის ბოლომდე დასრულდება. „დექსუსმა“ ახალ ხელშეკრულებებში პროექტის დასრულების დეტალურ ვადებთან, პირობებთან და დარჩენილი თანხის გადახდის გრაფიკთან ერთად, 18-პროცენტიანი დამატებითი ღირებულების გადასახადიც შეიტანა.

„18-პროცენტიანი გადასახადი მშენებლობის დასასრულებლად არ გვჭირდება. ჩვენ ისედაც ვასრულებთ ამ მშენებლობებს. ამ 18 პროცენტის გადახდა კლიენტებს მაშინ მოუწევთ, როცა ვინც კომპანიის ახალ პირობებს არ ეთანხმება, „არაადეკვატური“ უწოდა.

„არაადეკვატურებს“ აქვთ მიზეზი, რატომ არ უნდა ენდონ „დექსუსს“. „ჩემი მეუღლე, 5 წელია, საქართველოდან წასულია. მე თვითონ 8 თვის ორსული ვმუშაობდი. ყველაფერს ვაკეთებდით, რომ საკუთარი ბინა გვქონოდა. არაადამიანური შრომით მოგროვებული ფული დიდი დიღმის მშენებარე ბინაში შევიტანე. ბინის ღირებულება სრულად დავფარე. „ცენტრ-პოინტის“ წინაშე ყველა ვალდებულება რომ შემესრულებინა, ბანკის ვალიც ავიღე. ის ვალი უკვე დავფარე, მაგრამ დღემდე ქირით ვცხოვრობ. ახლა „დექსუსი“ ახალ პირობებს მთავაზობს და დამატებითი ფულის გადახდას მოითხოვს. ჩვენ 2008 წელს იმ დროისთვის არსებული საბაზრო ღირებულება გადავიხადეთ. ამ თანხას დაამატეთ ქირაში გადაყრილი ფული და ის თანხა, რაც ბინის საცხოვრებელ კონდიციამდე მიყვანა დამიჯდება. ამხელა ფულით ბინას დიდ დიღომში კი არა, ბინები გადაუფორმდებათ. თუ ექნებათ სურვილი, რომ საჯარო რეესტრის ამონაწერში მათი სახელი და გვარი დაფიქსირდეს, დ.ღ.გ. უნდა გადაიხადონ. თანხა უნდა დაამატოს იმ მომხმარებელმაც, რომელმაც თავის დროზე მშენებარე ბინაში დღევანდელ საბაზრო ღირებულებაზე ნაკლები გადაიხადა“, – განაცხადა გიორგი ქანანაშვილმა „ბიზნეს კურიერის“ ეთერში. მარტივად რომ ვთქვათ, „ცენტრ-პოინტის“ კლიენტთა დიდი უმეტესობა 18-პროცენტიანი ფასნამატის გარეშე ბინას საკუთრებაში ვერ გაიფორმებს.

„დექსუსის“ მიერ შეთავაზებული ხელშეკრულება ბევრი მომხმარებლისთვის მიუღებელია. ქანანაშვილმა „ბიზნეს კურიერის“ ეთერში ყველა იმ ადამიანს, ვინც ამ ფასებს ვიყიდდი. ამათ უნდათ, რომ გაჩერებული მშენებლობები ისევ ჩვენი ფულით დაასრულონ“, – ამბობს ცენტრ-პოინტის კლიენტი, ნანა ცაკაშვილი.

„ცენტრ პოინტის“ დაუმთავრებელი მშენებლობა საკაძის მოედანზე, დეკემბერი 2010

ფოტო: თეგი ბარათაშვილი

იურიდიული ფირმა „ბარათაშვილი და პარტნიორების“ იურისტი ლევან სვიმონიშვილი ამბობს, რომ „დექსუსის“ მიერ მომხმარებლებისთვის შეთავაზებული ახალი ხელშეკრულება მხარეებს არათანაბარ პირობებში აყენებს და კრედიტორებზე მეტად „ცენტრ-პოინტ“-„დექსუსის“ ინტერესებს იცავს. სვიმონიშვილი განმარტავს, რომ ხელშეკრულების პირობები ძალიან ბუნდოვანია და ბევრი დეტალი დაზუსტებას მოითხოვს. მაგალითად, ხელშეკრულების თანახმად, შენობის საერთო სარგებლობაში არსებული ფართი „დექსუსს“ სარგებლობაში „უპირობოდ და განუსაზღვრელი ვადით“ გადაეცემა. ამ ფართის მოვლის, დასუფთავების, დაცვის და „სხვა საჭირო და აუცილებელი ხარჯები“ კი მოსახლეობამ უნდა გაიღოს. ხელშეკრულებაში არ არის დაკონკრეტებული, რას გულისხმობს „სხვა საჭირო და აუცილებელი ხარჯები“. „დეტალები ზუსტად უნდა გაიწეროს. არის საშიშროება, რომ მოსახლეობამ საკუთარ თავზე ბევრი ვალდებულება აიღოს“, – ამბობს სვიმონიშვილი.

გარდა ამისა, „დექსუსის“ მიერ შეთავაზებული ახალი ხელშეკრულების პირობებით გამოდის, რომ ბინები ძვირდება. „უკვე გადახდილ თანხას ემატება დღგ-ს 18 პროცენტი, საერთო სარგებლობაში არსებული ფართის დასუფთავების, დაცვის და ეზოს კეთილმოწყობის ხარჯები. ფასნამატი უნდა გადაიხადოს იმ მომხმარებელმაც, რომელმაც თავის დროზე მშენებარე ბინაში დღევანდელ საბაზრო ღირებულებაზე ნაკლები თანხა გადაიხადა, – აღნიშნავს ლევან სვიმონიშვილი, – სამაგიეროდ, „დექსუსმა“ ხელშეკრულებიდან ამოიღო ისეთი პუნქტები, როგორებიცაა ბინის გაჯით გალესვა და წყლის და გაზის ინდივიდუალური გაყვანილობით უზრუნველყოფა. ამ ყველაფერს თავისი ეკონომიკური ფასი აქვს. საბოლოო ჯამში, შესაძლოა, ჩაბარებული ბინის ღირებულებამ დღეს არსებულ საბაზრო ფასს გადააჭარბოს.“

თუმცა, ეს ყველაფერი არ არის. მთავარი პრობლემა ისაა, რომ „ცენტრ-პოინტის“ რეაბილიტაციის მართვაში ახალი კომპანიის შესვლის შემდეგაც სიტუაცია ისევ გაურკვეველი და ბუნდოვანია. „დექსუსს“ უჭირს, მომხმარებლები საკუთარ სანდოობაში დაარწმუნოს. ეჭვებს კიდევ უფრო ამძაფრებს „დექსუსსა“ და „ცენტრ-პოინტს“ შორის გაფორმებული ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც, თითოეული მხარე უფლებამოსილია, ხელშეკრულება „ნებისმიერ დროს და ვადაზე ადრე შეწყვიტოს“. „ცენტრ-პოინტის“ უამრავ კლიენტს აქვს „გონივრული ეჭვი“, რომ ნაკისრი ვალდებულებები ბოლომდე, შესაძლოა, ვერც „დექსუსმა“ შეასრულოს და ერთ მშვენიერ დღეს, კომპანიის რეაბილიტაციის რეჟიმის მართვაზე უარი განაცხადოს.

ყალბი საქონლის ბაზარი საქართველოში

ყალბი ბაზარი

საქართველოს შემთხვევაში, პროდუქტის ფალსიფიკაციასა და მეკობრულ ვაჭრობას ორგანიზებულ დანაშაულთან კავშირი არ აქვს, თუმცა ფალსიფიკაციის მასშტაბები ძალიან დიდია.

ლიზავეტა ჟაჰანინა

„ეს ხელჩანთები, იტალიური დიზაინის მიხედვით, თურქეთშია დამზადებული“, – ამბობს პეკინის გამზირზე მდებარე აქსესუარების ერთ-ერთი მაღაზიის გამყიდველი. „პრადა“ და „დოლჩე და გაბანა“ მის მაღაზიაში წარმოუდგენლად დაბალ ფასად – საშუალოდ 200 ლარად იყიდება. თუმცა ამ ჩანთების ვითომდა იტალიური სტილი თვალშისაცემად განსხვავდება იმ მოდელებისგან, რომელთაც ამავე დიზაინერების ონლაინ მაღაზიებსა თუ ბუტიკებში ნახავთ.

„ზოგიერთ კლიენტს აინტერესებს, ჩანთები ორიგინალია თუ არა. მაგრამ ვეუბნებით ფასს და მაშინვე ხვდებიან, რაც არის“, – გულწრფელად ამბობს გამყიდველი.

ამ მაღაზიაში ისევე, როგორც თბილისის ასობით სხვა სავაჭრო ობიექტში ფალსიფიცირებულ საქონელს ჰყიდიან ისე, რომ ნაწარმის ორიგინალად გასაღებას ხშირად არც ცდილობენ.

ქართული ბაზრის უმეტესი ნაწილი ყალბი საქონლით არის გაჯერებული. „ეს ეხება დიდწილად სამოსს, შედარებით ნაკლებად – მედიკამენტებს, მაგრამ აუცილებლად – საკვებსა და სხვა პროდუქტებს“, – აღნიშნავს გიორგი თაქთაქიშვილი, იურიდიული ფირმა „მიქაძე, გეგეჭკორი და თაქთაქიშვილის“ მმართველი პარტნიორი, რომელიც პატენტებსა და სავაჭრო ნიშნებზე მუშაობს.

მსგავს შეფასებებს სტატისტიკაც ამყარებს. ევროპის ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (OECD) 2009 წლის ინდექსში, რომელიც პროდუქციის ფალსიფიკაციისა და მეკობრეობის ხარისხს ზომავს 139 ქვეყანაში, საქართველო ბოლოდან 26-ე ადგილზეა. იქვეა უკრაინაც. ერთ-ერთი საუკეთესო მდგომარეობა ფალსიფიცირებული პროდუქციის ბაზრის დარეგულირების მხრივ ბელგიას აქვს, ისეთი სახელმწიფოები კი, როგორებიცაა არაბთა გაერთიანებული საამიროები და ტაილანდი – თითქმის სიის ბოლოში არიან.

ფალსიფიცირებული საქონლის ბაზარი პრობლემაა არა მხოლოდ საქართველოსთვის, არამედ დიდი, განვითარებული ქვეყნებისთვისაც. თუმცა ამ პრობლემის ქართული სპეციფიკაა ის, რომ აქ ყალბი საქონელი აბსოლუტურად ღიად იყიდება, ბაზრობებით დაწყებული, დიდი მაღაზიებითა და სუპერმარკეტების ქსელებით დამთავრებული. „ჩვენთან საქონლის ყალბი წარმოშობის დამალვას არავინ ცდილობს, ეს დაუფარავად ხდება, დაჯარიმებისა და საქმის სასამართლომდე მისვლის არავის ეშინია“, – აცხადებს თაქთაქიშვილი.

ინტელექტუალური საკუთრების უფლების დარღვევის შემთხვევაში უფლების მესაკუთრემ გამოძიების დასაწყებად ფინანსთა სამინისტროს ფინანსურ პოლიციას უნდა მიმართოს.

გაეროს 2010 წლის კვლევის თანახმად კი საქართველოში, საგამოძიებო დეპარტამენტმა სავაჭრო ნიშნების ან სხვა კომერციული სახელების არალეგალურად გამოყენებასთან დაკავშირებით მხოლოდ 18 საქმის გამოძიება დაიწყო. სისხლის სამართლებრივი დევნა კი 11 ადამიანის მიმართ განხორციელდა.

მსგავსი საქმეების სიმცირე ორი ძირითადი მიზეზით აიხსნება – მაკონტროლებელი უწყებების არაეფექტური მუშაობითა და ინტელექტუალური საკუთრების უფლების მფლობელთა პასიურობით.

არაეფექტურია ერთი შეხედვით სრულყოფილი და გამართული საკანონმდებლო ჩარჩოც, რომელიც წესით, ფალსიფიცირებული საქონლის დამზადების, ანდა გავრცელების პრობლემას წარმატებით უნდა არეგულირებდეს.

„დღეისათვის, ინტელექტუალური საკუთრების დარღვევასთან დაკავშირებული დანაშაული კერძო დანაშაულად განიხილება“, – ამბობს თაქთაქიშვილი. ამის გამო სამართლებრივი დევნა დაზარალებულის საჩივრის არარსებობის შემთხვევაში შეუძლებელია.

მსგავს საჩივრებს კი უფლების მესაკუთრეები იშვიათად წერენ. ძირითადად, ქართველი გამყიდველების სამართლებრივ დევნას მხოლოდ ბაზრის მსხვილი მოთამაშეები ცდილობენ. თაქთაქიშვილის თქმით, ასეთია, მაგალითად „მაიკროსოფტი“, თუმცა დანარჩენები, მაგალითად, „ეფლი“, „ბლექბერი“ და სხვა დიდი მოთამაშეები, საქართველოში გაყიდული ფალსიფიცირებული საქონლის დევნას არ ჩქარობენ. ერთ-ერთი მიზეზი კი ის შეიძლება იყოს, რომ მათთვის ქართული ბაზარი მეტისმეტად პატარაა.

ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ „საქპატენტში“ უკვე დაახლოებით 50 000 სავაჭრო ნიშანია დარეგისტრირებული, მათგან დაახლოებით 23 000 უცხოურ კომპანიებს ეკუთვნის, მათ შორის არის „ეფლი“ და „ბლექბერიც“. თეორიულად, სავაჭრო ნიშნის დარეგისტრირებამ ამ კომპანიების სახელის ხელშეუხებლობა უნდა უზრუნველყოს, თუმცა, პრაქტიკაში „საქპატენტის“ რეგისტრაციას ასეთი ძალა იშვიათად აქვს.

კიდევ ერთი უწყება, სადაც ქვეყანაში ფალსიფიცირებული პროდუქტის გავრცელება უნდა აღიკვეთოს, საბაჟოა. კანონი უფლებას აძლევს მებაჟეებს, გააჩერონ ტვირთი, თუ მის სიყალბეში ეპარებათ ეჭვი. თუმცა, ამისთვის აუცილებლია, კონკრეტული სავაჭრო ნიშანი მებაჟეთა მონაცემთა ბაზაში იყოს დარეგისტრირებული. 2010 წლის ზაფხულის მონაცემებით კი რეგისტრაცია მხოლოდ 97-მა მესაკუთრემ გაიარა.

ქვეყანაში გაყალბებული საქონლის შემოსვლის შესახებ ინფორმაციის მიწოდება და შესაბამისი ზომების გატარების მოთხოვნაც უფლების მესაკუთრის ვალდებულებაა. „ჯერჯერობით, დაახლოებით, 100-მდე ასეთი საჩივარი შემოვიდა“, – აცხადებს „საქპატენტის“ თავმჯდომარის მოადგილე, ეკატერინე ეგუტია და განმარტავს, რომ პასიურობის მიზეზი შეიძლება, რთული და ძვირადღირებული ბიუროკრატიული პროცედურაც იყოს.

„თუ ვინმე მსგავს საჩივარს წარადგენს და საქონლის შეჩერებას მოითხოვს, შემდეგ კი ეს საქონელი ყალბი არ აღმოჩნდება, მაშინ გირაო არის გადასახდელი“, – ამბობს ეგუტია. იმპორტიორისათვის მიყენებული პოტენციური ზიანი შეიძლება, საჩივრის წარმდგენისათვის მძიმე ტვირთად იქცეს. უფრო მეტიც, საქართველო პარალელურ იმპორტს არ კრძალავს, რაც იმას ნიშნავს, რომ არაავტორიზირებული იმპორტიორის მიერ შემოტანილი საქონელი ყალბი შეიძლება სულაც არ იყოს.

> ■ ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ „საქპატენტში“ უკვე დაახლოებით 50 000 სავაჭრო ნიშანია დარეგისტრირებული, მათგან დაახლოებით 23 000 უცხოურ კომპანიებს ეკუთვნის.

მსოფლიო ბაზარზე არსებული ფალსიფიცირებული საქონლის დაახლოებით 70 პროცენტი შორეულ აღმოსავლეთში მზადდება, ყველაზე ხშირად კი – ჩინეთში. გაეროს განვითარების პროგრამის მიერ საქართველოს შესახებ მომზადებულ ანგარიშში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ „ყალბი საქონლის დამამზადებელი და სატრანზიტო ქვეყნები, როგორიცაა ჩინეთი და არაბთა გაერთიანებული საამიროები, საქართველოსთვის მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორები არიან და ინტელექტუალური საკუთრების უფლების დაცვის სფეროში მნიშვნელოვან საფრთხეს ქმნიან“.

საერთაშორისო ასპარეზზე ყალბი საქონლის წარმოება და გასაღება დიდი ხანია, მსხვილ ორგანიზებულ დანაშაულად იქცა. დოკუმენტურად დასტურდება ისიც, რომ ტერორისტები და ორგანიზებული დანაშაულის სინდიკატები საქონლის გაყალბების მეთოდს სულ უფრო ხშირად იყენებენ.

„ჩრდილო-აფრიკული რადიკალური ჯგუფები, რომლებიც ევროპაში საქმიანობენ, ალ-ქაედაც და ჰესბოლაც – თითოეული მათგანი შემოსავალს საქონლის ფალსიფიკაციით შოულობს“, – წერს „ინტერპოლის“ ოფიცერიც 2005 წელს გაზეთ „ტაიმსში“ გამოქვეყნებულ სტატიაში. ესპანეთის ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრი, ანგელ ასებე კი დასძენს, რომ მადრიდის 2004 წლის აფეთქებები ერთ-ერთი ეჭვმიტანილი სწორედ ცნობილი ფალსიფიკატორი იყო.

საქართველოს შემთხვევაში, პროდუქტის ფალსიფიკაციასა და მეკობრულ ვაჭრობას ორგანიზებულ დანაშაულთან კავშირი არ აქვს. თუმცა, პრობლემის მოგვარებას არაეფექტური საკანონმდებლო ბერკეტები და უფლების მესაკუთრეთა პასიურობა ხელს ერთმნიშვნელოვნად უშლის.

საქართველოს მთავრობა ახლა მუშაობს უწყებათაშორისი საბჭოს ჩამოყალიბებაზე, რომელიც ინტელექტუალური საკუთრების უფლების დარღვევების წინააღმდეგ იბრძოლებს და ეროვნულ სამოქმედო გეგმას შეიმუშავებს. თუმცა, პროცესი ჯერ კიდევ „განხილვის ფაზაშია“, ამიტომ ყალბი პროდუქციის ბაზრის გაკონტროლება საქართველოში შეუსრულებელ მისიად კიდევ დიდხანს დარჩება.

ფოტო: ვასა ფოცალუბერი

24 წლის უმცროსი მამედ გოხაროვი წინაპრების ტრადიციებს საქართველოშიც აგრძელებს. მიწაზე მუშაობა მესხების არსებობის განუყოფელი ნაწილია.

რეპატრიაცია

მესხები უკიდღეგის მიღმა

საქართველოს ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს, მაჰმადიან მესხთა რეპატრიაციის ვალდებულების ისე შესასრულებლად, რომ რეალურად ისინი საქართველოში არ ჩამოასახლოს.

მაია წიკლაური

გოხაროვების ოჯახი, უკვე ერთი წელია, ახალციხეში, რკინიგზის სადგურის საბარგოს უბანში ცხოვრობს. მათ აზერბაიჯანში ყველაფერი გაყიდეს – სახლი, მიწა, საქონელი, მანქანა და ახალი ცხოვრების დასაწყებად სრულიად უცხო ქვეყანაში – ისტორიულ სამშობლოში ჩამოვიდნენ.

უკვე ხანდაზმული და გაჭაღარავებული მამედ გოხაროვი 66 წლის წინანდელ ამბავს ჰყვება, როცა 7 წლის ბიჭი იყო: „იმ დღეს სულ ვიხსენებ, მთელი ცხოვრება. 17 ნოემბრის ცივი, ბნელი ღამე იყო. ისინი ფარანებით დადიოდნენ, ყველას გვაღვიძებდნენ და ერთ ადგილას გვაგროვებდნენ. სატვირთო ვაგონები ჩამოაყენეს და მე, ჩემი მშობლები, ნათესავები, მეზობლები, ყველანი იქ ჩაგვყარეს. 24 საათში დააცარიელეს აქაურობა. ჩვენი კვალი გააქრეს. 20 დღე მივდიოდით ფერღანას ველისკენ. რა არ გადაგვხდა ამ გზაზე – შიმშილი, წყურვილი, სიცივე, ავადმყოფობები. ბევრი გზაში დაიღუპა... მაშინ ჩვენ თურმანიძეები ვიყავით“.

1999 წელს საქართველო ევროსაბჭოს წევრი ქვეყანა გახდა. ამ სტრუქტურაში გასაწევრიანებლად, სხვა მრავალ ვალდებულებასთან ერთად, საქართველოს ხელისუფლებამ პირობა დადო, რომ მე-20 საუკუნის დასაწყისში გადასახლებული მაჰმადიანი

ფოტო: ვასა ფოცალუბერი

თურმანიძეების შთამომავლმა მამედ გოხაროვმა მშობლიური სურვილი შეასრულა და 66 წლის შემდეგ სამშობლოში დაბრუნდა

რეპატრიაციის პროცესი 2011 წლამდე უნდა დასრულებულიყო. 2005 წელს ევროსაბჭომ საქართველოს პრობლემებიდან გამომდინარე, მიიღო რეზოლუცია, რომლითაც რეპატრიაციის დასრულება 2013 წლამდე გადაიდო.

მესხების რეპატრიაციის პროცესს უზრუნველყოფდა. განისაზღვრა ვადებიც – ორ წელიწადში ქვეყანას შესაბამისი კანონმდებლობა უნდა მოემზადებინა, სამი წლის შემდეგ კი თავად რეპატრიაციის პროცესი უნდა დაწყებულიყო, რომელიც 12 წლის შემდეგ – ანუ 2011 წლამდე საბოლოოდ დასრულდებოდა. 2005 წელს ევროსაბჭომ საქართველოს პრობლემებიდან გამომდინარე, მიიღო რეზოლუცია, რომლითაც რეპატრიაციის დასრულება 2013 წლამდე გადაიდო.

„ყოფილი სსრკ-ის მიერ XX საუკუნის 40-იან წლებში საქართველოს სსრ-დან იძულებით გადასახლებულ პირთა რეპატრიაციის შესახებ“ კანონი საქართველოს პარლამენტმა 2007 წელს დაამტკიცა.

აღნიშნული კანონი მხოლოდ რეპატრიანტის სტატუსის მინიჭების პროცედურებს უზრუნველყოფს და მესხების დაბრუნებისთვის იურიდიული გარანტიების შექმნით შემოიფარგლება. კანონი არ არეგულირებს თავად ჩამოსახლების პროცესს და არ ითვალისწინებს მის ფინანსურ მხარდაჭერას. ასევე, სახელმწიფოს არ ეკისრება ვალდებულება მაჰმადიანი მესხების ადაპტაციისა და ინტეგრაციის ხელშესაწყობად.

ეს ყველაფერი, ექსპერტების აზრით, ხელოვნურ ბარიერებს ქმნის მესხების სამშობლოში დასაბრუნებლად.

მაჰმადიანი მესხების ისტორია არაერთ ტრაგიკულ ეპიზოდს ითვლის. ბოლო ასწლეულის განმავლობაში მათ მუდმივად ასახლებდნენ იმ მიწაწყლიდან, სადაც, ასე თუ ისე, დამკვიდრებას ახერხებდნენ.

თავდაპირველად ისინი მესხეთში ცხოვრობდნენ. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, სტალინის ბრძანებით, რამდენიმე ეთნიკური ჯგუფის დეპორტირება მოხდა – ჩეჩნები, ინგუშები, ყირიმის თათრები და სხვები. დეპორტაციის მიზეზი სტალინის პარანოიდული შიშები გახდა, რომ მტრის შემოსევის შემთხვევაში, ეს ხალხები, შესაძლოა, საბჭოთა ხელისუფლების მიმართ არასაკმარისად ლოიალურები ყოფილიყვნენ.

1944 წლის ნოემბერში, საქართველოში მცხოვრები მესხების ჯერიც დადგა. ისინი, როგორც „სოციალურად და პოლიტიკურად არასანდო მოსახლეობა“, საქონლის გადასაზიდ ვაგონებში ჩატვირთეს და ცენტრალურ აზიისკენ – ყაზახეთში, ყირგიზეთსა და უზბეკეთში გზას გაუყენეს.

გასული საუკუნის 50-იან წლებში, სტალინის გარდაცვალების შემდეგ, მაჰმადიან მესხებს საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე თავისუფლად გადაადგილების უფლება მისცეს. მათ შეეძლოთ, დასახლებულიყვნენ ყველგან, გარდა საქართველოსი. მათი სამშობლო „სასაზღვრო ზონად“ გამოცხადდა, რომლის გადაკვეთაც მაჰმადიან მესხებს კვლავ აკრძალული ჰქონდათ.

1989 წელს ფერღანას ველზე ადგილობრივ მოსახლეობასთან მომხდარი შეიარაღებული დაპირისპირების შემდეგ, მესხები უზბეკეთიდან გაიქცნენ. დღეს მათი უმრავლესობა ყოფილი საბჭოთა კავშირის მთელს ტერიტორიაზეა მიმოფანტული. განსაკუთრებით დიდია მათი რიცხვი აზერბაიჯანსა და რუსეთის სამხრეთ ნაწილში. კრასნოდარის მხარეში ასევე ადგილობრივი მოსახლეობის მხრიდან შევიწროვების გამო, 10 ათასამდე მესხმა თავშესაფარი აშშ-ში მიიღო.

სხვადასხვა მონაცემით, მთელს მსოფლიოში 200-300 ათასამდე მაჰმადიანი მესხი ცხოვრობს.

საქართველოში რეპატრიაციის მსურველთა განცხადებების მიღება ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროში 2010 წლის პირველ იანვარს დასრულდა.

არასამთავრობო ორგანიზაციების ინფორმაციით, სამინისტროს 20 ათასზე მეტმა დაბრუნების მსურველ-

მა მიმართა. სამინისტრო კი აცხადებს, რომ მხოლოდ 3840 განცხადება მიიღო და უკვე ერთი წელია, მხოლოდ განხილვა მიმდინარეობს. დაახლოებით 2011 წლის თებერვლის ბოლოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ უნდა გამოაცხადოს, თუ ვის მიანიჭებს რეპატრიანტის სტატუსს და ვის მისცემს საქართველოს მოქალაქეობის გამარტივებული წესით მიღების უფლებას.

საქართველოში დაბრუნების პირველ სირთულეებს მესხები ჯერ კიდევ საბუთების შეგროვების ეტაპზე წააწყდნენ. ანკეტას და განაცხადის წარსადგენად საჭირო 13 სხვადასხვა საბუთს ქართული მხარე მხოლოდ ინგლისურ ან ქართულ ენაზე ითხოვდა, მაჰმადიან მესხთა უმრავლესობამ კი მხოლოდ თურქული და რუსული იცის. ალბათ, ამიტომაც, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ განაცხადებების მხოლოდ მცირე ნაწილი მიიღო.

დოკუმენტების მოგროვება, თარგმნა და შემდეგ მათი ნოტარიულად დამოწმება რეპატრიაციის ხელშეწყობის საერთაშორისო ფონდის ინფორმაციით, თითოეულ ოჯახს დაახლოებით 300 დოლარი უჯდებოდა. ამ თანხის გადახდის ფუფუნება ბევრს არ ჰქონდა.

ყველაზე რთული კი, წლების მანძილზე მომთაბარედ მცხოვრები პოტენციური რეპატრიანტებისთვის, იმ დოკუმენტებისა და საარქივო მასალის წარმოდგენა აღმოჩდა, რომელიც დაამტკიცებდა, რომ მათი წინაპრები 1944 წელს მართლაც გადაასახლეს საქართველოდან.

„სახელმწიფოს მოთხოვნები საკმაოდ მკაცრია და ბარიერები კანონმა ხელოვნურად შექმნა“, – ამბობს რეპატრიაციის ხელშეწყობის საერთაშორისო ფონდის ხელმძღვანელი თემურ ლომსაძე, – „გარდა დოკუმენტების შევსებასთან დაკავშირებული სირთულეებისა, განცხადებების 90 პროცენტი სხვადასხვა ხარვეზის გამო სამინისტრომ, უბრალოდ, არ მიიღო.“

თუმცა, გაცილებით რთული დაბრკოლებების გადალახვა პოტენციურ რეპატრიანტებს უკვე აქ – ისტორიულ სამშობლოში ჩამოსვლის შემდეგ მოუწევთ. არც მას შემდეგ, რაც გადასახლებული მესხები საქართველოს მოქალაქეობას მიიღებენ და არც მანამდე, მათ განსახლებასა და ინტეგრაციაზე სახელმწიფო პასუხს არ აგებს. სად დასახლდნენ, რა სახსრებით იყიდონ ბინა და როგორ ირჩინონ თავი – ეს მათი პირადი საზრუნავია. ასევე თავად უნდა მოახერხონ მეზობლებთან ურთიერთობის აწყობა, ქართული ენის, ტრადიციების შესწავლა, რაც აუცილებელია უცხო გარემოში ინტეგრაციისთვის.

დღემდე ამ ადამიანების ინფორმირებასა და დახმარებას სათანადოდ ვერც არასამთავრობო ორგანიზაციები უზრუნველყოფენ.

იმერეთში, სამტრედიის რაიონში არის სოფელი იანეთი, სადაც ჯერ კიდევ გასული საუკუნის 70-იან წლებში სპონტანურად გადმოსახლებული 500-მდე მესხი ცხოვრობს. ისინი აქ პატარა, გარე სამყაროსგან მოწყვეტილ, არაინტეგრირებულ, სიღარიბის ზღვარზე მყოფ კომუნას ქმნიან. საქართველოში მათი ჩამოსახლებიდან 30 წელზე მეტი გავიდა, თუმცა იანეთელი მესხები ისევ თურქულად საუბრობენ. ქართული ენა შედარებით უკეთ ახალგაზრდა თაობამ ისწავლა.

ისტორიულ სამშობლოში უკვე დასახლებული მესხების ინტეგრაციის პროცესს ისიც ართულებს, რომ მათ შესახებ ძალიან მწირი ინფორმაცია აქვს ადგილობრივ მოსახლეობასაც. მესხების შესახებ ცნობები მხოლოდ ლეგენდებისა და სტერეოტიპების დონეზეა გავრცელებული.

გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს რამდენიმე დისიდენტური ჯგუფი, მათ შორის ზვიად გამსახურდიაც, აქტიურად ითხოვდნენ მესხების ჩამოსახლებას. თუმცა, ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ საქართველოს პირველი პრეზიდენტის შეხედულებები რადიკალურად შეიცვალა და დაიწყო ბრძოლა მესხების დაბრუნების იდეის წინააღმდეგ.

„მაშინ საქართველოში ნამდვილი ისტერია დაიწყო, – ამბობს ნაირა გელაშვილი, რომელიც იმ დროს აქტიურად მუშაობდა მესხების საკითხზე, – იმ ადამიანებს, რომლებმაც ჩამოსვლა მოასწრეს, საშინლად ავიწროვებდნენ.“ იმ პერიოდში საქართველოში 400 მესხი დაბრუნდა.

ნაირა გელაშვილის თქმით, იმ დროს მესხებს თურქები დაარქვეს და საქართველოში კიდევ ერთი „დიდი თურქობის“ საშიშროებაზე ალაპარაკდნენ.

„მესხებისგან შექმნეს მტრის ხატი, რაც ადამიანების ცნობიერებაში დღემდე დარჩა. ხელისუფლებები შემდგომაც ფრთხილობდნენ ამ საკითხის გადაწყვეტას, რადგან მოსახლეობა წინააღმდეგი იყო“.

გოხაროვების ოჯახი უკვე წააწყდა ადგილობრივი მოსახლეობის არაკეთილგანწყობას. მათ თავდაპირველად სოფელ პატარა სმადაში დასახლება გადაწყვიტეს, იქ სადაც მათი წინაპრები ცხოვრობდნენ. თუმცა, სოფელმა მესხების ოჯახი არ მიიღო. მსგავსი პრობლემა კიდევ რამდენიმე მესხურ ოჯახს შეექმნა. სამცხე-ჯავახეთის ზოგიერთ სოფელში (წურღუთი, სხვილისი, უნწა) ისინი ადგილობრივმა მოსახლეობამ არ შეუშვა.

„ბინა შევარჩიეთ და მეორე დღეს პატრონისთვის ფული უნდა მიგვეცა, მაგრამ პატრონმა უცებ სახლის გაყიდვა გადაიფიქრა. მოგვიანებით გავიგეთ, რომ სოფელს არ უნდოდა ჩვენი დასახლება. ამბობდნენ, თურქები აქ არ გვჭირდებაო“, – იხსენებს მამედ გოხაროვი.

მაჰმადიან მესხთა საქართველოში ჩამოსახლების პროცესსა და ევროსაბჭოს მიერ საქართველოს მიმართ დაკისრებულ ვალდებულებას საქართველოში ბევრი კრიტიკულად აფასებს და „შენელებული მოქმედების ნაღმს უწოდებს.“

არგუმენტებად სახელდება ის, რომ საქართველოს, რომელსაც ორი მოუგვარებელი კონფლიქტის გამო მრავალი ათასი დევნილი ჰყავს და სერიოზული ეკონომიკური პრობლემები აქვს, დამატებით რამდენიმე ათასი

ფერღანას ტრაგედიის შემდეგ უზბეკეთი დაახლოებით 80 ათასმა მესხმა დატოვა

ვინ არიან მაჰმადიანი მესხები

მაჰმადიან მესხთა წარმომავლობის შესახებ განსხვავებული მოსაზრებები არსებობს. ერთი ვერსიით, ისინი ეთნიკური თურქები არიან; მეორე ვერსიით – ეთნიკური ქართველები, რომლებიც XVI-XIX საუკუნეებში თურქული კულტურის გავლენის ქვეშ მოექცნენ და ისლამი მიიღეს.

„დეპორტაციამდელ ისტორიულ დოკუმენტებში მათ მოიხსენიებენ, როგორც „თურქებს“, „ქართველ სუნებს“ და „თათრებს“. დეპორტაციის შემდეგ კი, ცენტრალურ აზიაში, სადაც ეს ადამიანები გადაასახლეს, მათ ან „ქართველებს“, ან „აზერბაიჯანელებს“ უწოდებდნენ. ოფიციალურ საბჭოთა დოკუმენტაციაში მათ „თურქებად“, „კავკასიელებად“, ან „უზბეკებად“ მოიხსენიებდნენ. ქართულ ისტორიულ ცნობებში მათ ქართველური ტომების „მესხების“ შთამომავლებს მიაკუთვნებენ, რომლებზეც გავლენა დამპყრობელი თურქების კულტურამ მოახდინა. საწინააღმდეგო მოსაზრებით კი, მესხები თურქული ტომების შთამომავლები არიან, რომლებიც სამცხე-ჯავახეთის ტერიტორიაზე V-VII საუკუნეებში დასახლდნენ. მათ ოტომანური იმპერიის ბატონობისას შეუერთდნენ სხვა თურქები და მათი კონსოლიდაციით ჩამოყალიბდა განცალკევებული ეთნიკური ჯგუფი „თურქი-მესხები“, – წერია უმცირესობების საკითხების ევროპული ცენტრის მიმოხილვაში „ინტეგრაციასა და დაფუძნებას შორის – თურქი მესხები“.

ამ საკითხზე საერთო აზრი არ აქვთ თავად მაჰმადიან მესხებსაც. მათი ნაწილი დღეს თავს მესხური წარმომავლობის ეთნიკურ თურქად მოიაზრებს. ნაწილი კი მიიჩნევს, რომ ეთნიკური ქართველია. უკანასკნელები საკუთარ თავს „მაჰმადიან მესხებს“ უწოდებენ.

ტერმინი „თურქი მესხი“ არასწორია, რადგან შეუძლებელია, ადამიანი იყოს ერთდროულად ორი ეროვნების ან ეთნიკური იდენტობის მატარებელი.

განურჩევლად მათი ეთნიკური ფესვებისა, მაჰმადიანი-მესხები საუკუნეების განმავლობაში ცხოვრობდნენ საქართველოს ტერიტორიაზე და გადასახლებამდე გამართულად საუბრობდნენ ქართულად. საქართველო მათი ისტორიული სამშობლოა.

> **მაჰმადიანი მესხების ნაწილი დღეს თავს მესხური წარმომავლობის ეთნიკურ თურქად მოიაზრებს. ნაწილი კი მიიჩნევს, რომ ეთნიკური ქართველია.**

მაჰმადიანი მესხის სრულფასოვან რეპატრიაციაზე პასუხისმგებლობის აღება გაუჭირდება.

კიდევ ერთი არგუმენტი ისიც არის, რომ მესხების კომპაქტური ჩასახლება მათ ისტორიულ მხარეში – სამცხე-ჯავახეთში, სადაც მოსახლეობის დიდი ნაწილი ეთნიკური სომეხია, ადგილობრივ მოსახლეობასთან დაპირისპირებას გამოიწვევს და საქართველოში კიდევ ერთ ფეთქებადსაშიშ რეგიონს წარმოშობს.

ახალციხის რაიონის არასამთავრობო ორგანიზაცია „ტოლერანტის“ ხელმძღვანელის ცირა მესხიშვილის განცხადებით, ეთნიკური დაპირისპირების საბაბი სამცხე-ჯავახეთში მართლაც არსებობს.

„იმის გამო, რომ ზოგიერთი მესხი თავს თურქ-მესხად თვლის, ადგილობრივი სომხური მოსახლეობა ღიზიანდება. რა უნდა თურქს ჩემს ქალაქში? – ასეთია მათი დამოკიდებულება. ამიტომ ყველას, ვისაც აქ დასახლება უნდა, ვეუბნები: ნუ აფიშირებ, ნუ იყვირებ შენს წარმომავლობას. ჩათვალე თავი თურქად, მაგრამ მოერიდე, რომ მეზობელი არ გადაგეკიდოს, ქვები არ დაგიშინოს“, – ამბობს ცირა მესხიშვილი.

გოხაროვების ოჯახმა ახალციხეში საცხოვრებელი სახლი უკვე შეიძინა. პატარა ეზოც აქვთ და ბოსტანი. ამბობენ, რომ სირთულეების მიუხედავად, მათი ცხოვრება თანდათანობით კალაპოტში ჯდება. ახლა ისინი მხოლოდ რეპატრიანტის სტატუსსა და საქართველოს მოქალაქეობის მიღებას ელიან.

„მინის დამუშავება გვეხერხება. მშრომელი ხალხი ვართ და ერთ სეზონზე რამდენიმე მოსავალი მოგვყავს. ახლა ჩემს სომეხ მეზობელს მიწას ვუმუშავებ და მოსავლის ნახევარს მიყოფს. არა მგონია, მშივრები დავიხოცოთ. მთავარია, მოქალაქეობა მოგვცენ. მთავარია, აქ დავფუძნდეთ და კიდევ სხვაგან გადასახლება არ მოგვიწიოს,“ – ამბობს 73 წლის მემედ გოხაროვი. ის დარწმუნებულია, რომ მალე საქართველოს მოქალაქე გახდება და ძველ ქართულ გვარს დაიბრუნებს.

ფოტორეპორტაჟი

ფოტო: ბაჩანა ქორაულელი

სასტუმრო „აფხაზეთში“ 200-ზე მეტი ოჯახი უკვე 20 წელია ცხოვრობს

პირველი დევნილები

სასტუმრო „აფხაზეთში“ მცხოვრები დევნილები 20 წელია, თავიანთ რიგს ელიან. მათი ღირსეული თავშესაფრით უზრუნველყოფა ვერც ერთმა ხელისუფლებამ ვერ მოახერხა.

მარიკა ქოჩიაშვილი

სასტუმრო „აფხაზეთის“ დამწვარი სადარბაზოს ერთ კედელზე დიდი ასოებით წერია „ცხინვალი“, მეორე კედელზე – „საქართველო.“

იანვარში 20 წელი შესრულდება, რაც „აფხაზეთში“ ცხინვალიდან დევნილი 200-ზე მეტი ოჯახი აფარებს თავს.

საბჭოთა დროინდელი ძველი სასტუმროს შენობა თბილისის ერთ-ერთ ცენტრალურ გამზირზე რამდენიმე მეტრზეა გაჭიმული, მაგრამ თითქმის ვერავინ ამჩნევს.

„აქეთკენ გახედვაც არ მინდა,“ – ამბობს შუახნის ქალი, როცა სასტუმროს წინ ფოტოაპარატით მომუშავე ჟურნალისტს ხედავს.

ვაჟა-ფშაველას გამზირიდან ამ შენობის ბინადართა ყოველდღიურობა მხოლოდ ფრაგმენტებად ჩანს – გაშრობად დაკიდებული ჭრელი სარეცხი, თეთრეული, სხვადასხვა ფერის ბრეზენტის ფარდები, თუნუქის ფირფიტებით აჭედილი ძველი ფანჯრები...

შიგნით იშვიათად თუ შეიჭყიტება ვინმე. გრძელი, უფანჯრებო დერეფნები აქა-იქ განათებულია მბჟუტავი ნათურებით. ეს განათება რომ არა, შეიძლება, ფეხი წამოჰკრა კედელზე მიყუდებულ საბავშვო ეტლს, ველოსიპედს ან პატარა ღამის ქოთანს. ყველა კართან თითო ელექტროქურა და ქვაბებისა და ჭურჭლის შესანახი კარადები დგას. სამზარეულო აქ არავის აქვს. დიასახლისები საჭმელს დერეფნებში აკეთებენ. სხვადასხვა კერძის არომატი ერთმანეთშია არეული. უსიამოვნო სუნი დგას.

1997 წელს აქაურობას ხანძარი გაუჩნდა. ამ დღის გახსენება აქაურებს ისევე არ უყვართ, როგორც ცხინვალში გატარებული უკანასკნელი საათების. მაშინ ხანძარს ექვსი ადამიანი ემსხვერპლა. აქაურები ამბობენ, რომ ჭვარტლის სუნი დღესაც სცემთ.

თითო ოჯახი, ზოგჯერ მრავალსულიანი, დაახლოებით 6-7 კვადრატული მეტრი ფართობის ოთახში ცხოვრობს. ერთ ოთახში ტანსაცმლის კარადა, ერთკაციანი საწოლი, გასაშლელი სავარძელი, მაგიდა და სამი სკამი დგას. აქ ნაბიჯის გადადგმაც შეუძლებელია.

საკუთარი ტუალეტი მხოლოდ იმ ოთახებს აქვთ, რომლებიც დერეფნის მარჯვენა მხარესაა. მარცხენა მხარეს მცხოვრები ოჯახები საერთო ტუალეტით სარგებლობენ.

დერეფნის აივნიდან ახალგაზრდა ბიჭები გამვლელ-გამომვლელებს ათვალიერებენ.

„ეხლა ამას გონია, რომ ეს მოკლე იუბკა უხდება?...“ – ამბობს ერთი და ღრმა ნაფაზს არტყამს.

ბიჭების უმეტესობა თბილისშია დაბადებული. ზოგი კი ისეთი პატარა იყო ცხინვალი რომ დატოვა, იქაურობა არ ახსოვს. ახალგაზრდებს „სახლში“ დაბრუნება არ უნდათ.

აქ დიდიც და პატარაც ერთ რამეზე ოცნებობს – საკუთარ თავშესაფარზე.

ერთ პატარა ოთახში ბავშვები, დედა, მამა და ბებია ცხოვრობენ.

19 წლის ომარს შეყვარებული სამედიცინო ინსტიტუტიდან აკითხავს

საცხოვრებელი ოთახები 6-7 კვადრატული მეტრია

ფოტოები ბარბარა ქოზაკევიჩის

„ჩვენ, იცი, როგორ ვცხოვრობთ? შენ, ალბათ, აბაზანა გაქვს იმხელა, რამხელაც მე – ბინა. საერთოდ, ვა-ჟა-ფშაველაზე ასეთი შენობა როგორ უნდა იდგეს?! მაგრამ არავის არ აინ-ტერესებს ჩვენი ამბავი“, – ამბობს 23 ნლის დათო.

სასტუმრო „აფხაზეთიდან“ წასვლა სულ რამდენიმე ოჯახმა შეძლო. ერ-თეულებმაო, ამბობენ აქაურები. და-ნარჩენები კი სახელმწიფოსგან მცირე დახმარებას იღებენ და უკეთეს ცხო-ვრებას ელიან.

„ამ მიშას შევყურებდით იმედის თვალით – ყველა დაასახლა და ყვე-ლას უშველა, მაგრამ ჩვენი ჯერი ვერა და ვერ დადგა.“

„2009 წელს იგეგმებოდა ჩვენი გაყვანა, მაგრამ 2008 წლის ომის შემ-დეგ, ისევ ყველას დავავიწყდით. სულ ასეა, ჩვენი დრო რომ მოდის, ხან მიწისძვრა მოხდება, ხან წყალდიდო-ბა, ხანაც ომი და უბედურება და იმათ დაბინავებას იწყებენ...“

„ჩვენი ხალხი არასდროს გამოსუ-ლა ქუჩაში მოთხოვნებით, ამიტომაც ვავიწყდებით ყველას. სულ აფხაზე-თიდან დევნილებზეა ლაპარაკი, არა-და, ჩვენ პირველი დევნილები ვართ საქართველოში,“ – ჩივიან დერეფანში შეკრებილი მეზობლები.

„აფხაზეთის“ ბინადრებმა მთავრო-ბის სხვადასხვა ინსტანციას წერილით

ოთახებს სამზარეულო არ აქვს. ამიტომ „აფხაზეთში“ მაცხოვრებლები
საჭმელს გამჭვარტლულ დერეფნებში, ელექტრო ქურაზე ამზადებენ

არაერთხელ მიმართეს. პასუხი მიიღეს – 2012 წლამდე რაღაცას გიშველითო. კონკრეტულად რას, აქ არავინ იცის.

ბევრი აქ იმითაც კმაყოფილია, რომ თავშესაფარი აქვთ, ელექტროენერგია და წყალი – უფასო და დახმარება – 22 ლარი.

„სხვები ამაზე უარესადაც ცხოვრო-ბენ,“ – ამბობს 72 წლის დალი.

რამდენიმე ოჯახმა სიღარიბის ზღ-ვარს ქვემოთ მყოფის სტატუსის მისა-ღებად სოცუზრუნველყოფის სააგენ-ტოს მიმართა.

ერთ-ერთ ოჯახს სოციალურმა აგენტმა ეს სტატუსი მიანიჭა, თუმცა რამდენიმე თვეში კომისია მოვიდა და როცა ამ ოჯახში მაცივარი ნახა, სტა-ტუსი მოუხსნა. სამედიცინო დაზღვე-ვასაც მხოლოდ ისინი იღებენ, ვინც სიღარიბის ზღვარს ქვემოთაა.

უკვე საღამო ხანია. ბავშვები სკო-ლიდან ბრუნდებიან, უფროსები – სა-მსახურიდან, ზოგიერთი არც წასულა არსად – ისევ სიგარეტს აბოლებს დე-რეფანში.

შებინდებასთან ერთად აქაურობა კიდევ უფრო პირქუში და უიმედო ხდება. თუნუქის ნაჭრებაფარებული ფანჯრებიდან შუქი გარეთ არ გადის. საღამოს ეს შენობა, სადაც დამოუკი-დებელი საქართველოს ისტორიაში პირველი დევნილები ცხოვრობენ, კი-დევ უფრო შეუმჩნეველი ხდება.

საზოგადოება

ფოტო: მარგარიტა ახვლედიანი

ახალქალაქი, დეკემბერი 2010

მოგზაურობა ჯავახეთში

მისტიკური სომხები მისტიკური თბილისის წინააღმდეგ.

მარგარიტა ახვლედიანი

„სად?“ – ძალიან შორს.

„ვინ ცხოვრობს იქ?“ – სომხები.

„რით ცხოვრობენ?“ – კარტოფილი მოჰყავთ.

„კიდევ რა იცით მათ შესახებ?“ – მათ არ იციან და არ უნდათ, რომ იცოდნენ ქართული ენა; ითხოვენ ავტონომიას საქართველოს სხვა რეგიონებისგან ან საერთოდაც, არ უნდათ საქართველოს შემადგენლობაში ცხოვრება; უყვართ რუსეთი.

სამი წლის წინ თბილისში, სტუდენტებს შორის ჩავატარეთ პატარა გამოკითხვა, სადაც ჯავახეთის შესახებ ასეთი პასუხები მივიღეთ.

ამ გამოკითხვას მეცნიერულ სიზუსტეზე პრეტენზია არ აქვს, მაგრამ მან საკმაოდ რეალურად ასახა ის, რაც ჩვენ ზოგადად ვიცით ამ რეგიონზე. ცოდნას ურთიერთობები განაპირობებს. შესაბამისად, ჯავახეთის სომხურმა საზოგადოებამ საქართველოში ისეთივე მისტიკური და, გარკვეულწილად, საშიში შარავანდედი შეიძინა, როგორიც აქვს გავრცელებულ ფენომენს – სომხურ ან ებრაულ „საერთაშორისო ლობის“. ჯავახეთის დიდი და მრავალფეროვანი საზოგადოება აღიქმება, როგორც ერთი ადამიანი – ერთი ხასიათითა და აზრით.

ჯავახეთში მცხოვრებ სომხებს დანარჩენი საქართველოსთვის საკუთარ თავზე სიმართლის მოყოლის შესაძლებლობა არ აქვთ. მათ ასევე არ აქვთ შესაძლებლობა, მეტი იცოდნენ იმ ქვეყნის შესახებ, სადაც ცხოვრობენ, რადგან სხვა ქვეყნის ტელეარხებს უყურებენ და სხვა ქვეყნის გაზეთებს კითხულობენ. ამიტომაც, დანარჩენი საქართველო აქ აღიქმება არა როგორც ქალაქ-სოფლები და განსხვავებული აზრების მქონე ადამიანები, არამედ როგორც ერთგვარი მისტიკური ნაზავი, რომელსაც აქაურების ენაზე „ისინი“ ჰქვია.

ახალი გზით ახალქალაქში სულ რაღაც სამ საათში ჩადიხარ, მაგრამ სამყარო, რომელიც იქ გხვდება, ბევრად უფრო შორეულია. ახალქალაქის ბაზრის შესასვლელთან მუდმივად ხალხმრავლობაა. თბილისელი ჟურნალისტებით დატვირთული ჩვენი სამარშრუტო ტაქსი ჩერდება და იქაურების ყურადღებას იქცევს. აქ იმისთვის ჩამოვედით, რომ გავიგოთ, რა ვიცით ჩვენ მათ შესახებ და რა იციან მათ ჩვენზე.

ბაზართანვე ვიწყებთ მუშაობას. ვსვამთ იმავე კითხვებს, რასაც სამი წლის წინ თბილისელ სტუდენტებს ვეკითხებოდით. ერთ წუთში ჩვენს ირგვლივ დაახლოებით 30 ადამიანი გროვდება. ყველა აქტიურად ერთვება დიალოგში.

ქართული მათ შორის არავინ იცის, თუმცა ამბობენ, რომ ძალიან სჭირდებათ.

„მათ“ (თბილისში) არასოდეს უკითხავთ ჩვენთვის აზრი, როცა ახალ რეფორმას ან პროგრამას იწყებდნენ,“ – ამბობდნენ შეკრებილები.

შედეგად, გავიდა წლები, დაიხარჯა უამრავი თანხა, და არა მხოლოდ უფროსებმა, 10-15 წლის სკოლის მოსწავლეებმაც, რომლებიც მთელი ამ წლის განმავლობაში სხვადასხვა პროგრამების მთავარი ობიექტები იყვნენ, დღეს ქართული არ იციან.

ბაზართან გამართული საუბრის მონაწილეები ასევე საკუთარი მცირე ბიზნესის ჩავარდნაზე ჰყვებოდნენ. ეს სხვა რეფორმამ გამოიწვია – საგადასახადომ, მაგრამ ასევე პირდაპირ უკავშირდება ქართული ენის სწავლების პროგრამების სრულ ჩავარდნას.

„ისინი“ (თბილისში) სარგებლობენ იმით, რომ ჩვენ ქართული არ ვიცით. საქართველოს სხვა რაიონების მოსახლეობაც ჩვენსავით ნაკლებად განათლებულია და მათაც უჭირთ საგადასახადო კანონმდებლობაში ცვლილებებისათვის თვალის მიდევნება, მაგრამ ჩვენ ამ ცვლილებების შესახებ საერთოდ ვერ ვიგებთ – იმიტომ, რომ ვერ ვიგებთ, იქ რა წერია. ახალი კანონის შესახებ ჩვენ მაშინ ვიგებთ, როცა უკვე დიდ ჯარიმას გამოგვიწერენ და ბიზნესი იხურება,“ – ამბობს ჩვენი სპონტანური დისკუსიის ერთ-ერთი მონაწილე.

ავტონომიის თემაზე საუბარს აქ აშკარად გაურბიან. ამის ნაცვლად, გამოვიდა საუბარი იმაზე, თუ როგორ აინტერესებთ აქაურებს საქართველოს სხვა კუთხეებში მოგზაურობა. ადგილობრივმა ჟურნალისტმა, რომელიც ამ საუბარს ასევე ესწრებოდა, თქვა, რომ ერთხელ ქუთაისში ჩავიდა და ნახა, რომ იქაც „ხალხს ისეთივე პრობლემები აქვთ, როგორც აქ და რომ ქუთაისში სრულიად ჩვეულებრივი ადამიანები ცხოვრობენ“.

რაც შეეხება რუსეთს, თბილისელი სტუდენტების ვარაუდები ამ შემთხვევაში სრულად გამართლდა. რუსეთი აქ მართლაც უყვართ. რუსეთი მათ პრობლემის გადაწყვეტის გზად მიაჩნიათ. როგორც ერთ-ერთმა მოსაუბრემ აღნიშნა, „ეს ორმხრივი სიყვარულია“, რადგან რეგიონში მასობრივი უმუშევრობის ფონზე მამაკაცები სამუშაოდ რუსეთში მიდიან და იქიდან გამოგზავნილი ფულით არჩენენ ოჯახებს.

ჯავახეთში მოგზაურობისას ბევრი სოფელი მოვინახულეთ. ახალქალაქის ზევით მთებში, სოფელ სამსარში ადგილობრივ მოსახლეობასთან შეხვედრისას ერთმა ხანდაზმულმა კაცმა გვითხრა: „მათ (ისევ და ისევ, განზოგადებული თბილისი იგულისხმება), რა თქმა უნდა, იციან, რომ ჩვენთან ქართული არხები არ აჩვენებს, რომ მხოლოდ რუსული და სომხური არხებიდან ვიღებთ ინფორმაციას, რომ განათლებასთან დაკავშირებით დიდი პრობლემები გვაქვს... რადგან ამის შესაცვლელად არაფერს აკეთებენ – ესე იგი, არ შეუძლიათ.“

მაგრამ იციან კი „მათ“ ანუ „ჩვენ“, რომ ჯავახეთის მოსახლეობა არსებობს? რომ ახალი კანონების უპასუხისმგებლოდ შემოღება პოზიტიურ საგადასახადო რეფორმას დასჯისა და დამცირების მეთოდად აქცევს? რომ პრორუსული განწყობა აქ შიმშილისაგან თავის დაღწევის გზაა? რომ იზოლაციასა და უყურადღებობას თვითიზოლაციისა და მტრობისაკენ მივყავართ?

მსოფლიო უბედურებათა დიდი ნაწილი იმ ადამიანთა „დამსახურებაა“, რომლებიც გადაწყვეტილებს ისე იღებენ, რომ ამისთვის საკმარისი ცოდნა არ აქვთ. ჩვენი ბევრი პრობლემის მიზეზიც, ალბათ, ეს არის.

პეპი გრძელიწინდა სისტემის წინააღმდეგ

როგორები არიან მისაბაძი მოდელები, რომელთაც ქართველ ბავშვებს სკოლა, მშობლები და მედია უყალიბებს? რჩება თუ არა ამ რეალობაში ადგილი ისეთი თავნება, მახვილგონიერი და თავისუფალი ბავშვისთვის, როგორიც პეპი გრძელიწინდაა?

სიმონ ჯანაშია

ბადენ ვიურტენბერგის პატარა ქალაქ ლორახის ერთმა დაწყებითმა სკოლამ 2003 წელს ჯერ გერმანიის, ხოლო შემდეგ კი საერთაშორისო საზოგადოების ყურადღება მიიპყრო. ადგილობრივი პოლიტიკოსები, მშობლები და მასწავლებლები, სკოლის სახელწოდებაზე, თვეების განმავლობაში, ვერ შეთანხმდნენ. სკოლის ცხოვრებაში ჩართული საზოგადოების ნაწილის სურვილი იყო, რომ სკოლას ასტრიდ ლინდგრენის სახელი ეტარებინა.

ადგილობრივ თვითმმართველობაში ამ იდეას მრავალი მოწინააღმდეგე გამოუჩნდა. დეპუტატთა ნაწილი თვლიდა, რომ სკოლას იმის სახელი უნდა ეტარებინა, ვისაც პირადი შეხება ჰქონდა ლორახთან. ერთ-ერთი წამყვანი პარტიის აზრით კი, სკოლისთვის ასტრიდ ლინდგრენის სახელის დარქმევა, აღმზრდელობითი თვალსაზრისით, არასასურველ შედეგებს მოიტანდა. მათი აზრით, პეპი გრძელიწინდას შემქმნელის სახელის დარქმევა სასკოლო დისციპლინის იდეას ძირს უთხრიდა.

პეპი, თანამედროვე გაგებით, არადისციპლინირებული, გაუნათლებელი, თავისუფალი ქცევის მქონე ბავშვია, რომელიც საკუთარ ზებუნებრივ ძალას და მახვილგონიერებას იყენებს იმ უფროსების წინააღმდეგ, რომლებიც უღირსად იქცევიან, ან რომლებსაც ბავშვების არ ესმით. პეპი სკოლაში დემონსტრატიულად აგვიანებს და იქ, მოსწავლეების თანდასწრებით, მასწავლებლის ავტორიტეტს ეჭვის ქვეშ აყენებს.

ლორახელი პოლიტიკოსების აზრით, პეპი გრძელიწინდა ცუდი მაგალითის მიმცემი იქნებოდა ბავშვებისთვის. მიუხედავად ამისა, სკოლის ხელმძღვანელმა, მასწავლებლებმა და მშობლებმა თავისას მიაღწიეს. დღეს სკოლა ასტრიდ ლინდგრენის სახელობისაა. მოსწავლეების მეგობრები: პეპი, ბიულერბიუელი ბავშვები, კარლსონი და ყაჩაღის ასული რონია კი მშობლებსა და მასწავლებლებს ეხმარებიან, რომ არ დაივიწყონ, თუ რას ნიშნავს, იყო ბავშვი.

აღწერილმა ამბავმა შესაძლოა, ჩვენც დაგვაფიქროს იმის შესახებ, თუ რა როლი აქვთ ე.წ. როლურ მოდელებს, ანუ მისაბაძ პიროვნებებს ჩვენი შვილების აღზრდაში.

ანტიკური ხანიდან მოყოლებული, ცნობილია, რომ ხშირ შემთხვევაში, შეგონებებსა და წვრთნაზე მეტად ახალგაზრდის ღირებულებებსა და ქცევებს აყალიბებს გმირების, სოციალური თუ პროფესიული ჯგუფის წარმატებული წევრების იმიტაცია.

მრავალ ქვეყანაში ბჭობენ, როგორი იდეალები უნდა არსებობდეს მოსწავლეებისთვის. საქართველოშიც არსებობს იმის მცდელობა, რომ მოსწავლეებს სკოლამ შესთავაზოს მისაბაძი მაგალითები. ინფორმაციის მასობრივი საშუალებებიც წარმატების მქონე ინდივიდების ხატებს ქმნიან და მათ ტირაჟირებას ახდენენ. მათ ქცევას კი საკუთარი ყოველდღიური არჩევანის გაკეთებისას მრავალი ადამიანი გაცნობიერებულად თუ გაუცნობიერებლად ითვალისწინებს.

ცნობილია, რომ საუკეთესო გზა როლური მოდელების გაჩენისთვის ე.წ. მისაბაძ ადამიანებთან პირდაპირი ურთიერთობაა. მაგალითად, არსებობს პრობლემა, რომ ბიჭებს ნაკლებად უნდებათ მასწავლებლობა, ვიდრე – გოგონებს. ამის ერთ-ერთი მიზეზი მამაკაც მასწავლებლებთან ურთიერთობის იშვიათი გამოცდილებაა.

ასევე ცნობილია ის, რომ მამაკაცი მასწავლებლების ნაკლებობა შესაძლოა, იწვევდეს ბიჭებში სოციალური ქცევების გამომუშავებისთვის სხვადასხვა დაბრკოლებას. ეს განსაკუთრებულად პრობლემურია მაშინ, როდესაც ბიჭი მარტოხელა დედასთან იზრდება და მამაკაცებთან შეხება იშვიათად აქვს.

რა მოდელების ტირაჟირებას ვახდენთ და როგორ ვაკეთებთ ამას? ამ თვალსაზრისით მედია როგორც პოზიტიურ, ისე შემზღუდავ ფუნქციას ატარებს. სასკოლო ასაკის ბავშვების უმეტესობა, ვისთვისაც მხოლოდ ქართულენოვანი ტელევიზიაა ხელმისაწვდომი, უყურებს სატელევიზიო გადაცემებს, რომლებიც, ძირითადად, ფილმებისგან, პოლიტიკური და საზოგადოებრივი შოუებისგან და ახალი ამბებისგან შედგება.

ადამიანები, რომლებიც ეკრანზე ხშირად ჩანან, ინტერესებისა და პროფესიების თვალსაზრისით, საკმაოდ შეზღუდულები არიან. ჩვენი მოსწავლეები ტელევიზიით უმეტესად რელიგიურ ლიდერებს, პოლიტიკოსებს, სამართალდამცავი ორგანოების მუშაკებსა და შოუბიზნესის წარმომადგენლებს ხედავენ. იშვიათია, იმგვარი გადაცემები, რომლებიც წარმატებული ადამიანების (გარდა ჩამოთვლილი სფეროებიდან) ცხოვრებისეულ გამოცდილებას აღწერს. შესაბამისად, ჩვენი თანემედროვეების წრე, რომელსაც ჩვენმა ბავშვებმა შეიძლება, მიბაძონ, საკმაოდ ვიწროა.

როგორ იქცევიან მოსწავლეებისთვის კარგად ნაცნობი ადამიანები? მასწავლებლების ნაწილი იშვიათად სცემს პატივს მოსწავლის იმ მოსაზრებას, რომელიც საკუთარს არ ემთხვევა. მოსწავლეები იშვიათად იცნობენ მასწავლებლებს, რომლებსაც რაიმე განსაკუთრებული ინტერესი ან უნარი აქვთ. მასწავლებლების დიდ ნაწილს ზედმეტი წონა აქვს და სპორტს არ მისდევს. მათი მხოლოდ მცირე ნაწილი კითხულობს რაიმე საინტერესოს მოსწავლეების თანდასწრებით. მასწავლებლების დიდი ნაწილი მოსწავლეების თანდასწრებით კარგავს სიამაყესა და შინაგან სიმტკიცეს, როდესაც ძალაუფლების მქონე ადამიანებთან, დირექციასთან, მანდატურებთან აქვთ ურთიერთობა.

რა მაგალითებს იძლევიან ადამიანები, რომლებმაც გარკვეულ წარმატებას მიაღწიეს და ამავდროულად, ხშირად ჩანან საზოგადოებრივ არენაზე? ამ კითხვას პასუხი შეგიძლიათ, ადვილად გასცეთ, თუ გაიხსენებთ, როგორ იქცევიან, როგორ

■ მოსწავლეებისთვის მიბაძვის ობიექტები, პირველ რიგში, მათი მშობლები, შემდეგ კი უფროსი თანატოლები, მასწავლებლები და სკოლის ცხოვრებაში ჩართული სხვა პირები, მასმედიით ცნობილი ადამიანები ხდებიან.

საუბრობენ, როგორ რეაგირებენ კრიტიკასა და შექებაზე ჩვენი დროის გმირები: პოლიტიკოსები, სამართალდამცავი სისტემის წარმომადგენლები, ჟურნალისტები, შოუბიზნესის წარმომადგენლები, სპორტსმენები, რელიგიის მსახურები, ინვესტორები, ტურისტები და ასე შემდეგ. ჩვენი მოსწავლეები იშვიათად ხედავენ ადამიანებს, რომლებიც საკუთარი საქმიანობასა და ინტერესებში მთლიანად ჩაძირულები არიან. მოსწავლეების მორალური აღზრდისა და ამავდროულად, სწავლის მოტივაციის ამაღლებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ ადამიანებს, რომლებსაც აქვთ ფართო ხედვა, გაბედული და პასუხისმგებლიანი სამოქალაქო პოზიცია, რომლებიც არიან ამაყები არა მხოლოდ წარმომავლობის, არამედ საკუთარი წარმატებების გამო, რომლებსაც აქვთ განსაკუთრებული ინტერესები, რომლებიც ქმნიან ცოდნას, ძალისხმევასა და სიმდიდრეს კი სხვების კეთილდღეობას პათეტიკისა და თვალთმაქცობის გარეშე ახმარენ, რომლებიც იქცევიან ღირსეულად მაშინაც, როდესაც ჟურნალისტები არ არიან სიახლოვეში.

მოსწავლეებისთვის მიბაძვის ობიექტები, პირველ რიგში, მათი მშობლები, შემდეგ კი უფროსი თანატოლები, მასწავლებლები და სკოლის ცხოვრებაში ჩართული სხვა პირები, მასმედიით ცნობილი ადამიანები ხდებიან. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია სასწავლო პროცესში აღზრდის დახვენილი და გამოცდილი მეთოდების გამოყენება.

არადა, ყოველდღიურობაში ხშირად ვხვდებით სწორხაზოვან მიდგომებს, რომელთა დროსაც მოსწავლეები კრიტიკული ანალიზის გარეშე მოქმედებენ და ვალდებულები ხდებიან, გაიმეორონ მასწავლებლების ან სკოლის დირექციის მიერ მიწოდებული მაქსიმები იმისთვის, რომ თავს მოხვეულ თამაშში წარმატებას მიაღწიონ.

რამდენიმე დღის წინ ჩემმა მესამე კლასში მყოფმა შვილმა თავისი ნამუშევარი მაჩვენა. ლამაზ ფერებში ხატია ფორმიანი ადამიანი და იქვე გულებია მიხატული. ამიხსნა, რომ ამ ნახატს „მე მიყვარს პოლიციელი“ ჰქვია. კითხვას – თუ რატომ უყვარს მას პოლიციელი, გულწრფელი პასუხი მოჰყვა: „იმიტომ, რომ დამავალეს...“ სამწუხაროა, რომ მას არასოდეს ჰქონია შესაძლებლობა, პოლიციელს შეხვედროდა. შესაძლოა, ამ პოლიციელს მისთვის მოეყოლა, თუ რა არის საინტერესო მის ცხოვრებაში, რას მოაქვს მისთვის სიხარული და როგორ დაეხმარა ის კონკრეტულ ადამიანს და საზოგადოებას. ამის შემდეგ შესაძლოა, პოლიციელი გამხდარიყო კიდეც ბავშვებისთვის მისაბაძი. ამის სანაცვლოდ, პოლიციელის სიყვარული ბავშვს დაავალა მასწავლებელმა, რომელსაც, თავის მხრივ, ეს დავალება დირექტორმა მისცა, მას კი – სახელმწიფო უწყების წარმომადგენელმა.

ვიდრე ჩვენს შვილებს პეპი გრძელიწინდას დახატვას დაავალებენ, რომელსაც სკოლაში დაგვიანებისთვის მანდატური ოქმს უფორმებს, უკეთესი იქნება, რომ დირექტორებმა, მასწავლებლებმა, მშობლებმა და განათლების სპეციალისტებმა მივბაძოთ გერმანელებს და ინიციატივა ჩვენს თავზე ავიღოთ. ერთად შევარჩიოთ ბავშვების აღზრდის მეთოდები და ორიენტირები.

ვაჭრობა თავისუფალი ვაჭრობისთვის

რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანება საქართველოზეა დამოკიდებული. მთავრობამ ეს სიტუაცია ჭკვიანურად უნდა გამოიყენოს.

მარკ მალენი

ახლახან ევროკავშირმა ხელი მოაწერა რუსეთთან შეთანხმებას, სადაც აღიარებს, რომ ის რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში (მსო) გაწევრიანების მომხრეა. იგივე განაცხადა ამერიკამაც. ასე, რომ ახლა რუსეთს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციისგან მხოლოდ ერთი რამ აშორებს: საქართველო. საქართველოს მთავრობაზე მალე ზეწოლა განსაკუთრებით მოიმატებს, რომ მან როგორმე მხარი დაუჭიროს რუსეთის გაწევრიანებას. ამიტომაც, ახლა შესაფერისი დროა იმაში გასარკვევად, თუ საერთოდ, რა არის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია და როგორია მოლაპარაკების დეტალები.

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია მსოფლიო ვაჭრობას არეგულირებს. ეს არის ფორუმი, რომლის მეშვეობითაც სავაჭრო დავები წყდება. ორგანიზაციაში გაწევრიანებით, ყველა ქვეყანა თანხმდება საერთო პრინციპზე – ეს არის თავისუფალი ვაჭრობა. რა თქმა უნდა, ზოგიერთი წევრი ქვეყანა მაინც უფრო მეტად თავისუფალია, ვიდრე სხვა, მაგრამ ეს სხვებიც კი, სულ მცირე, იმაზე მაინც თანხმდებიან, რომ თავისუფალი ვაჭრობა პრინციპულად კარგი რამაა. თავდაპირველად, ქვეყნებს შორის პერიოდული დისკუსიები და მოლაპარაკებები იმართებოდა ტარიფების და სუბსიდიების შესახებ. მოგვიანებით, ამ ურთიერთობებმა ორგანიზაციის სახე მიიღო. შედეგად, ამ ქვეყნების უმრავლესობაში ვაჭრობა ახლა გაცილებით თავისუფალია, ვიდრე ვთქვათ, ორმოცდაათი წლის წინ იყო.

რუსეთს ამ ორგანიზაციის წევრობა რამდენიმე მიზეზის გამო სურს. პირველი ის, რომ რუსეთი ყველაზე დიდი ქვეყანაა მათ შორის, ვინც მსო-ს წევრი არ არის. რუსეთს კი სულაც არ სურს, იმ ქვეყნების სიაში იყოს, რომლებიც ორგანიზაციის წევრები არ არიან. მეორეც – რუსეთი, ძირითადად, ნავთობის, ბუნებრივი გაზის და სხვა სასარგებლო წიაღისეულის გაყიდვით მიღებული შემოსავლებით ცხოვრობს. ისინი, ვისაც რუსეთის მომავალი ანაღვლებთ, (ცოტანი არიან, მაგრამ მაინც) კარგად ხვდებიან, რომ ადრე თუ გვიან, ეკონომიკის დივერსიფიკაცია აუცილებელი გახდება. თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმს კი, თავისთავად, განვითარებამდე მივყავართ.

მსო-ს წევრობა საქართველოს, პრაქტიკულად, ერთადერთი იარაღია მოლაპარაკებების პროცესში. ევროკავშირს და ამერიკას რუსეთის მსო-ში გაწევრიანება სურთ. იმისთვის, რომ საქართველომ ეს პროცესი საკუთარი ვეტოთი არ შეაჩეროს, ისინი არც საქართველოს მთავრობაზე ზეწოლას მოერიდებიან.

მიუხედავად ამისა, რუსეთში არიან ისეთებიც, ვისაც მსო-ს წევრობა სულაც არაა ხელსაყრელი და ეს პერსპექტივა ძალიან ანერვიულებთ. მათ ფული სწორედ იზოლირებული ეკონომიკის და კაპრიზული პროტექციონიზმის წყალობით იშოვეს. ასეთებისთვის აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებისთვის სამართლიანი კონკურენციის გაწევა ადვილი ნამდვილად არ იქნება. მოკლევადიან პერსპექტივაში, ამან შეიძლება რუსეთის ეკონომიკას სერიოზული პრობლემებიც შეუქმნას.

საქართველოსთვის რუსეთის მსო-ში გაწევრიანება რამდენიმე მიზეზის გამო არის ხელსაყრელი. რუსებს ჯერ კიდევ უყვართ ქართული წარმოების პროდუქტები, რომელთა ექსპორტი, რუსეთის ორგანიზაციაში გაწევრიანების შემთხვევაში, საქართველოსთვის გაცილებით უფრო გაადვილდება. ამჟამად, რუსეთი თამაშგარე მდგომარეობაშია და შეუძლია გადაწყვეტილებები „ცხელ გულზე“, სპონტანურად მიიღოს. მაგალითისთვის ქართული ღვინის ან პოლონური ხორცის იმპორტის აკრძალვაც კმარა. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრობა რუსეთს ვაჭრობაში საერთაშორისო ნორმებს დაუწესებს. რუსეთს კი ასეთი ნორმები ნამდვილად სჭირდება, თანაც – არამარტო ვაჭრობაში.

პრობლემა ის არის, რომ ზ მსო-ს წევრობა საქართველოს, პრაქტიკულად, ერთადერთი იარაღია მოლაპარაკებების

პროცესში. ევროკავშირს და ამერიკას რუსეთის მსო-ში გაწევრიანება სურთ. იმისთვის, რომ საქართველომ ეს პროცესი საკუთარი ვეტოთი არ შეაჩეროს, ისინი არც საქართველოს მთავრობაზე ზეწოლას მოერიდებიან. საქართველოს პოზიცია მყარია – მას სურს სასაზღვრო კონტროლი დაწესდეს ყველაფერზე, რაც შედის და გამოდის სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში. საქართველოს მხრიდან, ეს სავსებით სამართლიანი მოთხოვნაა და საერთაშორისო სამართლის კუთხითაც – სრულიად საფუძვლიანი.

მაგრამ ამ მოთხოვნის შესრულება უკიდურესად გაჭირდება რუსეთისგან, მას შემდეგ, რაც აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სუვერენიტეტი აღიარა. აქედან გამომდინარე, საქართველოს ეს მოთხოვნა მოლაპარაკებების ჩაშლის წინაპირობაა.

ევროკავშირსა და ამერიკას საქართველოზე ზეგავლენის მოსახდენად უამრავი ფინანსური ბერკეტი აქვთ. საქართველომ უკვე მიიღო საკმაოდ დიდი გრანტები და დასავლეთს ამით მისი მანიპულირება შეუძლია. საქართველო დიდწილად საერთაშორისო გრანტებზეა დამოკიდებული.

საქმეში შესაძლოა, ევროკავშირის მონიტორინგის მისიაც ჩაერთოს. ამჟამად, მათ კონფლიქტურ ზოლთან მიახლოება მხოლოდ საქართველოს მხრიდან შეუძლიათ, რადგან რუსეთი, აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი დამკვირვებლებს თავიანთ მხარეს არ უშვებენ. შესაძლოა, ევროკავშირის მონიტორინგის მისია პრობლემის გადაჭრის ერთ-ერთი გზაა. თუ მას კონფლიქტურ ზონებში შეუშვებენ, ამ ქვეყნებისთვის ეს დიდი წინსვლა იქნება.

რუსეთის მსო-ში გაწევრიანების თემა, ალბათ, ბოლო წლების ერთ-ერთი ყველაზე დელიკატური და მნიშვნელოვანი მოლაპარაკებაა, რომელშიც საქართველოა ჩართული. რთულია ევროკავშირთან ვიზებსა და ვაჭრობაზე მოლაპარაკებაც, მაგრამ იქ საქმე მაინც სხვაგვარად დგას – ბოლოს და ბოლოს, ევროპელები ხომ მაინც ჩვენი მეგობრები არიან, თანაც დრო ჯერ კიდევ საკმარისად გვაქვს. კრემლს კი მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში მოხვედრა 2012 წლის საპრეზიდენტო არჩევნებამდე სურს. მხარეების შეთანხმებამდე კი ჯერ კიდევ ძალიან დიდი გზაა გასავლელი. საქართველოს მთავრობა კარგად უნდა მოემზადოს – უნდა დაფიქრდეს, რა სურს მიიღოს ამ პროცესისგან, წამოაყენოს რეალისტური მოთხოვნები, იყოს გულწრფელი საქართველოს მოსახლეობის წინაშე და შეთანხმების თითოეული დეტალი დაკვირვებით უნდა განიხილოს. რაც მთავარია, მთავრობამ უნდა შეძლოს და საქართველოს გრძელვადიანი ინტერესები მოკლევადიანს არ ანაცვალოს. ამის შანსი მას მხოლოდ ერთხელ, ახლა ეძლევა.

ინგლისურიდან თარგმნა გიორგი ცხადაიამ.

კულტურა

ფეხშიშველა, ბაბილონისკენ!

სიდი ლარბი შერკაული, როგორც „ქორეოგრაფიის ვიკილიქსი.“

დავით ბუხრიკიძე, ბერლინი

სცენა სპექტაკლიდან „ბაბილონი“

„ბაბილონს“ სიდი ლარბი ქორეოგრაფ დამიენ ჟალესთან ერთად, 13 ეროვნების 18 მოცეკვავის, მსახიობის და მუსიკოსის „დახმარებით“ აშენებს. სცენის სიღრმეში მუსიკოსები სხედან, რომელთა შესრულება თითქოს მუდმივ ენერგიას და რიტმს ანიჭებს მოცეკვავეთა სხეულებს.

ბერლინის „ფესტივალჰაუზიც“ კი, სადაც მაღალფარდოვნებით გამორჩეული თეატრალური ბურჟუაზია და მოხულიგნო-მემარცხენე არტ-პუბლიკა ერთად იკრიბება, იმ საღამოს ჯულიან ასანჟის შესახებ საუბრობდა. თუმცა ქორეოგრაფიული „ბაბილონის“ შემდეგ, რომელიც ბელგიელი მოცეკვავის, მსახიობის, ჯაზ-შემსრულებლისა და ქორეოგრაფის, სიდი ლარბი შერკაუის ბოლო ნამუშევარია, აზრი „ოდნავ“ შეიცვალა: ამ უკანასკნელს ჯერ კიდევ ფესტივალის დროს „ქორეოგრაფიის ვიკილიკსის“ სტატუსი მიანიჭეს.

ირონია იქით იყოს და, მგონი, ევროპულ თეატრალურ და ქორეოგრაფიულ სივრცეში სიდი ლარბი (მოკლედ ასეც უწოდებენ მას პრესაში) ბოლო დროს ყველაზე პოპულარული პერსონაა. მისი წარმოდგენები ისეთივე დაუნდობელი, კონტრასტული, მამხილებელი და გასაგებად პროვოკაციულია, როგორც „ვიკილიქსის“ მასალები. „ბაბილონი“ (სიტყვები) ე.წ. ბიბლიური ტრილოგიის მესამე ნაწილია – Foi, Myth, Babel („რწმენა“, „მითი“, ბაბილონი“).

სახელწოდებანი უკვე მიანიშნებს თემატურ მნიშვნელობასა და გარკვეულ პრეტენზიულობაზე. თუმცა ქორეოგრაფის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ რელიგიური თემებით არსად სპეკულირებს. სცენაზე გიგანტური რკინის კონსტრუქციებით „აშენებულ და დანგრეულ“ ბაბილონში იგი თანამედროვე ადამიანის ყველაზე მტკივნეულ პრობლემებს აშიშვლებს. სხვადასხვა ენაზე „მოსაუბრე“ სხეულების ეროტიკულად თამამი მღელვარება და მოურიდებელი რასობრივი კონფლიქტები მოულოდნელად იხლართება რელიგიური შეუწყნარებლობის თემებშიც. ერთ-ერთ ეპიზოდში მოცეკვავეებს კბილებით ბიბლია უჭირავთ და ხელში ყურანი. ერთმანეთს ეჯახებიან და შემდეგ ბიბლიასა და ყურანს ადგილს უცვლიან.

„ბაბილონს“ სიდი ლარბი ქორეოგრაფ დამიენ ჟალესთან ერთად, 13 ეროვნების 18 მოცეკვავის, მსახიობის და მუსიკოსის „დახმარებით“ აშენებს. სცენის სიღრმეში მუსიკოსები სხედან, რომელთა შესრულება (განსაკუთრებით, ელექტრონული ინსტრუმენტები) თითქოს მუდმივ ენერგიას და რიტმს ანიჭებს მოცეკვავეთა სხეულებს. სხვადასხვა ენაზე წაკითხული ბიბლიური ტექსტები კი გაუცხოებასთან ერთად, რაღაც საერთო ბედისწერით იკვეთება.

დიდი ქალაქების გარეუბნების სისასტიკე და მუსლიმთა და ევროპელთა შეუწყნარებლობა, რასობრივი პრობლემები და სანაქებო მულტიკულტურულობა, რომელიც დიდი ხანია ევროპის თავის ტკივილად იქცა.

„გეკითხებით, რა მოაქვს ერთად ცხოვრებას, ან როგორ ვაშენებთ მას? ვინ გვრთავს ნებას, რომ სხვის ცხოვრებაში შევიჭრათ, ან რატომ იჭრებიან სხვები ჩვენს ცხოვრებაში? რატომ ვსაუბრობთ უცხოსთან უფრო გასაგები ენით და რატომ არ გვესმის

დაახლოებით ორი საათის განმავლობაში, სიდი ლარბი ხან აქრობს და ხან აღვიძებს ქაოსისა თუ დამანგრეველი ვნების იმპულსებს. ის ჯერ სადღაც ქრება, მაგრამ საკმარისია უწყინარი რასისტული ფრაზა სპექტაკლში, ან რელიგიური ნაპერწკლის გაღვივება (მაგალითად, მუსლიმურ-ებრაული თემა), რომ ყველაფერი დიდი ქაოსის დაწყების მიზეზი აღმოჩნდება.

სიდი ლარბი შერკაული არ გვიჩვენებს ბრიუსელის ან პარიზის გაკრიალებულ ოფისების და მშვიდი ცხოვრების წვრილმან მომხიბვლელობას. ამ გარეგნულად უდარდელი ცხოვრების მიღმა მიძინებული ბაბილონი თვლემს: ყველაზე ახლობელი ადამიანის?“ ამ ფრაზებს ქანცგაწყვეტილი მოცეკვავეების და მსახიობების სხეულებზე გადავლით, ფინალში ერთ-ერთი პერსონაჟი ამბობს.

სპექტაკლის ოდნავ ნაივური ეგზისტენცია მართლაც „ვიკილიქსის“ დამფუძნებლის შეკითხვებს უფრო ჰგავს, მაგრამ ჯულიან ასანჟისგან განსხვავებით, სიდი ლარბის „ტომები“ შემონახული არ აქვს და არც კორპორაციების სიმახინჯეს აღწერს.... ის ცივილიზებული ევროპის ყრუ, მაგრამ გამჭვირვალე ოფისების კედელს ანგრევს და ფეხშიშველა მიაბიჯებს... ჯერ კიდევ ასაშენებლი ბაბილონისკენ.

ლიბერალი

სპეციალური შეთავაზება

მხოლოდ 2010 წლის 31 დეკემბრამდე შეგიძლიათ გამოიწეროთ ჟურნალი „ლიბერალი“

თითქმის ნახევარ ფასად!

წლიური ხელმოწერა

მხოლოდ 55 ლარი!

ისარგებლეთ სპეციალური შეთავაზებით, გამოიწერეთ ჟურნალი „ლიბერალი“ და მიიღეთ თქვენი ჟურნალი

ყოველ ორშაბათს

თქვენთვის სასურველ ადგილას!

ჟურნალის გამოსაწერად დაგვიკავშირდით ტელეფონზე:

(899) 48 62 41

ან მოგვაწოდეთ თქვენი საკონტაქტო ინფორმაცია ელ-ფოსტით: **info@liberali.ge**

კულტურა

"მძიმე ფილმების" დღესასწაული

თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალი „პრომეთე“, დუბლი მე-11.

ნინია კაკაბაძე

ფესტივალს თავისი რიტმი აქვს. დილიდან იწყებ, ერთ ფილმზე შედიხარ, მერე ყავას მიირთმევ, მეორეზე შედიხარ, მეორესა და მესამეს შორის, მეგობრებთან უკვე ნანახ ფილმზე ლაპარაკობ, მესამეზე შედიხარ, გამოდიხარ და უკვე გშია. იქვე რამეს მიირთმევ და თან გრძნობ, რომ ბედნიერი ხარ. საღამოს სეანსიც მოვიდა. „ბარემ ესეც ვნახოთ?“ „ვნახოთ!“ – გეუბნება თანამაყურებელი.

რუსთაველის კინოთეატრი იდეალურია ფესტივალისთვის. ის ბერლინის CINEMAXX -ს მოგაგონებთ, სადაც ერთ შენობაში 20-მდე კინოდარბაზია და ბერლინის ფესტივალის დროს, მთელი დღის განმავლობაში, ყველა მათგანი სავსეა. იყო აკრედიტირებული ჟურნალისტი – კიდევ ერთი და მთავარი სიამოვნებაა. ბილეთების რიგში დგომა არ გიწევს და ყველგან ამაყად შეაბიჯებ. მართალია, შეიძლება, კიბეზე ჯდომა და ფეხზე დგომა მოგიხდეთ, მაგრამ მაინც ღირს. პრესისთვის ადგილები გამოყოფილი არ არის.

კინოფესტივალის დროს, (კიდევ კარგი, მხოლოდ თბილისის ფესტივალის ამარა არ ვარ დარჩენილი!) ჩემი გონება ყველაზე აქტიურად მუშაობს, შემიძლია ვთქვა, რომ, პრაქტიკულად, არ ჩერდება. ეს ჩემი გონების ღირსება არ არის, ეს კინოს დამსახურებაა, კარგი ფილმების, რომელიც ნახვის შემდეგ მოსვენებას არ გაძლევს.

წელს თბილისის საერთაშორისო ფესტივალი უკვე მეთერთმეტედ ტარდება. მიუხედავად იმისა, რომ დაარსების დღიდან ის სახელმწიფოსთვის ყველაზე ნაკლებ-პრიორიტეტული და დაბალბიუჯეტიანი პროექტია, ფესტივალის მაყურებელი ყოველწლიურად მატულობს. დღის განმავლობაში რუსთაველის კინოთეატრის რომელ დარბაზშიც არ უნდა შეიხედოთ, CINEMAXX-ის მსგავსად, ყოველი მათგანი სავსეა. ეს კი ყველაზე დიდი და საჭირო ძალაა ფესტივალის და კინოს განვითარებისათვის. მე ამით ბედნიერი ვარ!

ფესტივალს ბედნიერება მოაქვს, მაგრამ ფესტივალის მაყურებელი, პრაქტიკულად, ყოველი სეანსის შემდეგ ფილმების სიმძიმეზე საუბრობს. „ძალიან მძიმე ფილმი იყო“, „ძალიან დავითრგუნე“. ერთმა მეგობარმა ისიც კი მომწერა – ამ ფესტივალზე ყოველი ჩვენების წინ ქსანაქსები უნდა დაარიგონო (ვინც არ იცის, მათთვის: ქსანაქსი – ტრანკვილიზატორია. ე.წ. დამამშვიდებელი. მე ის ისედაც ყოველთვის ჩანთაში მაქვს). ფილმები, მართლაც მძიმეა და სწორედ ეს კონტრასტია ყველაზე საინტერესო. როგორ შეიძლება, ბედნიერებას გრძნობდე, როცა უმძიმეს სურათებს უყურებ? ძალიან მარტივად – გონება მუშაობს. ახალ ინსპირაციას, საფიქრალს იღებ. ბედნიერი ხომ მაშინ ხარ, როდესაც ხვდები, რომ აზროვნებ!

ჩემთვის კინო ყველაზე ძლიერი საშუალებაა სინამდვილის აღსაქმელად, რომელიც რეალურ ცხოვრებაში ჩაკარგულია და როგორც წესი, ჩვენ მას ან ვერ ვხედავთ, ან თვალს ვარიდებთ, ან ვმალავთ.

დამოუკიდებელი ამერიკული კინოს წარმომადგენელი, 2009 წელს სანდენსის კინოფესტივალის პრიზიორი დებრა გრანიკი „პრომეთეზე“ თავის უკანასკნელ ნამუშევარს წარმოადგენს. „ზამთრის მარაგი“ – ასე ჰქვია ფილმს და ამერიკის ერთ-ერთი მიგდებული სოფლის მცხოვრებთა ისტორიას მოგვითხრობს. ოჯახის მამა გაუჩინარდება, დედა განუკურნებელი სენით არის დაავადებული, უფროს დას უმცროსი და-ძმის მოვლა და მამის სიკვდილის დადგენა დაევალება. ნატურალისტურ სტილში წარმოდგენილი ისტორია აქცენტს მათ სოციალურ მდგომარეობაზე ამახვილებს, სადაც ქალიშვილისთვის მამის სიკვდილის დადგენა მათ მომავალთან არის დაკავშირებული. თუკი მისი სიკვდილი არ დამტკიცდა, პოლიცია მათ სახლს ჩამოართმევს. ამიტომ 17 წლის გოგონას ხან ადგილობრივ მაფიასთან, ხან კი პოლიციასთან დაპირისპირება უწევს და ვიდრე მამის ცხედარს არ მიაკვლევს, მისი მომავალი საფრთხეშია.

ფოტო: ბაუ ბოზაძე(ბაბალე)

ოთარ იოსელიანი თბილისის მე-11 საერთაშორისო კინოფესტივალის გახსნაზე, თბილისი, 6 დეკემბერი 2010

ფესტივალს ბედნიერება მოაქვს, მაგრამ ფესტივალის მაყურებელი, პრაქტიკულად, ყოველი სეანსის შემდეგ ფილმების სიმძიმეზე საუბრობს.

კიდევ ერთი ოჯახის (მაგრამ ამჯერად პოლონურის) ისტორიაა ფილმში „კატების დედა ტერეზა“ (რეჟისორი – პაველ სალა). რეჟისორს ძალიან საინტერესოდ აქვს აწყობილი ფილმის დრამატურგია. ორ ძმას პოლიცია აპატიმრებს და ქალაქის მთავარ ციხეში გადაჰყავს. რეჟისორი დაპატიმრების მიზეზს უკანსვლით, არეული ქრონოლოგიით გვიყვება. 3 თვის წინ, 6 თვის წინ, 2 თვის წინ, 12 თვის წინ და ა.შ. გასული თვეებიდან კი ვიგებთ რომ ბიჭებმა ჯერ საკუთარი მამა მოკლეს და შემდეგ დედა. ერაყის ომიდან დაბრუნებული მამის ფსიქიკა დაზიანებულია. დედა აღარ არის ბედნიერი. ოჯახში ძალადობის ფაქტები ხდება, ინცესტი და ა.შ. მაგრამ რეჟისორმა ეს ყველაფერი ეკრანზე არ გვაჩვენა, ეს მხოლოდ საუბრიდან ირკვევა.

საკმაოდ მძიმე და ემოციურად სავსე იყო ჰანა მახმალბაფის ფილმი „მწვანე დღეები“, სადაც 2009 წლის ირანის მდგომარეობა იყო აღწერილი. დოკუმენტური კადრები, რომელიც ადამიანთა სიკვდილს ასახავს, ფილმს მეტ სიმძაფრესა და ე.წ. სიმძიმეს სძენს.

ყველაზე მძიმე ფილმად მიხაელ ჰანეკეს ფილმი „თეთრი ბაფთა“ მოინათლა, კანის საერთაშორისო კინოფესტივალის ოქროს პალმის რტოს ლაურეატი. მოქმედება, პირველი მსოფლიო ომის დაწყებამდე გერმანიის პატარა პროტესტანტულ სოფელში ვითარდება. ფილმში რამდენიმე ოჯახის ისტორია და სოფელში რამდენიმე დაუნდობელი ძალადობის ფაქტია ასახული. ფილმის ანოტაცია ამ სიტყვებით სრულდება და სწორედ ეს არის, ფილმის მთავარი კითხვა: „ვინ დგას ამ დანაშაულებების მიღმა?“

ზემოთ ჩამოთვლილი რამდენიმე ფილმი, ბუნებრივია, არ არის ერთ კინემატოგრაფიულ პლატფორმაზე დასაყენებელი, რადგან ფილმები, რომელიც სხვადასხვა ქვეყანაში, ოჯახში, სახელმწიფოში – სხვადასხვა ტიპის უსამართლობასა და დანაშაულზე მოგვითხრობს, განსხვავებული ოსტატობით არის შესრულებული. მათგან ნამდვილი პროფესიონალი მიხაელ ჰანეკეა, რომლის შავ-თეთრი გამოსახულება, სტატიკური კადრები, შემაძრწუნებელი სახეები და ლანდშაფტები დაუვიწყარ დამაჯერებლობას ქმნის. სიმძაფრის შეგრძნება, რომელიც გთრგუნავს და გაიძულებს, იფიქრო. არ არსებობს კონკრეტული დამნაშავე, მთავარი მოძალადე საზოგადოებაა, რომელიც ახალ ძალადობას შობს. კეთილისა და ბოროტის დაპირისპირება საბჭოთა სოცრეალიზმის და ჰოლივუდის ნიშაა, რომელსაც წარმატებულად ასრულებს თუ ასრულებდა. ჰანეკეს და სხვა დანარჩენების კრიტიკის ვექტორი ყოველი ჩვენგანისკენ არის მომართული – საზოგადოებისკენ, რომელიც ისე გაეხვია ფარისევლობის მანტიაში, რომ საკუთარ მანკიერებასაც ვეღარ ამჩნევს. ომი (პაველ სალას „კატების დედა ტერეზა“) ქრისტიანული, პროტესტანტული დოგმატიზმი (მიხაელ ჰანეკეს – თეთრი ბაფთა“) ტოტალიტარიზმი (ჰანა მახმალბაფის „მწვანე დღეები“), სოციალური დაუცველობა (დებრა გრანიკის „ზამთრის მარაგი“) – მათი არსებობა ჯაჭვური რეაქციით ახალ ძალადობას, უსამართლობას ბადებს.

კინო ფესტივალი და წარმოდგენილი ფილმები, რომელთა შორის ზოგიერთი უკვე სხვა, A კლასის ფესტივალების ნომინანტი თუ ლაურეატია, სწორედ იმ დღესასწაულს ქმნის, რომელიც ყველაზე მძაფრად გვაფიქრებს არსებობაზე, გვაზროვნებს და გვაძებნინებს გამოსავალს. ის ყველაზე მკაფიოდ და დამაჯერებლად გვაჩვენებს სინამდვილეს, იმაზე მძაფრად, ვიდრე ეს ნამდვილ ცხოვრებაშია შესაძლებელი.

ვთხოვ ყველას, სახელმწიფოს, კერძო ბიზნესს, მუნიციპალიტეტს თუ სხვა ნებისმიერს, ვისაც ჯიბეში ფული უდევს – გამოყავით თანხა თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალისთვის, რომ მომავალში მეტი ფილმის ნახვა შევძლოთ, მეტი ავტორის მოწვევა და მოსმენა იყოს შესაძლებელი, რომ უფრო ხანგრძლივი იყოს ფესტივალის დღეები – იმისათვის, რომ ჩვენმა გონებამ იაზროვნოს „მძიმე ფილმების“ ყურებისას, დღესასწაულით, რომელსაც მხოლოდ სინამდვილე ქმნის!

ადიო, დედაო ენავ!

მწერალს მარტო საქართველოში თუ დაუსვამენ ასეთ შეკითხვას: „სად ვიყიდო შენი წიგნი?“ ღმერთო ჩემო, სად უნდა იყიდებოდეს – ცხადია, აფთიაქში! რა უნდა წიგნს წიგნის მაღაზიაში!

ლაშა ბუღაძე, მწერალი

დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია – ბევრმა ადამიანმა ჯერაც არ იცის, რომ წიგნებს, ჩვეულებრივ, წიგნის მაღაზიებში ყიდიან. რაც ვწერ და ვკითხულობ (როგორც ვინმე კლასიკოსი იტყოდა – აგერ უკვე 33 წელია, ვემსახურები ქართულ სიტყვას...), მუდმივად მისვამენ ერთსა და იმავე შეკითხვას:

– შენი წიგნი არ უნდა მაჩუქო?

ეს შეკითხვა იმ პირველ შეკითხვაზე („სად იყიდება შენი წიგნი“) მეტად მეჯავრება. სულ ვაპირებ, მაგრამ დღემდე ვერ გამიბედავს ასეთი პასუხის გაცემა: – არა!

თუმცა, მათი ბრალი არაა, ასე რომ ფიქრობენ. სტერეოტიპი, რომლის მიხედვითაც მწერალს საწოლის ქვეშ აქვს შემალული თავისი წიგნის (თავისივე ფულით გამოცემული) ასობით ეგზემპლარი, თავად მწერლებმავე შექმნეს. არამკითხველი ადამიანისთვის (აქტიური მკითხველი ამგვარ შეკითხვებს არ დასვამს) ქართველი მწერალი ერთი წესიერი, თავისივე რომანებით, პოემებითა და მოთხრობებით გამოტენილ საწოლ-კომოდზე ჩამომჯარი, გაწვალებულ-დაღვრემილი კაცია და ბევრი არაფერი მოაკლდება (პირიქით, ესიამოვნება კიდეც, თუკი ინტერესს გამოიჩენ მისი „ნაწვალების“ მიმართ), ერთი ცალი ლპობაშეპარული ბროშურა რომ გაჩუქოს...

კიდევ, იცით, როგორი არამკითხველები მაღიზიანებენ? ისეთები, ჯიუტად რომ იმეორებენ ნაფტალინშეპარული სნობიზმით შეფერადებულ სიტყვებს:

– ქართულად წიგნებს ვერ ვკითხულობ.

ეს ნიშნავს, რომ არამკითხველი პირდაპირ შთანთქავს, ხაპავს და აბულბულებს რუსულ (აწ კი, ინგლისურ) ენაზე გამოცემულ ლიტერატურას, მაგრამ მშობლიურ ენაზე დაწერილ ან ნათარგმ ტექსტებს, უკაცრავად, ვერაფრით უდებს გულს, უჭირს მათი გადამუშავება...

ვერ წარმომიდგენია, ასეთი რამ წამოცდეს გერმანელ, თურქ, რუს, სომეხ ან ესპანურენოვან მკითხველს. და ნუ მეტყვით, რომ ქართული ამ ენებზე ნაკლებად „ბუნებრივია“ (არამკითხველების მთავარი არგუმენტი). პასიური სნობებისგან ხშირად გაიგონებთ ამგვარ შენიშვნას:

– N მწერლის რომანის წაკითხვა რუსულად (ნუ, აწ ჰა, ინგლისურად) მირჩევნია და არა – ქართულად.

და უცდიათ კი იმავე ტექსტის ქართულად წაკითხვა? ეჭვი მეპარება.

არა მგონია, გარსია-მარკესის (არამკითხველების საყვარელი მწერლის) ელზა ახლედიანისეულ თარგმანებს რუსული ან ინგლისური თარგმანები სჯობდეს. ან ლია ჩლაიძის მიერ თარგმნილი ორჰან ფამუქის „მე წითელი მქვია“ ჩამოუვარდებოდეს ამ რომანის უცხოენოვან ვერსიებს.

გავისხენოთ ვახუშტი კოტეტიშვილის თარგმანები (თუნდაც ბროდსკის „ორი საათი რეზერვუარში“), ანდაც ნიკო ყიასაშვილის „ულისე“.

მოკლედ, პრობლემა არა ხარისხში, არამედ რაოდენობაშია – თარგმნილი წიგნი არცთუ ისე ბევრია, არამკითხველი კი – მეტისმეტად ბევრი. არამკითხველს კიდევ რა უჭირს – სოციალურმა ქსელებმა სხვა მრავალთან ერთად, ქართული საზოგადოების კიდევ ერთი „პათოლოგია“ გამოავლინა: აღმოჩნდა, რომ ძალიან ბევრმა ადამიანმა უბრალოდ არ იცის... როგორ წეროს.

ჰამ შეჭამა ნოკია?

გამოცდილი, საიმედო, კარგად ნაცნობი, მაგრამ – უიმედოდ მოძველებული.

ნიკო ნერგაძე

მართლწერას არ ვგულისხმობ – სიტყვებს ვერ წერენ, ან, საუკეთესო შემთხვევაში, უხერხულ ნეოლოგიზმებს იგონებენ. მაგალითად, ვინმე თ (გოგონაა) აბსოლუტურად დარწმუნებულია, რომ „რა მაგარია“, ან „რა კარგია“ ერთი სიტყვაა (ასე წერს: „რამაგარიაااა“, „რაკარგიაااა“), რა-ს ცალკე ვერ აღიქვამს. თინეიჯერები კი ჯიუტად (და სავსებით სერიოზულად) წერენ „დზალიან“ ან „ვისი კჰელიას“ (ანუ „ვისი ხელია?“). ნორჩები რომ ძ-ს და ხ-ს ვერ იტანენ, ეს ცნობილი ფაქტია (ბავშვობაში მეც მერეოდა ეს ორი ასო), მაგრამ არ მეგონა, თუკი სატელეფონო გზავნილების ლათინური ასოები მათ ისეთ თავმდაბალ ქართულ ასოსაც შეაძულებდა, როგორიც ვთქვათ საწყალი ზ-ა?

ასეთ „ანბანთქებას“, გამოვტყდები, სხვაგანაც შევხვედრივარ – ეს დზ-ები და კჰ-ები პირველად ერთ-ერთი სკოლის მეათე კლასელების თემებში აღმოვაჩინე... კნინობითმა ფორმამ ხომ სულმთლად დააჩლუნგა რიგითი ფეისბუკელი: ვეღარ გაიგებ, როდის გეალერსებიან და როდის არა. „დადიან მიყვარხააარ“, „კუნკულიკო შენა... იყავი სამსახურში?“. სხვათა შორის, ჩემი დაკვირვებით, კაცები უკეთ წერენ, ვიდრე ქალები. ქალები (ნიცშეს დავესესხები) „ენობრივადაც იტყლარჭებიან“ და ამიტომ მათ ნაწერში სრული ქაოსია. ზოგიერთები კი, – ვთქვათ, იტალიაში მცხოვრები ქართველები, – კიდევ უფრო გამოგნებელ ენობრივ (თუ კულტურულოგიურ) ექსპერიმენტებს მიმართავენ: წინადადებას მოგონილი, კუთხურობაშეპარული ქართულით იწყებენ, დამშვიდობება-დალოცვისას კი იტალიურს მიმართავენ. აი, ასე: „წეველი აპა მე... ბაჩი მილლე... ადდიო...“ ზოგიც უფრო ვრცლად: „იო სონო ნატურალმენტე ჯეორჯიანო-თქო (სმაილები), ვუთხარი“ – და ბოლოს ისევ: „ბაჩი, ბაჩიიიი მილლე, კარო!“

ერთი სიტყვით, წერა-კითხვასთან პრობლემები გვაქვს...

თუ როგორ დავრჩით ქართველები „ენის მიღმა“, ამ თემაზე მომავალშიც გაგესაუბრებით.

აბა, ბაჩი მილლე!

აპირებ, უახლოეს ხანებში კარგი, ძვირიანი ტელეფონი შეიძინო? ჯერ კიდევ სამი წლის წინ, დიდი შანსი იყო, ბაზარი შეგესწავლა, ალტერნატივები აგეწონ-დაგეწონა და ბოლოს, არჩევანი „ნოკიას“ რომელიმე მოდელზე შეგეჩერებინა. ყოველ შემთხვევაში, თუ საბოლოოდ ამ ფინური კომპანიის აპარატს არ აარჩევდი, გვერდს მაინც ვერ აუვლიდი – მას ყველა სეგმენტში ჰქონდა საუკეთესო თუ არა, ერთ-ერთი საუკეთესო მოდელი მაინც.

„ნოკია“ დღესაც მსოფლიო გაყიდვების ლიდერია ტელეფონების ბაზარზე, მაგრამ, როგორც ჩანს, პოზიციას დიდხანს ვეღარ შეინარჩუნებს. თუ თანამედროვე და მოდურ სმარტფონს ეძებ, შეგიძლია, „ნოკიას“ თამამად აუარო გვერდი და მიადგე Apple-ს, HTC-ს რომელიმე მოდელს, RIM-ს („ბლექბერის“ მწარმოებელს) ან სულაც „სამსუნგს.“

მოიცა, „სამსუნგის“ სმარტფონებიც კი სჯობს „ნოკიას?“

აჰა! ჯერჯერობით ეგრეა.

რატომ?

მოდი, ცოტა შორიდან დავიწყოთ. ჯერ ვთქვათ, რა განსხვავებაა სმარტფონსა და „ჩვეულებრივ“ ტელეფონს შორის. დღეს მობილური ტელეფონების დიდი ნაწილი პატარა კომპიუტერებია, რომლებსაც ჯიბით დაათრევ და რომლებსაც, სხვა რამეებთან ერთად, დარეკვაც შეუძლია. კომპიუტერის ხიბლი კი იმაშია, რომ ზედ სხვადასხვა პროგრამების დაყენება შეგიძლია. პროგრამები სმარტფონებზეც ყენდება და არასმარტფონებზეც – მაგრამ „ჩვეულებრივ“ ტელეფონებს უფრო შეზღუდული შესაძლებლობები აქვთ. „ჭკვიან“ ტელეფონებზე ოპერატიული სისტემა აყენია – მასზე,

თუ ასე გაგრძელდა, „ნოკიას“ ბევრი აღარც დარჩენია. ბოლო სამ თვეში მობილურების გაყიდვა წინა წლის იმავე პერიოდთან შედარებით მსოფლიოში 35 პროცენტით გაიზარდა. სმარტფონებისა – 96 პროცენტით. ამ ზრდის დიდი ნაწილი „ნოკიაზე“ არ მოდის.

წესით, პროგრამები უფრო მარტივად ყენდება, ეს პროგრამები უფრო სწრაფია და უფრო რთული საქმეების გაკეთება შეუძლია.

დღეს ყველაზე გავრცელებული მობილური ოპერაციული სისტემა გახლავთ სიმბიანი, რომელსაც ძირითადად სწორედ „ნოკიას“ ტელეფონებში ნახავთ და კიდევ „სამსუნგის“ და „სონი-ერიკსონის“ რამდენიმე ძველ მოდელში. სიმბიანი გამოცდილი, ათას აპარატზე გადამხტარი სისტემაა, რომელიც საიმედოა, კარგად მუშაობს და ბევრისათვის ნაცნობია. ამავე დროს, ის უიმედოდ მოძველებულია.

ბოლო სამ თვეში მსოფლიოში გაყიდული სმარტფონების 36 პროცენტზე ცოტა მეტი სიმბიანზე მუშაობს. თითქოს არაა ცოტა. მაგრამ, მოდი, შევადაროთ გასულ წლებს. 2007 წლის შუაში ტელეფონებზე, რომლებზეც სიმბიანის ოპერაციული სისტემა იყო დაყენებული, მსოფლიო ბაზრის 65 პროცენტი მოდიოდა. 2008-ში ეს მაჩვენებელი 57 პროცენტამდე დავარდა. დღეს კი, ხომ გითხარით... რამ შეჭამა სიმბიანი?

2007 მობილური ტელეფონებისათვის მნიშვნელოვანი წელი იყო. წლის დასაწყისში „ნოკიამ“ გამოუშვა N95, იმ დროისთვის საუკეთესო მოდელი. იმდენი შესაძლებლობები ჰქონდა, რომ კაცს დაჯერება უჭირდა – GPS, 5 მეგაპიქსელიანი კამერა ავტოფოკუსით, უკაბელო ინტერნეტი... ტელევიზორთანაც კი შეაერთებდი, თუ მოგინდებოდა! ასეთი მაჩვენებლებით მაშინ ვერც ერთი სხვა მოდელი ვერ დაიკვეხნიდა. კი იყო ცოტა მახინჯი, მაგრამ ეგეც გემოვნების ამბავია. ბევრს სულაც არ მიაჩნდა ასე.

მოკლედ, 2007 წლის აპრილში „ნოკია“ მობილურების ბაზარს გაყიდვებითაც ლიდერობდა და ხარისხითაც.

წლის ბოლოს კი ეფლმა iPhone გამოუშვა. თამაშის წესები შეიცვალა.

თუ სენსორულ ეკრანს არ ჩავთვლით, პირველი აიფოუნი მახასიათებლებით ვერც N95-ს ჯობდა და ვერც – ბევრ სხვას. არც 3G ჰქონდა და კამერაც უარესად იღებდა... მაგრამ, ამას არ ჰქონდა მნიშვნელობა. აიფოუნი გინდებოდა. N95 უფრო გემრიელ ჩახოხბილს აკეთებდა, აიფოუნი კი უფრო სექსუალური იყო. თან ეს მაშინ. დღეს iPhone 4-მა ჩახოხბილის კეთებაც ბევრზე უკეთესად იცის.

2008 წელს კი გამოჩნდა პირველი ტელეფონები Google-ის მიერ შექმნილი ანდროიდის ოპერაციული სისტემით. თავიდან ეს მოუქნელი, ნელი აპარატები იყო, რომელიც ბატარეას 8 საათში ცლიდა, მაგრამ ნელ-ნელა ანდროიდი გაიზარდა და დაიხვეწა. დღეს HTC-ს, „მოტოროლას“ და „სამსუნგის“ ანდროიდიანი ტელეფონები Apple-ის პროდუქტს მაინცდამაინც არც ჩამოუვარდება (ბევრის აზრით, სჯობს კიდეც).

რას აკეთებდა ამ დროს „ნოკია?“ რას და – არაფერ საინტერესოს. 2009 წელს პირველი მცდელობა ჰქონდა მაღალი დონის სენსორულეკრანიანი ტელეფონის გამოშვებისა და ჩააფლავა. N97 გაყიდვაში გამოსვლამდე იყო მოძველებული. ვინც იყიდა, გაბრაზებული აღწერდა ტელეფონის უამრავ ნაკლს.

„ნოკიას“ ყველაზე დიდი ნაკლი კი, აი, რა გახდა: თავიდან ვახსენეთ, რომ კომპიუტერის (და შევთანხმდეთ, რომ სმარტფონი იგივე კომპიუტერია) მთავარი ღირსება ისაა, რომ ზედ ნებისმიერ პროგრამას დააყენებ. კი, შეიძლება სწრაფი პროცესორი ჰქონდეს, ლამაზი იყოს, კარგი კამერა ჰქონდეს, მაგრამ ზედ თუ შენი სასურველი პროგრამა ვერ დააყენე, ეგ სისწრაფე და სილამაზე არაფრად გიღირს. ჰოდა, „ნოკიას“ ტელეფონებისათვის პროგრამებს (მობილურის პროგრამებს app-ებს უწოდებენ. სიტყვიდან: application) თითქმის აღარავინ წერს. „ნოკიას“ Ovi Store, საიდანაც, წესით, ყველაფრის ჩამოწერა უნდა შეგეძლოს, გაუმართავი, ქაოტური რამაა. აიფოუნისა და ანდროიდის ტელეფონების გამდიდრება უთვალავი სხვადასხვაგვარი სათამაშო თუ სასარგებლო პროგრამით შეიძლება. „ნოკიასი“ – ბევრი ვერაფრით...

1 ოქტომბერს „ნოკიას“ უახლესი და უკარგესი მოდელი – N8 გამოვიდა. 12 მეგაპიქსელიანი კამერით, რომელსაც კარლ ცაისის ოპტიკა აქვს და HD ვიდეოს იღებს. დიდი ეკრანით. რაღაცნაირი, განსაკუთრებულად კარგი 3G-თ. ახალი ოპერაციული სისტემა simbian-3-ით. მოკლედ, საუცხოო სპეციფიკაციით.

ევროპაში ყოველ ერთ გაყიდულ N8-ზე ექვსი აიფოუნ 4 მოდის.

ცხადია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ „ნოკია“ უკვე მკვდარია. ფინური კომპანია გაყიდვებით დღესაც მსოფლიო ლიდერია. მაგრამ, თუ ასე გაგრძელდა, „ნოკიას“ ბევრი აღარც დარჩენია. ბოლო სამ თვეში მობილურების გაყიდვა წინა წლის იმავე პერიოდთან შედარებით მსოფლიოში 35 პროცენტით გაიზარდა. სმარტფონებისა – 96 პროცენტით. ამ ზრდის დიდი ნაწილი „ნოკიაზე“ არ მოდის.

ჰოდა, ასე. მე, უკვე ორი წელია, „ნოკიას“ სრულიად საუცხოო N86 მაქვს. სანდო და ლამაზი. წინა ორი აპარატიც „ნოკია“ იყო. ახლა კი, საკმარისი ფული თუ ჩამივარდა ხელში, HTC Desire HD-ს ვიყიდი.

ფეხბურთი სხვებან იქნება

გიო ახვლედიანი

ინგლისში კვლავაც იმაზე ლაპარაკობენ, თუ როგორ წააგეს მსოფლიოს 2018 წლის საფეხბურთო ჩემპიონატის ჩატარების უფლება რუსეთთან.

სინამდვილეში, ინგლისი რუსეთამდე ვერც მივიდა და პირველივე ეტაპზე ორად ორი ხმით გამოეთიშა საქმეს. ამ ხმებიდან ერთი თავად ინგლისელმა მისცა თავის ქვეყანას, მეორე კი "ბი-ბი-სი"-ს ცნობილი პროგრამის, „პანორამის" მიერ მექრთამეობაში მხილებულმა კამერუნელმა.

საქმე იქამდე მივიდა, რომ ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის თავკაციც კი გადადგა, მე მაგ ფიფასი აღარ მჯერა და მასთან საქმეები როგორ უნდა ვაწარმოო.

ინგლისელებს არა მხოლოდ მათთვის შეპირებული ხმების ვერაგულად სხვისთვის მიცემა ეწყინათ, არამედ ისიც, რომ საქმეში პრემიერ-მინისტრი კამერონი და პრინცი უილიამიც ჩაერთვნენ და თავად აწარმოებდნენ მოლაპარაკებებს ფიფას ხმოსნებთან. რუსეთის პრემიერი პუტინი კიდევ შვეიცარიაში არც ჩასულა, არ მინდა გავლენის მოხდენაო.

რატომ უნდა უჯდეს ჩვენი მომავალი მეფე საუზმედ 82 წლის პარაგვაელ თაღლითს და რატომ უნდა ისმენდეს მისგან ტყუილებს? - აი, ასეთი სათაურებიც კი იყო. თუმცა, ერთსიტყვიანი სათაურები უფრო მჭახედ ისმოდა: გაყიდულია! გაგვაცუცურაკეს! მოგვატყუეს და ასე შემდეგ.

მგონი, ინგლისელების გარდა არავის ეგონა, რომ ფიფა მათ მისცემდა მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლობის უფლებას. ახლა პიარ-სპეციალისტები იმას არჩევენ, თუ რა შეცდომები იყო ინგლისელთა კამპანიაში და თითქოსდა, ამით ხსნიან მარცხს, ოღონდაც ფიფას რუსეთი ერჩივნა, თავიდანვე ცხადი იყო.

სწორედ ორიოდ დღის წინ ფიფას პრეზიდენტმა ზეპ ბლატერმა თქვა, ევროპელებს ჰგონიათ, რომ მარტო მათ ეკუთვნით მსოფლიო ჩემპიონატი, ჩვენ კი საზღვრებს ვაფართოვებთო, რაღაცაც ჩაილაპარკა ქრისტიანული ერების ამპარტავნებაზე ამასთან მიმართებაში.

მოკლედ, რუსეთი, რომელიც როგორც საფეხბურთო სამყარო, დიდად დაიწუნა ინგლისურმა მედიამ, რასისტებით არის საცნობილი და ერთ ციდა მიწაზე გაზიც იმდენი აქვს, რამდენიც რუსეთს თვალუწვდენელ სივრცეებზე, მაგრამ ამინდს რა უნდა უქნას, ძნელი სათქმელია. ახლა ამბობენ, ჩემპიონატი იანვარში იქნებაო.

ასეა თუ ისე, ინგლისელებს მაინც სჭირთ ესა: საქმეზედ სხვისი თვალით

ვსე იქაური ტრიბუნებიო და თან შავკანიანი ფეხბურთელების ინტერვიუებიც მოიხმო. გრძლად საფრენი მანძილებიც და რა ვიცი, რა აღარ. ფიფამ კი გამოაცხადა, ეს ჩემპიონატი რუსეთს სამუდამოდ შეცვლისო. შეცვლის თუ არა, ის კი არის, რომ რუსეთს ძალიან დიდი საფეხბურთო ინფრასტრუქტურის შექმნა მოუწევს, რაც ფიფასაც მოსწონს და რუსებსაც ძალიან უნდოდათ.

ასევე მოუწევს ყატარს, პატარა და მდიდარ არაბულ ქვეყანას, სადაც იმ თვეებში, როცა ტრადიციულად იმართება მსოფლიო ჩემპიონატი, 50 გრადუსიანი სიცხეა, მაგრამ ამის მიუხედავად, 2022 წლის მასპინძლის უფლება მაინც მიიღო.

ყატარის ამირა დიდ ჭკვიან კაცად არის შეხედვა უჭირთ, რადგან მიაჩნიათ, რომ თუ საქმეს წესიერად და მაღალ დონეზე აკეთებენ, იმას წინ ვერაფერი უნდა დაუდგეს.

ერთგვარი გულუბრყვილობა ყოველთვის თან სდევს ხოლმე მათ იმედგაცრუებას.

მამაცი, პატიოსანი და გულუბრყვილო. ხო, მგონი ასეა.

მსოფლიო ჩემპიონატს კი ჯერ ბრაზილიელის. 2014 წლის მასპინძლობა ბრაზილიელებმა ადრევე მოიგეს: მათ კამპანიას ინგლისელი ხლემძღვანელობდა, ისა, რომელმაც ლონდონს 2012 წლის ოლიმპიადის საგზური მოაგებინა.

ამ ჯერზე, მისი ხელობით სარგებლობა არავის მონდომებია.

FM 101.9 MYRADIO.GE
ქართული

თელავი, ყვარელი, ლაგოდეხი FM 105.5
გორი, ქარელი, ხაშური FM 103.0
ზესტაფონი, ქუთაისი, სამტრედია FM 104.5
ურეკი, ქობულეთი, ბათუმი FM 101.0
ფოთი, სენაკი, ზუგდიდი FM 101.9



WWW.LIBERALI.GE